ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი-კვირა

19 — 20 მარტი, 2011 №66 (5447) ფასი: 30 თეთრი

## მერილ სტრიპი — სამაგალითო ოჯახის დედა

გვ.9



გვ.16

ასტროპროგნოზი

TV პროგრამა

# სააკაშვილი ნაციონალების საარჩევნო სიას ჩაუდგება სათავეში



გვ.5

საარჩევნო რეჟიმზე უკვე გადასულია მთელი ქვეყანა, მათ შორის, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც. იგივე ოპოზიციური რვიანის ეს გამალებული მუშაობაც ამას უკავშირდება. ვადამდელ არჩევნებს არ ველოდები, მაგრამ აუცილებლად ველოდები იმას, რაც გითხარით, რომ შესა ლოა სააკაშვილი საპარლამენტო არჩევნების წინ უცებ გადადგეს პრეზიდენტობიდან და იგი ვიხილოთ სიის პირველ ნომრად.



## სულს აუცილებლად სჭირდება გასუფთავება

გვ.7



მთა თავისი სიდიადით ღვთის სადიდებელს ამბობს



## ყაზახეთში ცხენის ხაშლამა ვჭამე

გვ.4

როგორ დაიკლო დეპუტატმა მამუკა გაჩეჩილა ემ 39 კილო

## მალე სომხეთთან ერთად ახალი სამშობლოს მოძებნა მოგვიწევს

გვ.3



მთელი კავკასია სომხეთის ატომური სადგურის მ ევალია

## ჩვენ ტყუილად დაგვაპატიმრეს



გვ.6

რას ისახავდა მიზნად იგორ გიორგა ის მომხრეთა დაკავება

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში"

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის" უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## კვირის ქრონიკა



გვ.2

## ჩვენი ყველაზე დიდი შემფასებელი ქართველი მაყურებელია

გვ.7

ფილონ სულაბერიძე ვახსჯვლავის გახსნის წინ ნერვიულობს



ISSN 1987-9385

# ბურჯანაძემ რევოლუცია დააანონსა

ამ კვირაში სახალხო კრებამ მორიგი ხმაურიანი შეხვედრა გამართა, სადაც ერს ეცნობა, რომ კრება აქტიურობას აღდგომის შემდეგ დაიწყებს. სახალხო კრება გვპირდება, რომ მშვიდობიანი რევოულუციის განსახორციელებლად სხვადასხვა მეთოდს გამოიყენებს. შესაბამისი სამოქმედო გეგმა კი უახლოეს მომავალში გამოცხადდება.

დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა და სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, ხელისუფლების შესაცვლელად გადამწყვეტი ბრძოლა დაახლოებით 2 მაისიდან დაიწყება.



ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ თუ წარმომადგენლობით სახალხო კრებას ხალხის დიდი რაოდენობა დაუჭერს მხარს, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდება.

— ჩვენ გამოვიყენებთ ბრძოლის სხვადასხვა მეთოდს, აქციას, დაუმორჩილებლობას, გაფიცვას და სამსახურში არ მისვლის მოწოდებას. თუ საზოგადოება იაქტიურებს ისე, როგორც ამას აკეთებს ხელისუფლების კრიტიკის დროს საზოგადოებრივ ტრანსპორტში, სამზარეულოში თუ სამსახურში, გნებავთ, ჩვენთან საუბრში, მაშინ გამარჯვება გარდაუვალი იქნება, ხოლო თუ ხალხის ნაწილი გადაწყვეტს, რომ მოქმედებების დროს ტელევიზორთან დაჯდეს და იქიდან ადევნოს თვალყური ქუჩაში მიმდინარე მოვლენებს, ეს ხელისუფლებას ამოცანას გაუადვილებს. ჩვენ ხალხის დიდი რაოდენობა გვჭირდება იმისათვის, რომ ხელისუფლებამ და მისმა ზონდერბრიგადებმა დემონსტრანტებზე ხელის აღმართვა ვერ გაბედონ, — განაცხადა ბურჯანაძემ.

მისი თქმით, სახალხო კრების ლიდერები არ აპირებენ, რომ ხალხს რევოლუციის იდეა თავზე მოახვიონ, რადგან შეეგუება თუ არა საქართველოში გამეფებულ უსამართლობას, ეს თვითონ მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს.

ის ღრმად არის დარწმუნებული, რომ ჯარი და პოლიცია ისევე, როგორც ეგვიპტეში, საკუთარ ხალხზე ხელს არც საქართველოში აღმართავს. ხელისუფლება კი, წინა წლების მსგავსად, კვლავ თავისი ერთგული ზონდერბრიგადების იმედზე იქნება. მშვიდობიანი რევოლუციის შემთხვევაში საერთაშორისო თანამეგობრობა ხალხის მხარეს დაიჭერს და არა ხელისუფლების.

შორენა მარსაგიშვილი

# აზერბაიჯანი დავითგარეჯის შუაზე გაყოფას ითხოვს

დავითგარეჯთან დაკავშირებით მითქმა-მოთქმა არ წყდება. ხელისუფლება ბერების დაპატიმრებით იმუქრება, სამაგიეროდ, არაფერს ამბობს აზერბაიჯანთან მიმდინარე ფარულ მოლაპარაკებებზე.

გემახსოვრებათ ალბათ, როგორ დაემუქრა ნიკა ვაჩეიშვილი სასულიერო პირებს. ამ მუქარამ საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. თავი ჩვენმა მშობლიურმა ოპოზიციამაც გაინერვიულა.

რამდენიმე ოპოზიციური ლიდერი დავითგარეჯში ჩავიდა, სადაც მათ სასულიერო პირები მოინახულეს. მათთან საუბარში ბევრი საინტერესო ინფორმაცია მიიღეს. საინტერესო ცნობები მათ სხვა წყაროებმაც მიაწოდეს.

პოლიტიკური მოძრაობა თავისუფალი საქართველოს ლიდერის, კახა კუკავას განცხადებით, აზერბაიჯანი დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის შუაზე გაყოფას ითხოვს. კუკავას თქმით, მისი ინფორმაციით, სწორედ ამ საკითხზე შეხვდნენ ორი კვირის წინ ბაქოში საქართველოს შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი და აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი.

— ორი კვირის წინ მერაბიშვილი ბაქოში იყო, სადაც ალიევს შეხვდა. მას, არც ერთი სხვა შეხვედრა არ ჰქონია და ალიევი-მერაბიშვილის შეხვედრასთან დაკავშირებით, არც ქართულ და არც აზერბაიჯანულ მხარეს არანაირი ინფორმაცია არ გაუვრცელებია. საერთოდ, პროტოკოლი ასეთი ტიპის შეხვედრებს არ იცნობს, რომ შს მინისტრი სხვა ქვეყანაში წავიდეს და პრეზიდენტს შეხვდეს. ჩვენი ინფორმაციით, ეს შეხვედრა დავით გარეჯში არსებულ ვითარებას შეეხებოდა — აზერბაიჯანი კომპლექსის შუაზე გაყოფას ითხოვს. საქართველოს ხელისუფლებისგან ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რეალურად გვემუქრება თუ არა დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე აზერბაიჯანელი მეცხვარეების სადგომი პუნქტების გახსნის საფრთხე, — აღნიშნავს კუკავა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ეჭვები სხვა პოლიტიკურ პარტიებსაც გაუჩნდათ. ეჭვებს აძლიერებს ისიც, რომ ვერაფრით ვერ დადგინდა აზერბაიჯანისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი სწორედ სადავო მონაკვეთზე მდებარეობს.



მერაბიშვილის აზერბაიჯანში ვიზიტთან დაკავშირებით განსხვავებული ცნობები აქვს თეთრ მოძრაობას. თემურ შაშიაშვილი ამტკიცებს, რომ შს მინისტრი ალიევს გაზთან დაკავშირებით შეხვდა.

ჩვენი ოპოზიცია ამაოდ ითხოვს აზერბაიჯანთან გაფორმებული შეთანხმების გამოქვეყნებას. თეთრები ამტკიცებენ, რომ ამ შეთანხმების მიხედვით საქართველოს მოსახლეობამ ბუნებრივი აირი ბევრად იაფად უნდა მიიღოს.

# მინისტრებს აქციას დაახვედრებენ

საპარლამენტო ოპოზიცია სერიოზულად არის აჟიტირებული. ისინი ძალიან ბედნიერები არიან იმით, რომ მომავალ კვირაში პარლამენტში მინისტრები მივლენ. დეპუტატებს მინისტრებისთვის კითხვების დასმის საშუალება ექნებათ.

ეს თემა საპარლამენტო ოპოზიციამ მაგრად დააპიარა და ახლა მათი ფანები მოუთმენლად ელოდებიან, როგორ „დაპრესს" ოპოზიცია მინისტრებს. საპარლამენტო უმრავლესობაში ამ თემაზე მაგრად ლადაობენ. თავად მინისტრებშიც მხიარული განწყობა ყოფილა.



მინისტრების მისვლას პარლამენტში არასაპარლამენტო ოპოზიციაც ელოდება. ისინი საკანონმდებლო ორგანოს წინ აქციების მოწყობას აპირებენ.

დევნილთა სამოქალაქო მოძრაობა და ეროვნული საბჭო მომდევნო ორშაბათიდან პარლამენტში მინისტრების ანგარიშით გამოსვლისას საკანონმდებლო ორგანოს შენობის წინ საპროტესტო აქციებს გამართავენ.

შესაბამისი განცხადება „დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის" წევრებმა, ასევე, „ეროვნული საბჭოს" წარმომადგენლებმა ლაშა ჩხარტიშვილმა და ალექსანდრე შალამბერძემ მთავრობის კანცელარიის შენობასთან გამართულ აქცია-ბრიფინგზე გააკეთეს.

ჩხარტიშვილის თქმით, „ეროვნული საბჭო" და „დევნილთა სამოქალაქო კომიტეტი" აპირებენ ეუთოს მოქმედ თავმჯდომარე, ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრ ადრონიუს აჟუბალისს წერილობით მიმართონ და დევნილებთან მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედებების შესახებ საქმის კურსში ჩააყენონ.

# ხელისუფლება დევნილებს გულგრილად ეპყრობა

ოპოზიცია დევნილების პრობლემებზე ისევ აქტიურად საურობს. ხელისუფლება კი მათ დევნილთა თემით სპეკულირებაში ადანაშაულებს. დევნილთა მინისტრმა სუბელიანმა ოპოზიციას ისიც შეუთვალა, აქტიურობით თავს ნუ შეიწუხებთ, რადგანაც ისინი არჩევნებზე ხმას თქვენ მაინც არ მოგცემენთო.

სუბელიანის ბრძნული შეგონებების გათვალისწინებას არც ერთი ოპოზიციური პარტია არ აპირებს. ამ კვირაში დევნილთა მინისტრს ნერვები ქართულმა პარტიამ მოუშალა.

ქართული პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრი სოფიო ხორგუანი აპროტესტებს დანაშაულებრივ გულგრილობასა და უპასუხისმგებლობას, რომელსაც, მისი თქმით, ხელისუფლების მაღალჩინოსნები დევნილების მიმართ იჩენენ.

— ქართულ პარტიას რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებულმა ცხრა მოქალაქემ მიმართა. ისინი საცხოვრებელი ფართების სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხას (10 ათასი აშშ დოლარს) ითხოვენ, რომელიც ბანკის ანგარიშებზე ორჯერ ჩაირიცხა, მაგრამ სახელმწიფომ ორჯერვე მოხსნა ანგარიშიდან, — განაცხადა ხორგუანმა.

მისი განცხადებით, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების ნაცვლად, ხელისუფლების წარმომადგენლები თავად არღვევენ მოქალაქეების უფლებებს.

— საერთაშორისო თანამეგრობას დევნილთა დასახმარებლად საკმაოდ დიდი თანხები აქვს გადმორიცხული. ეს თანხები ომის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებს უნდა მიეღოთ. სამწუხაროა, რომ ეს ასე არ მოხდა. ხელისუფლება ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედებს, რომელსაც მიხეილ სააკაშვილის სარკმელი, სახელად, „ტყუილი" ჰქვია, — აღნიშნა მან.



ხორგუანი მოითხოვს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა კანონისა და ზნეობრივი ნორმების შესაბამისად იმოქმედონ.

ხელისუფლებამ, როგორ ყოველთვის, არც ამჯერად შეიწუხა თავი რეაგირებისაგან. იმათ კი, ვინც კომენტარის გაკეთება იკადრეს, განაცხადეს, რომ ოპოზიცია ცრუობს.

# საქართველოში რადიაციული ფონი არ შეცვლილა

გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის რადიაციული უსაფრთხოების ექსპერტი გურამ ნარსია ვარაუდობს, რომ იაპონიის მოვლენების შედეგად საქართველოში რადიაციული ფონი არ გაუარესდება. მისი შეფასებით, ქვეყანაში რადიაციული ფონი ნორმის ფარგლებშია.

— საქართველოს ტერიტორიაზე არის მეტეოსადგურების ქსელი, მათ შორის 13 მეტეოსადგურს აქვს სპეციალური ხელსაწყოები, რომელთა მეშვეობითაც ყოველდღიურად ხორციელდება ჰაერში გამა გამოსხივების დონის გაზომვა. ამ დროისთვის, იაპონიის მოვლენების შემდეგ, საქართველოში რადიაციული ფონის ცვლილება არ შეინიშნება. ჯერჯერობით, მხოლოდ იაპონიის გარკვეულ ნაწილში აღინიშნება რადიაციული დაბინძურება, ანუ ეს პრობლემა ლოკალურია. საქართველოს ამ ეტაპზე საფრთხე არ ემუქრება, — განაცხადა გურამ ნარსიამ.



ექსპერტის შეფასებით, საქართველოში რადიაციული დონე იმ შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს, თუ მეზობელ ქვეყანაში, კერძოდ, სომხეთში არსებულ ატომურ ელექტროსადგურზე მოხდება მსგავსი რადიაციული გაჟონვა.

ექსპერტი ამ ეტაპზე უსაფუძვლოდ მიიჩნევს იაპონიის მოვლენის ჩერნობილთან დაკავშირებასაც.

— ჩერნობილისა და იაპონიის მოვლენების შედარება ჯერჯერობით ნაადრევია. ჩერნობილში ბირთვული რეაქტორი აფეთქდა, იაპონიაში კი ამგვარი რამ ჯერ არ მომხდარა. შესაბამისად, ნაადრევია შევაფასოთ შედეგი, რასაც ეს მოვლენა გამოიწვევს. ცხადია, ეს კარგი არ იქნება, მაგრამ დამერწმუნეთ, საქართველოს ამის გამო საფრთხე არ ემუქრება, — აღნიშნა ნარსიამ.

ექსპერტი გარემოს დაცვის საკითხებში ნინო ჩხობაძეც გამორიცხავს იაპონიის ბირთვული კატასტროფის შედეგად საქართველოში რადიაციის მატებას, თუმცა, ექსპერტი სხვა საკითხზეც ამახვილებს ყურადღებას: სომხეთში არის ატომური ელექტროსადგური. შესაბამისად, აუცილებელია ამ ელექტროსადგურის შემოწმება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კავკასია სეისმურად აქტიურ ზონაშია, მაშინ საფრთხე აქაც რეალური იქნება, — ამბობს ქართველი ექსპერტი.

# ალასანია ძალადობის წინააღმდეგ



ჩვენებური ოპოზიცია რამდენად არის გაყოფილი, ეს არავინ იცის. ხელისუფლების შეცვლას ზოგი არჩევნების გზით აპირებს, ზოგი რევოლუციით, ზოგს კი საერთოდ არ ადარდებს, წავა თუ არა ეს ხელისუფლება საერთოდ.

კონსტრუქციული ოპოზიციის ნიშა ისევ მყარად უჭირავს თავისუფალი დემოკრატების ლიდერ ირაკლი ალასანიას, რომელიც დღეში რამდენჯერმე გაიძახის, რომ ძალადობრივი გზით ხელისუფლების შეცვლას არ დაუშვებს.

როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, 2009 წლის აქციების დროს ალასანიამ ოპოზიციას რამდენიმე ღონისძიება ჩაუშალა.

ალასანიამ არაერთხელ გვითხრა, რომ რევოლუციები წარსულს უნდა ჩავაბაროთ. ამ კვირაში კი დაგვპირდა, ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლას არ დავუშვებო.

— ნებისმიერი პოლიტიკური ძალის მცდელობას, ხელისუფლების შენარჩუნებისთვის გამოიყენოს ძალაუფლება და ნებისმიერი ოპოზიციური ძალის მცდელობას, ძალადობით მოვიდეს ხელისუფლებაში, „თავისუფალი დემოკრატები" დაუპირისპირდებიან და აღკვეთენ, — განაცხადა ალასანიამ.

ოპოზიციონერი ლიდერი მიიჩნევს, რომ „თავისუფალ დემოკრატებს" მიჰყავს საქართველოში პოლიტიკური პროცესი, არის ერთ-ერთი ინიციატორი და წამომწყები ქვეყანაში საარჩევნო რეფორმის და ყოველთვის იქნება საზოგადოებრივი მოძრაობის ავანგარდში.

მისი მტკიცებით, დღეს საქართველოს მოსახლეობას რევოლუციები აღარ სურს. ალასანია გვპირდება, რომ ხელისუფლება საქართველოში მხოლოდ არჩევნებით შეიცვლება.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

თეა მარხვაი ე

# მალე სომხებთან ერთად ახალი სამშობლოს მოძებნა მოგვიწევს

## მთელი კავკასია სომხეთის ატომური სადგურის მ ევალია

**იაპონიაში მომხდარმა კატასტროფამ მსოფლიო კიდევ ერთხელ აალაპარაკა იმაზე, რომ ატომური სადგურები სახიფათოა. საქართველოს გარდა, ამ თემაზე თითქმის ყველგან საუბრობენ. ჩვენი ხელისუფლება, ოპოზიცია და საზოგადოება სულ სხვა თემებით არის გართული.**

ამ დროს კი, როგორც სპეციალისტები ამბობენ, სომხეთში მდებარე ატომური სადგურის წყალობით სერიოზულ შარში ვართ გახვეული. ამგვარი შარი ხელისუფლებამ კინაღამ მშობელ მიწაზეც „გაგვიჩალიჩა". ალბათ გემახსოვრებათ, რამდენიმე წლის წინ სააკაშვილმა ატომური სადგურის აშენება დაიჟინა. მაშინ მთელი ნაციონალობა გვიმტკიცებდა, რომ ასეთი სადგური აუცილებელი იყო. ახლა ამ თემაზე ყველა დუმს.

ამ დღეებში რადიო „თავისუფლებამ" ხუთი პოტენციური საფრთხის მქონე ატომური სადგური დაასახელა. სომხეთის „მეცამორს" ყოფილ საბჭოთა კავშირში ყველაზე სახიფათო რეაქტორად მიიჩნევენ. გადაწყვეტილია, რომ ელექტროსადგური მოქმედებას 2017 წელს შეწყვეტს.

საფრთხეს ქმნის დიდი ბრიტანეთის „ტრაიდენტის" ტიპის ატომური წყალქვეშა ნავიც, რომელიც ძვირადღირებული ბირთვული ბალისტიკური რაკეტებით არის აღჭურვილი. სარისკოა ასევე რუმინეთის ჩერნავოდის ატომური ელექტროსადგური. რეაქტორში ხშირია პრობლემები, იანვარში ერთ-ერთი რეაქტორი სარემონტოდ დაიხურა. 2009 წლის აპრილში მეორე რეაქტორიც დაიხურა.

რუსეთის მოძველებული ატომური რეაქტორების ქსელი მთელ მსოფლიოს აშფოთებს. ყველაზე საგანგაშო მდგომარეობაში ლენინგრადის ელექტროსადგურია. მისი არსებობის მანძილზე მუდმივად პრობლემები შეინიშნება. საბჭოთა პერიოდში ბირთვული ავარიების შესახებ ინფორმაცია მკაცრად კონტროლდებოდა.

საგანგაშო სიაში მიჩიგანის ენრიკო ფერმის სახელობის ატომური ელექტროსადგურიც შევიდა. ეს სადგური იმავე მოდელისაა, რაც იაპონიის „ფუკუშიმა". ობიექტი სეისმურად აქტიურ ზონაში არ მდგომარეობს, მაგრამ ხშირია წყალდიდობები და ტორნადოები.

ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული, ბუნებრივია, სომხეთის ატომური სადგურია. რა საფრთხეები გველოდება მეზობელი ქვეყნიდან, ამის შესახებ აკადემიკოსი მიხეილ კავილაძე „ახალ თაობას" ესაუბრება.



**მიხეილ კავილაძე:**

— სომხეთს აქვს ორი ატომური ელექტროსადგური, ვვერ-440 ტიპის რეაქტორებით, რაც ქართულად იკითხება: „წყალი წყლის ენერგეტიკული რეაქტორი 440 მეგავატით", რომლებიც განლაგებულია ქალაქ მეცამორთან, 1100 მეტრის სიმაღლეზე, ერევნიდან დაახლოებით 30 კილომეტრზე. მათგან ერთმა დაიწყო ფუნქციონირება 1976 წლის დეკემბერში, ხოლო მეორემ — 1980 წელს იანვარში. სპიტაკის შემდეგ 1989 წელს ორივე გააჩერეს. მოსკოვი მათი ამუშავების წინააღმდეგი იყო.

*— **აბა, ვისი ინიციატივით მოხდა მათი ამუშავება?***

— სომხეთის მთავრობამ ძალიან იაქტიურა. მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ მოსკოვისგან თანხმობა მიეღოთ. 1995 წელს აამუშავეს მეორე სადგური.

*— **რამდენ ენერგიას გამოიმუშავებს ეს სადგური?***

— ეს სადგური იძლევა სომხეთში მოხმარებული ენერგიის 30-40%-ს.

*— **რატომ ითვლება სომხეთში მდებარე ატომური სადგურები ასე სახიფათოდ?***

— სამწუხაროდ, ვვერ ტიპის რეაქტორებს შორის სომხეთის არის ყველაზე ადრეული მოდელი, რომელიც შექმნილი იყო ძველი ტექნოლოგიებით და უსაფრთხოების თვალსაზრისით აქვს უამრავი ნაკლი. ამავე დროს, ფაქტობრივად, უკვე ამოწურა რესურსი.

*— **ეს სადგური უნდა გაჩერდეს?***

— მიზანშეწონილია მისი გაჩერება და დემონტაჟი.

*— **ამ საფრთხეს სომხეთის ხელისუფლებაც ხომ აცნობიერებს? რატომ მიდიან ისინი რისკზე?***

— სომხეთს ენერგეტიკაში აქვს პრობლემები და მიდის რისკზე, რადგან გაყინვას ურჩევნია რისკი, რაც, ჩვენთვის მიუღებელია. ამ მხრივ საყურადღებოა ამერიკის კონგრესის მონაცემები. 1971 წლიდან 1984 წლამდე, ე.ი. 13 წლის განმავლობაში, ატომურ ელექტროსადგურებში აშშ-ში მოხდა 151 ავარია რადიაციის გამოფრქვევითა და მსხვერპლით. არადა, აღნიშნული რეაქტორები გაცილებით სრულყოფილნი იყვნენ. იმის შესაფასებლად, თუ რამდენად სანდოა სომხეთის რეაქტორი, მოვიყვან 1986 წლის 3 ივლისის პოლიტბიუროს სხდომის სტენოგრაფიულ ჩანაწერს. სხდომას ესწრებოდა საბჭოთა კავშირის იმდროინდელი ატომური პროგრამის ელიტა. -440 ტიპის რეაქტორთან დაკავშირებით დისკუსიის პათოსი შეიძლება გამოვხატოთ ერთი წინადადებით: გორბაჩოვის შეკითხვაზე, თუ რამდენად სანდოა ამ ტიპის რეაქტორები, კულოვმა უპასუხა: ერთი წელიც არ გადის ისე, რომ ამ ტიპის რეაქტორზე ავარია არ მოხდეს". იგივე მოსაზრება გამოთქვა 1992 წელს რუსეთის ბირთვული საზოგადოების კონფერენციაზე დარგის მინისტრის მოადგილემ, აკადემიკოსმა ვ. სიდორენკომ, როდესაც ბრძანა დაახლოებით შემდეგი: ბირთვული ენერგეტიკის განვითარებისათვის რუსეთს გააჩნია ყველაფერი, მოსახლეობის ნდობის გარდა. ამდენად, საჭიროა მათთვის მეტი თანამედროვე ინფორმაცია, რაც მოგვცემს საშუალებას, ასევე ეფექტურად გავზარდოთ ატომური სადგურების მუშაობის უსაფრთხოება. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკვე მოქმედი სადგურებისათვის, რომლებიც შეიქმნა ადრეულ ეტაპზე უსაფრთხოების დაბალი მოთხოვნილებების საფუძველზე. მათ მიეკუთვნება ვვერ-440 და ჩერნობილის ტიპის. ცნობილია ის ფაქტიც, რომ სადგურისათვის ადგილი შერჩეულია ძალზე ცუდად.

*— **ცუდად რატომ არის შერჩეული?***

— სადგურიდან სულ რამდენიმე ასეულ მეტრში ძალზე საშიში რღვევის ხაზია. სწორედ ასეთ ადგილებში ხდება, როგორც წესი, ძლიერი მიწისძვრა. სპიტაკი შესაძლებელია სულაც იქ მომხდარიყო. ცხადია, მიწისძვრა არც მომავალშია გამორიცხული. შეიძლება იგი მოხდეს 1000 წლის შემდეგ, მაგრამ იმავე ალბათობით შეიძლება — ერთი წლის შემდეგაც. თუმცა სომხეთის გადაწყვეტილებაზე ვერც ამ არგუმენტმა იქონია გავლენა, რაც ნათლად გამოჩნდა სომხეთის პირველი პრეზიდენტის, ტერ-პეტროსიანის გამონათქვამიდან: ჩვენ უახლოეს დროში ისევ ავამუშავებთ ატომურ ელექტროსადგურს, მიუხედავად იმისა, რომ იგი სეისმურად საშიშ ადგილზე დგასო.

*— **თავად რეაქტორზე რას გვეტყვით?***

— რეაქტორის მთელი აქტიური ზონა მოთავსებულია ფოლადის ცილინდრში, რომლის ზომებია: სიგრძე 11 მეტრი, დიამეტრი 3,8 მეტრი, კედლის სისქე 100 მმ, რომელშიც მაღალი ტემპერატურაა: კერძოდ, ურანის დაახლოებით 1100 გრადუსი, გამდინარე წყალის, რომლის წნევა 30 ატმოსფეროა და ტემპერატურა — 300 გრადუსი. ამ ტემპერატურით წყალი მიემართება გენერატორისაკენ, სადაც გამომუშავდება ელექტროენერგია. ამავე დროს, იგი განუწყვეტლივ სხივდება ნეიტრონებით. შედეგად, ამ ტიპის რეაქტორში შემჩნეულია ფოლადის ცილინდრის ვადაზე ადრე გამყიფება.

*— **ამას რა შეიძლება მოჰყვეს?***

— ამას შეიძლება მოჰყვეს ბზარი და მოხდება საშინელება. გარდა ამისა, სადგური განლაგებულია დიდ სიმაღლეზე და ავარიის შემთხვევაში, აქტიური ზონის გასაციებლად, საჭირო რაოდენობის წყლის იქ ატანა ძალზე პრობლემატური გახდება. მომუშავე რეაქტორში კი წყალი, რომელიც, ამავე დროს, არის გამაცივებელი, განუწყვეტლივ უნდა ცირკულირებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯაჭვური რეაქციის შედეგად, საწვავი-ურანის ტემპერატურა სწრაფად მოიმატებს და ცირკონიუმის ჰერმეტულად დახშული ცილინდრები, რომლებშიც რადიოაქტიური ნარჩენები გროვდება, ჩამოდნება და გამეორდება იაპონიის სურათი. ასევე კონსტრუქციულად მოუხერხებელი აღმოჩნდა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების განლაგება, რომელიც ამერიკელების დახმარებით ნაწილობრივ გამოასწორეს. სამწუხაროდ, ასევე არა აქვს მნიშვნელოვანი დანადგარების, რეზერვირების საშუალებები, ეს კი დაუშვებელია. აქვე საჭიროა აღვნიშნოთ ამ ტიპის რეაქტორების ყველაზე დიდი ნაკლი — მათ არა აქვთ დაცვის რეზერვუარი, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში ყველა რეაქტორის აუცილებელი კუთვნილებაა.

*— **მოდით, განვმარტოთ, რას ნიშნავს რეზერვუარი და რისთვის არის ის საჭირო?***

— რეზერვუარი უზარმაზარი კონსტრუქციაა, რომელიც გარშემო არტყია რეაქტორს და ატმოსფეროს იცავს რადიაციისაგან. აშშ-ში, პენსილვანიაში, მოხდა ჩერნობილზე დიდი აფეთქება, მაგრამ, რადგან სადგურს ჰქონდა რეზერვუარი, რეაქტორიდან ამოფრქვეული რადიონუკლიდები დაგროვდა მასში და არ გავრცელდა მთელ მსოფლიოში, ისე, როგორც ეს მოხდა ჩერნობილის შემთხვევაში. აღნიშნული რეზერვუარის არსებობა მნიშვნელოვნად დაიცავდა როგორც სომხეთს, ისე მთლიანად რეგიონს.

*— **თქვენ თქვით, რომ სომხეთის ხელისუფლებამ იცის, სადგურის მუშაობა სახიფათოა, მაგრამ რისკზე მაინც მიდიან. თუ არიან მზად ავარიისთვის?***

— ცნობილია, რომ ავარიის შემთხვევაში სომხეთის მოსახლეობისათვის მომზადებულია დამცავი საშუალებები, ამავე დროს, პრაქტიკულად ასწავლიან, რა შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცნენ. ამაზე წერდა სომხეთის მთავრობის პრესსამსახური 2005 წელსაც. ამ მხრივ ჩვენ რატომ ვართ ასე უდარდელად, გაუგებარია. მით უმეტეს, ისიც ცნობილია, რომ ჩერნობილი მოხდა უკრაინაში, მაგრამ უფრო მეტად დაზარალდა ბელორუსია. უკანასკნელ წლებში ბევრი ქვეყანა მოითხოვს რეაქტორის გაჩერებას. მათ შორის, განსაკუთრებით — აზერბაიჯანი და თურქეთი, რომელთა პარლამენტში არაერთხელ მოხდა საკითხის განხილვაც, ხოლო ევროკავშირის კომისარმა, ბენიტა ფერრეროვალდნერმა, ერევანში ჯერ კიდევ 2008 წლის 2 ივლისს განაცხადა; „ევროკავშირი დაინტერესებულია სადგურის სასწრაფოდ დახურვით. ევროკავშირმა სომხეთს უკვე გადასცა 30 მილიონი ევრო დაცვის სისტემების გასაძლიერებლად, მაგრამ ჩვენ. როგორც ადრე, მოვითხოვთ სადგურის დახურვას, რადგან იგი ძველი სისტემაა". მაგრამ, სამწუხაროდ, სომხეთს განსხვავებული გეგმები აქვს. ჯერ კიდევ 2007 წლის 7 სექტემბერს სომხეთის ენერგეტიკის მინისტრმა არმენ მოვსესიანმა განაცხადა, რომ „ახალი ატომური ელექტროსადგური აშენდება 4,5 წელიწადში". მან ისიც აღნიშნა: „სადგურს გავაჩერებთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ავამუშავებთ ალტერნატიულს და ეს იქნება იმავე ადგილზე, რათა შევინარჩუნოთ ინფრასტრუქტურა". ეს კი გაუგებარია. ცნობილია, რომ ნამუშევარი ატომური სადგურის დემონტაჟი არის ძალზე შრომატევადი, ხანგრძლივი პროცესი და ჯდება დაახლოებით იმდენივე, რაც საჭიროა მის შესაქმნელად. ამიტომ მოინახა ვითომ ადვილი გზა, უხანგრძლივებენ მუშაობის ვადას, მაგრამ ამის უკან ხომ მილიონობით ადამიანის სიცოცხლეა, ისე, როგორც 90 წლის ადამიანმა შეიძლება 120 და მეტი წელი იცოცხლოს, მაგრამ ამის ალბათობა ხომ ყოველდღე მცირდება. ისიც გაუგებარია, სად მიაქვთ ძველი საშინლად რადიოაქტიური მასალა. მათ შესაბამისი სამარხი არ აქვთ. ალბათ, რუსეთში? მაშინ, საკითხავია, რა გზით? ალბათ, ჩვენი ტერიტორიის გავლით. ესეც ძალიან საშიშია.

*— **რატომ არის საშიში?***

— ცნობილია, რომ ტრანსპორტი არასოდეს არის უსაფრთხო. მართლაც, თუ დავუჯერებთ რუსეთის ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელს, გენერალ-პოლკოვნიკ ა. ნოვიკოვს, მსოფლიოში ყოველწლიურად 10 მილიონი რადიოაქტიური ტვირთი გადააქვთ ზღვით, ჰაერითა და რკინიგზით. დაბალი კვალიფიკაციის გამო ხდება არაერთი უბედური შემთხვევა, რომელთა დიდი ნაწილი გასაიდუმლოებული რჩება. ე.ი. არაერთი უდანაშაულო ადამიანია განწირული. აქედან გამომდინარე, ალბათ, აუცილებელია შემოწმდეს ის გზაც, რომლითაც მცხეთის რეაქტორი წლების მანძილზე მარაგდებოდა 90%-ით გამდიდრებული ურანით და გაჰქონდათ დიდი რაოდენობით უაღრესად საშიში რადიოაქტიური ნარჩენები. ასევე დიდი პრობლემაა ატომური სადგურების მომსახურე პერსონალი-ოპერატორები, რომლებიც მართავენ რეაქტორებს და რომელთა ხელშია მილიონობით ადამიანის სიცოცხლე, ერთ დროს იყო ძალზე პრესტიჟული. დღეს მეცნიერებამ დაკარგა რომანტიკა. ნიჭიერი ახალგაზრდობა გახდა პრაგმატული. მათ აღარ იზიდავთ საბუნებისმეტყველო საგნები, ამიტომ კვალიფიკაცია საგრძნობლად დაეცა. შედეგად ატომური სადგურები კიდევ უფრო საშიში გახდა. კვალიფიკაციასთან ერთად, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ხასიათის სიმტკიცეს, რომელიც 1982 წლის ოქტომბერში მომხდარი ავარიის დროს სომხეთში ვერ გამოავლინეს.

*— **რას გულისხმობთ?***

— როდესაც პირველი ბლოკის სადგურში აფეთქდა გენერატორი და მთლიანად დაიწვა სამანქანო დარბაზი, მომსახურე პერსონალის ნაწილმა პანიკურად დატოვა სადგური, რეაქტორი კი მუშაობდა. ადვილი წარმოსადგენია, რა შეიძლება მომხდარიყო, იქ რომ სასწრაფოდ არ ჩაფრენილიყვნენ კოლის ნახევარკუნძულის ატომური სადგურის სპეციალისტები, რომლებმაც დარჩენილ თანამშრომლებთან ერთად ფაქტობრივად გადაარჩინეს არა მარტო რეაქტორი, არამედ, ალბათ, მთელი ჩვენი რეგიონი, რადგან მთლიანად დაიწვა ჯაჭვური რეაქციის მარეგულირებელი სისტემა, ამდენად, აღარ ხდებოდა ტემპერატურის კონტროლი, რაც შეიძლება გამხდარიყო რეაქტორის თერმული აფეთქების წინაპირობა და შედეგად მომხდარიყო საშინელება. საჭირო იყო ნეიტრონების, რომლებიც ახორციელებენ ჯაჭვურ რეაქციას, შებოჭვა. რაც ხდება კადმიუმის ან ბორის ღეროებით, რომლებიც ხარბად შთანთქავენ ნეიტრონებს, მაგრამ, როგორ შეიტანეს იგი აქტიურ ზონაში, არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში, რეაქტორი გააცივეს და, ღმერთის წყალობით, მაშინ გადავრჩით. ამ ფაქტის ნათელი დადასტურებაა 1982 წლის ბოლოს მოსკოვში, ცენტრალურ კომიტეტში ახლად დანიშნული ანდროპოვის ხელმძღვანელობით შექმნილი დოკუმენტი, რომელშიც წერია: „მხოლოდ ბედნიერმა შემთხვევამ გვიხსნა საშინელი კატასტროფისგან, რომელიც, თანამშრომელთა დანაშაულებრივი დაუდევრობის გამო, შეიძლება მომხდარიყო ატომურ ელექტროსადგურში".

*— **ამ სადგურზე კიდევ იყო ავარიები?***

— 1985 წელს, რეაქტორის წესრიგში მოყვანის დროს, სისწრაფეში პერსონალმა სტრესულ მდგომარეობაში მოახდინა სერიოზული ავარია, შედეგად მოხდა აფეთქება, რასაც მოჰყვა მსხვერპლიც. იყო სხვა ავარიებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ინფორმაცია ჩვენ არ გვქონდა. დღესაც არ ვიცით, არადა, ნამდვილად მოახდენდა ჩვენზე გავლენას, მაგრამ, რამდენად და რა ზომები უნდა მიგვეღო, არ ვიცით. ეს კი დაუშვებელია. ყოველი ზემოთ დასახელებული მიზეზი ძალზე საგულისხმოა. ამაზე სისტემატურად ვწერდი უკვე 90-იანი წლების დასაწყისიდან, მაგრამ ამაოდ. სომხეთს, როგორც ჩანს, ყოველთვის ჰყავდა საქართველოში ძალზე ძლიერი ლობი. სხვანაირად წარმოუდგენელია ჩვენი ასეთი არასერიოზული დამოკიდებულება. სომხეთის ატომური სადგურის სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი, ვაგრამ პეტროსიანი, იმასაც კი ამბობს, რომ საქართველოს არა ჰყავს სპეციალისტები.

*— **რის საფუძველზე ამბობს პეტროსიანი ამას?***

— ალბათ, იმიტომ, რომ არასოდეს გამოგვითქვამს კვალიფიციური პრეტენზია, შეიძლება, ინფორმაციაც კი არ მოგვითხოვია. რაც შეეხება რადიაციას, მაღალი დონის სპეციალისტი მართლაც აღარ გვყავს. არადა, რადიაცია მეთოდურად ანადგურებს ქვეყანას. ამ დროს მედია, ფაქტობრივად, მხოლოდ გართობაზე, პოლიტიკასა და პოლიტიკოსებზე ამახვილებს ყურადღებას, რისთვისაც ღმერთმა შეიძლება დაგვსაჯოს. არ მოხდეს ისე, რომ სომხებთან ერთად მოგვიწიოს ახალი მიწებისა და სამშობლოს ძიება.

# ყაზახეთში ცხენის ხაშლამა ვჭამე

## როგორ დაიკლო დეპუტატმა მამუკა გაჩეჩილა ემ 39 კილო

ნანა მიშელაშვილი

**პარლამენტის წევრი მამუკა გაჩეჩილა ე ამბობს, რომ სიმთვრალეშიც და სიფხიზლეშიც თავი ბოლომდე უნდა აკონტროლო. დეპუტატი არ მალავს, რომ ღვინის დაყენება მაინცდამაინც კარგად არ გამოსდის, ამიტომ ამ საქმეს სხვას ანდობს.**

მამუკა გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ სკოლაში ცელქი ბავშვი არ იყო, თუმცა, არ მალავს, რომ საკუთარ თანაკლასელებთან ერთად კლასის ჟურნალის დაწვაში მონაწილეობა მიიღო. კლასის ჟურნალი ბიჭებმა სტადიონის ტერიტორიაზე ააგიზგიზეს, ამ „დანაშაულის“ ჩამდენის ვინაობა კი მასწავლებლებმა ვერ დაადგინეს.

რატომ არ უყვარს ნადირობა და თევზაობა, რატომ დაანება ჭადრაკსა და მუსიკას თავი და რატომ დაიკლო 30 კილოგრამი?

**„ახალი თაობა“ მამუკა გაჩეჩილაძეს ესაუბრა:**

***— გაჩეჩილაძეები საიდან ხართ და როგორია თქვენი გვარის წარმოშობა?***

— გაჩეჩილაძეები ვართ სოფელი წევადან. ეს არის შორაპნის ყოფილი მაზრა. იქ არის წმინდა გიორგის სახელობის საგვარეულო ეკლესია.

***— დიდი გვარი გაქვთ?***

— ამ სოფლიდან წამოსული გვარია, შემდეგ გაიზარდა.

***— საგვარეულო შეკრებები გაქვთ?***

— კი.

***— საგვარეულო გერბი გაქვთ?***

— ჯერჯერობით არა გვაქვს. როგორც ვიცი, ამის გაკეთებას აპირებენ... აქტიური ხალხი ვართ გაჩეჩილაძეები.

***— სკოლა სად დაამთავრეთ?***

— თბილისში, ახლა ზღვის უბნის დასახლება ჰქვია, ადრე თემქის დასახლება ერქვა. 143-ე სკოლა დავამთავრე.

***— როგორი ბავშვი იყავით, ცელქი თუ ზომიერი?***

— ცელქი ნამდვილად არ ვიყავი, ზომიერი ბავშვი ვიყავი.

***— ბავშვური სიცელქეები არ გახასიათებდათ?***

— კი, ბავშვური სიცელქეებიც მახასიათებდა.

***— „შატალოზე“ დადიოდით?***

— „შატალოზეც“ დავდიოდით და კლასის ჟურნალიც დაგვიწვავს.

***— ჟურნალი როგორ დაწვით?***

— ვერავინ გაიგო, ისე აიღო ჟურნალი ერთმა ჩემმა კლასელმა, რომელიც შემდეგ დიდი ბიზნესმენი გახდა და ახლა მის სახელსა და გვარს არ დავასახელებ. დიდი „გამოძიება“ ჩაატარეს, მაგრამ ვერავინ გაიგო, რა მოხდა.

***— ჟურნალი სად დაწვით?***

— „სიხარულის“ სტადიონის ტერიტორიაზე.

***— ახლა ჟურნალის „საიდუმლოს“ ფარდა აეხადა?***

— არა, სახელსა და გვარს არ დავასახელებ.

***— ბევრი ორიანი ჰყავდა იმ ბავშვს, რომელიც შემდეგ ბიზნესმენი გახდა თუ რატომ განიზრახა ჟურნალის მოპარვა?***

— სხვათა შორის, ის ბიჭი კარგი მოსწავლე იყო. რაღაც გაუგებრობა იყო პედაგოგთან. ეს ამბავი სპონტანურად მოხდა: კლასში ჟურნალი ნახა, არავინ არ იყო და მოიპარა. შემდეგ ბიჭები სტადიონზე წავედით, სადაც, მასწავლებლების გაგებით, ცუდი ბიჭები იკრიბებოდნენ და სიგარეტს ეწეოდნენ. იქ ავაგიზგიზეთ ჟურნალი.

***— ამ დროს რომელ კლასში იყავით?***

— მე-8 თუ მე-9 კლასში.

***— მსგავსი ფაქტი სკოლაში კიდევ ჩაგიდენიათ ჯგუფურად ან პირადად?***

— არა. დედა ამ სკოლაში პედაგოგი იყო და პატიოსნად ვიქცეოდი.

***— დედა გასწავლიდათ?***

— ერთი წელი მასწავლიდა მათემატიკას, შემდეგ აიკრძალა, არ შეიძლებოდა, რომ დედას შვილისთვის ესწავლებინა და სხვა კლასში გადავედი.

***— მათემატიკაში დედას ორიანი დაუწერია?***

— არა, რატომ უნდა დაეწერა? ორიანისკენ მიდრეკილი ბავშვი არ ვიყავი.

***— არც სხვა საგნებში მიგიღიათ ორიანი?***

— არა, ცუდი მოსწავლე არ ვიყავი.

***— მასწავლებლებს სიცელქის გამო კლასიდან გაუგდიხართ?***

— ხმაურის გამო მასწავლებელს უთქვამს, რომ კლასის ეს ნაწილი ადგეს და გარეთ გავიდესო. იმ ნაწილში მეც ვყოფილვარ.

***— „შატალოზე“ ძირითადად სად მიდიოდით?***

— ან თბილისის ზღვაზე, ან კინოთეატრ „სიხარულში“. იმ პერიოდში ყველაფერს „სიხარული“ ერქვა: სათამაშოების ქარხანას, სტადიონს, კინოს.

***— გოგონას გამო გიჩხუბიათ, საკუთარი შეყვარებულის ან მეგობრის შეყვარებულის გამო?***

— მაგ მხრივ რაღაც გაუგებრობები იყო. მაშინ ჩხუბამდე და სერიოზულ დაზიანებამდე არ მიდიოდა საქმე, დანის გამოყენება არ ხდებოდა.

***— ბავშვობაში ბოლმის გულში ჩადება იცოდით?***

— არა.

***— არც ახლა იცით წყენის გულში ჩატოვება?***

— არა.

***— სპორტის რომელიმე სახეობაზე დადიოდით?***

— კი, ერთი წელი დავდიოდი მაშინდელ პიონერთა სასახლეში, კარგი ნაყინი იყიდებოდა და იმას შევექცეოდი. გამოდიოდა, მარტო ნაყინის საჭმელად დავდიოდი, რადგან ჭადრაკში არ აღმომაჩნდა დიდი ნიჭი და თავი დავანებე.

***— კიდევ რაზე დადიოდით?***

— ფეხბურთზე დავდიოდი, ძიუდოზე.

***— შეჯიბრებებში მონაწილეობდით?***

— ჭადრაკზე როდესაც დავდიოდი, შეჯიბრებები ტარდებოდა, მეოთხე თანრიგი ავიღე, რომელიც „ჭ“ კლასი იყო.

***— ძიუდოზე სიარულის დროს ილეთები შეისწავლეთ?***

— კი.



***— მოწინააღმდეგის „იპონზე“ დადება შეგეძლოთ?***

— ვარჯიშის დროს „იპონზე“ დადება მარტივია.

***— ძიუდოს ილეთები ოდესმე თუ გამოგდგომიათ?***

— როგორ არა, „ძიუდოს“ კარგი წესები აქვს — თავაზიანად მისალმება, დაშორება, შერკინება... სპორტის დიდი მოყვარული ვარ, ყველა სახეობა მომწონს.

***— მუსიკაზე თუ დადიოდით?***

— არასრული განათლება მაქვს, ოთხწლედიც კი არ დავამთავრე.

***— რატომ? მუსიკაზეც ნაყინის საჭმელად ხომ არ დადიოდით?***

— არა. შევატყვე, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო და თავი დავანებე. უფროსი ძმა მყავს, რომელიც კარგად უკრავს ფორტეპიანოზე და, მისი შემხედვარე, მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო. ჩემი ოჯახი არ დავაზარალე, დროულად ვუთხარი, რომ მუსიკისთვის თავი უნდა დამენებებინა.

***— სუფრასთან სიმღერას ვერ აჰყვებით?***

— ავყვები. მე ტექნიკური უნივერსიტეტის ვაჟთა კაპელაში ვმღეროდი. გაჩეჩილაძეებს სიმღერის ნიჭი გვაქვს. ეს ვაჟთა სერიოზული კაპელა იყო, ბევრი ვიმოგზაურეთ და წარმატებებიც გვქონდა.

***— ძირითადად როგორ მუსიკას უსმენთ?***

— წყნარ, მშვიდ მუსიკას. ძალიან მიყვარს საქსოფონი.

***— საქსოფონზე დაკვრა შეგიძლიათ?***

— არა.

***— როგორი თამადა ხართ?***

— ქართველი ყველა კარგი თამადაა.

***— არა, ყველა არ არის კარგი თამადა, ზოგიერთი იჩემებს კარგ თამადობას...***

— შეიძლება...

***— ხშირად გიწევთ თამადობა?***

— არც ისე ხშირად, პარლამენტში კლასიკური განათლებამიღებული, სტაჟიანი, გამოცდილი თამადები არიან.

***— ვინ არიან ასეთები?***

— ბევრნი არიან.

***— უმრავლესობაში თუ ოპოზიციაში? ოპოზიციასთან ერთად თუ გიწევთ ქეიფი?***

— ხანდახან სუფრასთან ვხვდებით.

***— ზოგიერთმა დეპუტატმა დაიტრაბახა, რომ სუფრასთან 5-6 ლიტრი ღვინის დალევა შეუძლია. თქვენ ამ კონდიციამდე მიდიხართ?***

— წინა პარლამენტში ჩემი წონა უფრო მეტი იყო — 110 კილოგრამი. ახლა 81-83 კილოში ვტრიალებ. 4-5 ლიტრი ღვინის დალევის შემთხვევაში ბევრი რაღაცის წყალში გადაყრა მომიწევს, ამიტომ ჯობია, 1 ლიტრამდე ღვინო მივირთვა.

***— წონის დაკლება დიეტაზე ყოფნით მოახერხეთ?***

— კი. ფაქტიურად 30 კილომდე დავიკელი. ჯერ ჩამოვედი 100 კილოზე, შემდეგ — ნელნელა 81 კილოზე.

***— გაგიჭირდათ რაღაცებზე უარის თქმა?***

— თავიდან რთული იყო, შემდეგ — არა.

***— ძირითადად რომელი სასმელი გიყვართ?***

— ყველანაირი, განსაკუთრებით მიყვარს ქართული ღვინოები.

***— თქვენ თავად შეგიძლიათ ღვინის დაყენება?***

— კი, რამდენიმე მცდელობა მქონდა.

***— როგორ დამთავრდა, როგორი ღვინო დააყენეთ?***

— იმით დამთავრდა, რომ როდესაც შესაძლებლობა მაქვს, ყურძენს ვყიდულობ და სხვას ვაყენებინებ.

***— ანუ, რაშიც კარგად ვერ ერკვევით, დროზე ანებებთ თავს?***

— რა თქმა უნდა, რატომ უნდა გააფუჭო საქმე, ყურძენიც ხომ ცოდოა, მეგობრებიც ხომ ცოდონ არიან, მათ უნდა დაალევინო, შესთავაზო.

***— ღვინის დაყენება რთულია?***

— შესაბამისი პირობები სჭირდება, ჭურჭლით დაწყებული, შენახვით დამთავრებული.

***— ისე თუ დამთვრალხართ, რომ მეორე დღეს არ გხსომებიათ, რა მოხდა?***

— არა. თავი კონტროლდება ბოლომდე და თავი გვაკონტროლებს ბოლომდე.

***— ბავშვობაში რაიმე ტრამვა გაქვთ მიღებული?***

— არა.

***— ამ პარლამენტში დეპუტატებს შორის ნათესავი გყავთ?***

— კი, ბავშვის ნათლიები არიან გიორგი იმნაძე და ხათუნა გოგორიშვილი.

***— რამდენი შვილი გყავთ და რა ასაკის არიან ისინი?***

— ოთხი შვილი მყავს. უფროსი, თეკლა, 7 წლის არის, დავითი — 5 წლის, ქეთევანი — 3 წლის და მიქაელი — ერთი წლის და 6 თვის.

***— უფროსმა შვილებმა იციან, მამა სად მუშაობს?***

— კი. ასევე იციან ჩემი კოლეგების სახელები და გვარები.

***— იციან, პარლამენტში რას აკეთებთ?***

— კი, იციან, რომ კანონებზე ვმუშაობ, დარბაზში უნდა ვიჯდე, ხალხს უნდა შევხვდე.

***— ზოგიერთი დეპუტატის შვილს ჰგონია, რომ მამამისი ტელევიზორში მუშაობს, რადგან ხშირად ხედავს საკუთარ მშობელს ტელევიზიით. თქვენი შვილები რას ამბობენ, როგორ აღიქვამენ მამის სამსახურს?***

— უფროსმა შვილებმა იციან, რომ მამა რაღაც შენობაში მუშაობს, რომელსაც პარლამენტი ჰქვია. მე მცირეოდენი ხანი რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი. ბავშვებს ის სამსახური უფრო მოსწონდათ.

***— რატომ?***

— რკინიგზა უფრო კარგად ასოცირდებოდა მათ ცნობიერებაში, უფრო იცოდნენ, მატარებლებიდან გამომდინარე. მატარებელი უფრო გასაგები იყო, ვიდრე პარლამენტი.

***— რკინიგზაში როცა მუშაობდით, ბავშვები სამსახურში დაგყავდათ?***

— ხანდახან.

***— პარლამენტში გყავდათ მოყვანილი შვილები?***

— ხანდახან გოგონა მოდის, ჭადრაკზე დადის მოსწავლეთა სასახლეში. სწორედ იმ ოთახში დადის ჭადრაკზე, სადაც მე დავდიოდი.

***— ჭადრაკი მოსწონს?***

— სხვათა შორის, აქებენ. ჭადრაკიც მოსწონს და მუსიკაშიც წარმატებები აქვს.

***— შვილები ძირითადად რა საჩუქარს გთხოვენ?***

— 3 წლის ქეთევანმა თოვლის ბაბუას ზღაპრების წიგნი სთხოვა და მიიღო. მიქაელი იმდენად პატარა იყო, რომ საახალწლოდ არაფერს ითხოვდა, ახლა გაყაჩაღდა. უფროსი გოგონას სურვილს რომ ავყვეთ, ალბათ, 5 დეპუტატის ბიუჯეტი ვერ გასწვდება.

***— ასეთს რას ითხოვს 7 წლის გოგონა?***

— სხვათა შორის, გაჩუქების პროცესი უყვარს როგორც ნათესავებში, ისე მეგობრებში.

***— სკოლაში, თეკლასთან, თქვენ დადიხართ თუ მეუღლე?***

— ვცდილობ, კვირაში ერთხელ მაინც მივიდე გამოსაყვანად. დედაჩემი პედაგოგი იყო, მამაჩემი სკოლაში ფაქტიურად არც კი მოსულა. აშკარად ვატყობ, რომ ბავშვს სიამოვნებს სკოლაში მამის მისვლა. თუ დრო მაქვს, მე მივდივარ.

***— კლასელებმა იციან, რომ თეკლას მამა დეპუტატია?***

— კი, არ ვიცი, საიდან გაიგეს... ეტყობა, სადღაც მოჰკრეს ყური.

***— ოთხი შვილიდან უფრო რომელი გგავთ?***

— ოთხივეს მე მამსგავსებენ. ასე ამბობენ კეთილი ხმები.

***— თქვენი ნათესავები თუ მეუღლის?***

— მეტწილად ასე ამბობენ, ობიექტური მხარე ასე აფასებს.

***— შვილებიდან რომელიმე თუ გბაძავთ?***

— დავითი ჩაცმით მბაძავს. ამას წინათ ჩანთა მოითხოვა. არ ვიცი, რისთვის უნდა.

***— ბავშვები სათამაშოებს ხშირად ამტვრევენ?***

— სამივე შვილი ძალიან წყნარია, მეოთხე — მიქაელი, ხუმრობით ვამბობ, რომ აკიმია ფილმიდან „არაჩვეულებრივი გამოფენა“. ტელევიზორის პულტს აიღებს, რომლის გახსნა ჩვენთვისაც ძალიან რთულია, დაარტყამს ხელს და მაშინვე ელემენტები უჭირავს ხელში. მობილურს შლის, ელემენტი ცალკე უკავია და პირისკენ მიაქვს. მაგიდიდან ყველაფრის გადმოყრა უყვარს.

***— რაც შეეხება სამზარეულოს, კერძების მომზადება თუ იცით?***

— თბილისის გარდა, სხვადასხვა ქალაქში ვცხოვრობდი და, მინდოდა თუ არა, სადილის მომზადება მიწევდა. ვსწავლობდი მოსკოვსა და ბუდაპეშტში. თბილისში, ტექნიკური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, რუსეთში ვსწავლობდი დიპლომატიურ აკადემიაში, შემდეგ ვსწავლობდი ბუდაპეშტში. სადილის მომზადება ქართველებს ეხერხებათ, როგორც ფეხბურთის გარჩევა და პოლიტიკა. ვერ დავიბრალებ, რომ ხორცეულისა და წვნიანი კერძების მომზადების დიდოსტატი ვარ, მაგრამ რაღაც-რაღაცებს კარგად ვაკეთებ.

***— მაგალითად, რას?***

— დილაობით კარგად შემიძლია „ჰერკულესის“ მომზადება.

***— ეგ ყველას შეუძლია...***

— არა, ყველას არ შეუძლია, მე ჩირის სხვადასხვა დოზირება ვიცი და იმის მიხედვით ვამზადებ. განსაკუთრებით უხდება გარგარის, ქლიავისა და ალუბლის ჩირი.

***— პარლამენტიდან ხშირად გიწევთ ყაზახეთში ვიზიტი. ცხენის ხორცი გაგისინჯავთ?***

— კი. ცხენის ხორცის მორთმევა იქ პატივისცემად ითვლება. ცხენის ხორცისგან ბევრი რამ მზადდება, დაწყებული ძეხვეულობით, დამთავრებული ჩვეუნებური ხაშლამის სტილში მომზადებული ხორცით.

***— ცხენის ხორცისგან მომზადებული ხაშლამა გემრიელია?***

— ხბოს ხორცს ვერ შეედრება.

***— მათი ეროვნული საჭმელი გაგისინჯავთ?***

— კი, ბეშმაკი ჰქვია, ხუთი თითით იჭმევა, ცომეულისგან მზადდება.

***— ნადირობა გიყვართ?***

— სანადიროდ ვყოფილვარ, მაგრამ არასდროს არაფერი მომიკლავს.

***— ძაღლი გყავთ?***

— კი, კავკასიური ნაგაზი. მეგობარმა კარლო კვიტაიშვილმა მაჩუქა. ძაღლს ბელტა ჰქვია, ახლა 10 თვისაა. ძალიან წარმატებული ძაღლია, სპორტის სასახლეში კავკასიური ნაგაზების ტურნირი ჩატარდა და ბელტა იუნიორ გოგონებში ჩემპიონი გახდა, შემდეგ შეაჯიბრეს იუნიორი ბიჭი და აჯობა. შემდეგ გაიყვანეს ქალებში და მოიგო, ბოლოს ფინალი წააგო 3-4 წლის ძაღლთან. ბელტამ დაიმსახურა სამი თვის საკვები, დივიდი აპარატი და ორი კარგი თასი. მეტი რა ქნას 10 თვის ძაღლმა?

# სააკაშვილი ნაციონალების საარჩევნო სიას ჩაუდგება სათავეში

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთ ლიდერ ინგა გრიგოლიასთან

***— ინგა, დღეს ოპოზიციური პარტიების ნაწილის მხრიდან აქტიურად მიდის საუბარი რევოლუციების მოწყობის შესახებ. რას ფიქრობთ ამ დაანონსებული რევოლუციების შესახებ?***

— ამას პირველად არ ვისმენთ. ჯერ კიდევ ჟურნალისტიკაში ყოფნის პერიოდში ვაშუქებდი თემებს, როგორ დაანონსებულა არაერთხელ ესა თუ ის რევოლუცია, თუმცა, სამწუხაროდ, ერთადერთი რევოლუცია, რომელიც მე ვნახე, თუ არ ჩავთვლით ზვიად გამსახურდიას დროინდელ სამოქალაქო ომს და პირველი პრეზიდენტის გაგდებას, ეს იყო ვარდების რევოლუცია. შესაბამისად, ახალი იმაში ჩემთვის, რომ პარტიები ან ოპოზიციის ლიდერები აანონსებენ რევოლუციას, არაფერია. სხვა საქმეა, რამდენად მოახერხებენ ისინი ამის განხორციელებას და საკუთარი მიზნების სისრულეში მოყვანას. ამას მომავალი გვიჩვენებს. პირდაპირ გეტყვით, არაერთხელ გვითქვამს ჩვენ, რომ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა არის ის პარტია, რომელსაც არ მიაჩნია გამოსავლად რევოლუციური გზა, იმიტომ რომ მე მაშინაც წინააღმდეგი ვიყავი, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ე.წ. ვარდების რევოლუცია ხდებოდა და როცა ჩემი მეგობრები და კოლეგები გამარჯვებულ ჟურნალისტებად აცხადებდნენ თავს, ძალიან ცუდ ხასიათზე შევხვდი ამ რევოლუციას. ზუსტად ვიცოდი, რა ძალა მოდიოდა ხელისუფლებაში. მიმაჩნია, რომ რევოლუციის გზით მოსული ხელისუფლება არასოდეს არის ქვეყნისთვის კარგი. ის რჩება მოძალადე ხელისუფლებად. შესაბამისად, არ ვემხრობი რევოლუციის გზას და იმიტომაც ავირჩიე ის პოლიტიკური ორგანიზაცია, როცა პოლიტიკაში წასვლა გადავწყვიტე, რომელიც ცალსახად აცხადებს, რომ ქვეყანაში უნდა შეიცვალოს სიტუაცია არჩევნების გზით. მე ცოტა სხვა ხედვა მაქვს ჩვენი ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით.

***— როგორი?***

— იმედს ვიტოვებ, მომავალი არჩევნების გზით უმრავლესობით ველარ მოვა ნაციონალური მოძრაობა, თორემ ახლა იმისი ილუზია, რომ, დავუშვათ, ნაციონალურ მოძრაობას შენ მთლიანად სახლში გაუშვებ, დღეს არავის აქვს, იმიტომ რომ მინიმუმ ფინანსური, ძალოვანი, სახელისუფლებო, სტრუქტურული რესურსები მთლიანად მათ ხელშია, მაგრამ, თუკი ოპოზიცია თავად დაიწყებს ერთმანეთისგან გარიყვის თამაშს, თუკი ოპოზიცია კვლავ არ დაიწყებს ერთმანეთის ჩარეცხვას და მიშასთვის ყველაზე სასიამოვნო გეგმის, ოპოზიციის მხრიდან ერთმანეთის დაჭმას ვგულისხმობ, განხორციელებას, მაშინ აუცილებლად მოვა ხელისუფლებაში. ჩემი აზრით, ჩვენი ქვეყანა უნდა იყოს არა ერთი პარტიის სამართავი. მე გამოსავლად მიმაჩნია კოალიციური მთავრობა, პარლამენტში ოპოზიციის ყოფნა უმრავლესობაში და არა ერთი რომელიმე პარტიისა, სახელისუფლებო იქნება ეს თუ ოპოზიციური და ძალიან, ძალიან მშვიდობიანი გარდამავალი პერიოდის აუცილებლობაზე ვსაუბრობთ. რაც შეეხება რევოლუციებს, არ ვიცი, მე მას სკეპტიკურად ვუყურებ. თუმცა, ყველას აქვს თავისი გეგმა, ვნახოთ. ჩვენ ქუჩაში გასვლისგან არასოდეს შევიკავებთ თავს, თუკი ეს იქნება ძალიან კონკრეტული გეგმა, კონკრეტული თემები, სოციალური და ასე შემდეგ, მაგრამ ასე უბრალოდ დაანონსებული რევოლუციების დიდი იმედები მე პირადად არ მაქვს.

***— ერთია, როდესაც აანონსებენ, მაგრამ მეორეა მისი განხორციელება. არის დღეს ქვეყანაში ისეთი ძალა, რომელსაც რევოლუციის მოწყობა შეუძლია ამ ხელისუფლებისთვის? ვგულისხმობ რადიკალურ ოპოზიციას...***

— დღეს ჩვენს ქვეყანაში რადიკალურ ოპოზიციას ყოველთვის ჰყავს თავისი მხარდამჭერი. დღეს ჩვენს ქვეყანაში არის უამრავი გამწარებული, პატივაყრილი ადამიანი ამ ხელისუფლებისგან, რომლებსაც ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მათი ხედვა არის ძალიან რადიკალური. როდესაც შენ არჩევნებს ახსენებ მათ წინ, როგორც აფთრები, ისეთ ოპოზიციაში გიდგებიან, იმიტომ რომ, როცა ხარ გამწარებული, როცა გტოვებენ 40 წლის ასაკში უმუშევარს, დაგიჭერენ ოჯახის წევრებს, სამსახურიდან გაგაგდებენ, ქვითრებს შემოგილებენ ერთიანს და სადამსჯელო ღონისძიებებს გაატარებენ, თუკი წყალს არ გადაიხდი, დენსაც ჩაგიჭრიან, თუკი ამოსუნთქვის საშუალებას არ გაძლევს ხელისუფლება, რასაკვირველია, ადამიანი ხდება ძალიან რადიკალური. იმიტომ ვამბობ ამას, რომ, რა თქმა უნდა, რევოლუციას თავისი მომხრეები ჰყავს ჩვენს ქვეყანაში და არაერთხელ გვინახავს ძალიან რადიკალურად განწყობილი უზარმაზარი საპროტესტო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა. ამას სჭირდება მხარდაჭერა, სერიოზული გეგმა. მე გაგახსენებთ რევოლუციას, თუნდაც იგივე ე.წ. ვარდების არ მომხდარა სპონტანურად. როგორც მერე აღმოჩნდა, შევარდნაძის უშიშროების მინისტრიც კი გარიგებული ჰყავდა, მინუს ნარჩემაშვილი, დანარჩენი ყველა გარიგებული იყო მიშასთან. საბოლოო ჯამში ასე გამოვიდა. პარლამენტის კარიც კი გაუღეს იქ შევარდნილ სააკაშვილს თავის ამალასთან ერთად და ეს გააკეთეს შევარდნაძის მთავრობის წარმომადგენლებმა, შევარდნაძის ძალოვნებმა. მეტი ვისზე უნდა ვთქვათ, პირდაპირ უშიშროების მინისტრი, იგივე უშიშროების საბჭოს მდივანი — ყველა აღმოჩნდა გარიგებული. დღეს თუ ხელისუფლებასთან არ გაქვს რაღაც ლინკი, თუ ასეთი ტიპის მხარდაჭერა სახელისუფლებო წრეებისგან არ გაქვს, მეეჭვება რევოლუციის განხორციელება.

***— ხშირად მომისმენია შეფასებები, რომ ასევე აუცილებელია დასავლეთისა და რუსეთის მხარდაჭერაც, ისე ოპოზიციას არაფერი გამოუვა, სააკაშვილი სწორედ რომ მათი მხარდაჭერით მოვიდა ხელისუფლებაში...***

— თუ დასავლეთის პოზიციას გადავხედავთ, დასავლეთი აშკარად არჩევნების მომხრეა და, აქედან გამომდინარე, ვეჭვობ, რომ რევოლუციურ პროცესებს დასავლეთისგან დიდი მხარდაჭერა ჰქონდეს. რაც შეეხება რუსეთს, ეს მარადიული მტრის ხატის ძიებაა. ახალს არაფერს ვიტყვი. ამ ეტაპზე რომ არ მოგატყუოთ, ვერც იმის საფრთხეს ვხედავ, რომ რაღაცა რევოლუცია მოხდეს ქვეყანაში და სისხლი დაიღვაროს, იმის მიუხედავად, რომ ჩვენ ვხედავთ, მსოფლიოში რევოლუციური ტალღა როგორი აგორებულია. ამ ყველაფრის მიუხედავად, არ მაქვს დიდი მოლოდინი. სააკაშვილის მხარდაჭერას რაც შეეხება, სააკაშვილი კი უჭერდა მხარს, მაგრამ გაგახსენებთ, რომ ორჯერ უსერიოზულეს დღეს, ერთხელ, როცა შევარდნაძე გადადგა და მეორედ — ასლან აბაშიძე, აქ იგორ ივანოვი იმყოფებოდა, რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი. ამას შემთხვევით არ ვიხსენებ. თქვენ გახსოვთ, რევოლუციონერებთან ერთად როგორ გამოვიდა რუსთაველზე პარლამენტის წინ ბატონი ივანოვი.

***— სწორედ ამიტომ ვახსენე რუსეთის მხარდაჭერა...***

— ანუ ვინ ვის უჭერდა მხარს, კიდევ საკითხავია. ხომ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ. შესაბამისად, ასეთი ტიპის მხარდაჭერები ყოველთვის არსებობს, მაგრამ მე მაინც ვთვლი, რომ ჩვენი ქვეყნის ბედი უნდა შევცვალოთ ჩვენ თვითონვე. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რაღაცა ძალიან დიდი შეცდომები თუ არ იქნა ისევ დაშვებული, ისევ თუ არ დაიწყო ოპოზიციამ ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლა, მე მგონია, რომ ძალიან მალე, 2012 წლის შემდეგ, ქვეყანაში შეიცვლება პოლიტიკურ ძალთა ბალანსი. მე ვარ ბუნებით არარევოლუციონერი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან აქტიური ტიპი ვარ და თითქოს ძალიან ემოციური, არ მიყვარს რევოლუციები. მძულდა 2003 წლის რევოლუცია. არ ვუჭერდი მხარს. შესაბამისად, დღესაც ახალს არაფერს ვამბობ. მე არ მჯერა, რომ ჩვენს ქვეყანაში დღეს შეიძლება მოხდეს რევოლუცია. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ თუ ვინმე მეტყვის, რომ აქვთ რაიმე ტიპის გარანტია თუნდაც ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან, ჩვენს ხელისუფლებაში არსებულ ძალოვან სტრუქტურებს ვგულისხმობ, ასეთ შემთხვევაში მაშინ შეიძლება ვისაუბროთ. თქვენ რა გგონიათ, შემთხვევითი იყო, როდესაც ვანო მერაბიშვილზე ითქვა, ქვეყნის ხერხემალიაო? ანუ რევოლუცია მხოლოდ გარედან არ ხდება.

***— ციხე შიგნიდან ტყდებაო...***

— დიახ, ციხე შიგნიდან ტყდება და ვნახოთ, რა როგორ განვითარდება. მე, მაგალითად, მაქვს ინფორმაცია, თქვენ გეტყვით ახლა პირველად: სახელისუფლებო წრეებში ძალიან აქტიურად განიხილება ასეთი გეგმა: საპარლამენტო არჩევნების დროს სიის პირველი ნომერი იყოს მიხეილ სააკაშვილი. ეს არ არის ნაცარქექიას ზღაპრები. ეს არის ძალიან რეალური ინფორმაცია, ყოველ შემთხვევაში, ახლა რაც მუშავდება, ანუ შესაძლებელია, სააკაშვილმა უცებ პარლამენტის არჩევნების წინ მოიხსნას პრეზიდენტის უფლებამოსილება და, ფიქრობენ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ხომ არ ჩატარდეს ერთად. სიის პირველი ნომერი, ძალიან დიდი შანსია, იყოს მიხეილ სააკაშვილი. მას ჰგონია, რომ ძალიან მაღალი რეიტინგი აქვს და განიხილება ეს ვარიანტი, ის იყოს თავისი გუნდის ლოკომოტივი და, მერე პარლამენტის თავმჯდომარე იქნება თუ პრემიერ-მინისტრი, ეს უკვე სხვა თემაა, თუკი მათ დარჩებათ გამარჯვება. ეს ძალიან სერიოზული გეგმაა და, სხვათა შორის, არ არის აზრს მოკლებული. განიხილება რამდენიმე კანდიდატი, ვინ შეიძლება იყოს სააკაშვილის შემცვლელი პრეზიდენტობისთვის. ერთ-ერთი ასეთი კანდიდატი, როგორც ვიცი, ბოლო ვერსიების მიხედვით, შესაძლებელია იყოს სულაც დავით ბაქრაძე. მათ ძალიან კარგად იციან, რომ ნაციონალური მოძრაობა ვერ მოიგებს და სწორედ ამიტომ მუშავდება ასეთი გეგმები, რომ მთელი რესურსი, საპარლამენტოც და საპრეზიდენტოც, წავიდეს ერთ არჩევნებზე. ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, რომ თუ ამ ქვეყანაში არჩევნები ჩატარდა და ის მაინც დაათმობინეს, რაც ოპოზიციურმა რვიანმა მოითხოვა, ამ შემთხვევაში ნაციონალური მოძრაობა ვერ მოვა უმრავლესობით.

***— სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ მითხრა ერთ-ერთმა ექსპერტმა, რომ სააკაშვილი ვერ გახდება ვერც პრეზიდენტი, ვერც პრემიერ-მინისტრი. მას, უბრალოდ,***



***მხარდაჭერა არ ექნება დასავლეთისგან და ის იქნება პარლამენტის თავმჯდომარე...***

— ჰოდა, ზუსტად ეგ არის. მე როდესაც ჟურნალისტი ვიყავი და ტელევიზიაში ვმუშაობდი, ყოველთვის მყავდა ჩემი ინფორმაციის წყაროები. ეს ინფორმაცია მაქვს ძალიან სერიოზული ადამიანებისგან. ჯერ გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ, ბოლო დროის გეგმაა, მიშა გადადგეს საპარლამენტო არჩევნების წინ და მერე კიდევ უნდა დაგვამადლოს, აი, პირველი ვადა ხომ 7 ნოემბერს გადავდექი და შევიმოკლე, რა გინდათ, მეორე ვადასაც ვიმოკლებო, ანუ ის იყოს სიის პირველი ნომერი. სააკაშვილის პრემიერობას არ დაუჭერს მხარს დასავლეთი. როცა საფრთხეებზეა საუბარი, მოდით, პირდაპირ ვთქვათ, არის სიგნალები, რომ მას დასავლეთიდან ძალიან დიდი წინააღმდეგობა ექნება. ჯონ ბასი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, ტყუილად არ აკეთებს ასეთ სერიოზულ განცხადებებს. ელჩის პირით ლაპარაკობს მისი სახელმწიფო, როდესაც ის საუბრობს ხელისუფლების არადემოკრატიულობაზე. მის პრემიერობას მხარს არავითარ შემთხვევაში არ დაუჭერენ. სააკაშვილი ამ შემთხვევაში უნდა გახდეს პუტინი, უნდა თუ არ უნდა, უკვე თავისით უნდა გადაიხაროს რუსეთისკენ. ხომ გვიმტკიცებს, რომ არაპრორუსულია. თუ იგი წავა პუტინის გზით, მაშინ თვითონ ყოფილა ზუსტად პუტინის გეგმის გამტარებელი ამ ქვეყანაში. ძალიან დიდი შანსია, რომ ის გახდეს პარლამენტის თავმჯდომარე, თუ მოვა უმრავლესობით ნაციონალური მოძრაობა. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ უნდა ვემზადოთ ძალიან სერიოზულად არჩევნებისთვის, იმიტომ რომ მიშა, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს საპარლამენტო სიის ნომერი პირველი, გახდეს რიგითი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში. რა, არ შეიძლება? მე სიამოვნებით ვნახავდი მას რიგით დეპუტატად თუნდაც ჩვენს ოპოზიციაში.

***— თუმცა, არის ვერსიები, რომ გახდება პარლამენტის თავმჯდომარე და მთელ ძალაუფლებას პარლამენტს დაუმორჩილებს...***

— ძალაუფლების შესახებ საუბრები უკვე ალბათობის თეორიაა. შეგახსენებთ, რომ პარლამენტის თავმჯდომარე, ისეთი ძლიერი, როგორიც იყო ზურაბ ჟვანია, სხვა არ მინახავს საქართველოში. შესაბამისად, პიროვნების ძალაუფლებაზე დღეს ვერ ვისაუბრებთ. რა ძალთა ბალანსი იქნება, ისიც არ იცის კაცმა. თუ ჭკუით მოვიქცევით, ოპოზიციური პარტიები, ვერ გახდება მიშა პარლამენტის თავმჯდომარე, მაგრამ ეს ვერსიაა, რომ იგი სავარაუდოდ ნაციონალების მხრიდან შეიძლება დასახელებული იყოს პირველ ნომრად, დამიჯერეთ, არ არის ჭორი. ეს არის ძალიან რეალური. თუ არადა, გავა რაღაც პერიოდი და მე და თქვენ შესაძლებელია ამის მოწმენი გავხდეთ. უბრალოდ, ეს ერთ-ერთი ვერსიაა და არა ერთადერთი.

***— რაც შეეხება ოპოზიციური რვიანის საქმიანობას, რადიკალები აცხადებენ, რომ ეს, უბრალოდ, დროის ფუჭი კარგვაა და მეტი არაფერი...***

— რისთვის უნდა გაიყვანოს დრო ფუჭად ოპოზიციურმა რვიანმა? იქ არიან გაერთიანებული ადამიანები, მოდი, ვთქვათ პირდაპირ, რომლებიც ემხრობიან არჩევნებს. აქ გაერთიანებული პოლიტიკური პარტიები პირდაპირ ამბობენ, რომ ისინი არ აპირებენ რევოლუციას. ამიტომ დრო ფუჭად კი არ გაჰყავთ, უბრალოდ, ემზადებიან და იყენებენ დროს დაგეგმილი არჩევნებისთვის. ქოთანს ყურს საიდანაც გვინდა, იქიდან მივაბამთ. თუ მე მინდა ვთქვა, რომ ფუჭად გაგყავს — გაგყავს, მაგრამ, თუ მე ვამბობ, რომ არჩევნებისთვის ვამზადებ გარემოს, იმიტომ რომ მერე მე მოვიდე დიდი უმრავლესობით, ნაციონალურ მოძრაობას წავაგებინო ეს არჩევნები, ამ შემთხვევაში დრო ფუჭად კი არ გაგყავს, უბრალოდ, შენ შენს საქმეს აკეთებ იქამდე, ვიდრე დაგეგმილი არჩევნები მოვა. კიდევ ერთხელ ვიტყვი — შეიძლება, ეს არის ბევრი ჩვენი თანამოქალაქის თვალში მიუღებელი და არაპოპულარული, მაგრამ ჩვენ არ ვემხრობით რევოლუციას, არჩევნებით უნდა შეიცვალოს ეს ხელისუფლება. რევოლუციით ეს ხელისუფლება ვერ შეიცვლება. კიდევ ერთი — შევარდნაძისგან განსხვავებით, გაძლევთ იმის გარანტიას, რომ ნაციონალური მოძრაობა და მიხეილ სააკაშვილი აუცილებლად სისხლს დაღვრიან, თუკი სიტუაცია აქ დაიძაბება. მე ასე მგონია, იმიტომ რომ ჩვენ ვნახეთ 7 ნოემბერი. ერთადერთხელ ვნახეთ, როგორ შევიდა თავის დროზე „რუსთავი 2"-ში საგადასახადო პოლიცია, ხომ გახსოვთ?

***— კი, როგორ არა...***

— ალბათ, ისიც გემახსოვრებათ, რა ამბები ატყდა მაშინ. თურმე როგორ გაბედა შევარდნაძემ და შეუშვა საგადასახადო პოლიცია „რუსთავი 2"-ში. მან მერე ბრძანება გასცა და უკან გამოიყვანა. ხომ გახსოვთ, როგორი ჩართვები იყო და როგორი ორომტრიალი და გინდათ თუ არა, ეს იყო შევარდნაძე, რომელმაც მშვიდობა არჩია. ახლა პარალელი გაავლეთ, რამდენიმე წლის შემდეგ პრეზიდენტი სააკაშვილი შემოვარდა „იმედში" და თავში გვირტყა, პირდაპირი მნიშვნელობით და რაც მოხდა, ამის თავიდან მოყოლას აღარ დავიწყებ. აქედან გამომდინარე, თუ მოხდა გადატრიალება, ის აუცილებლად ძალას გამოიყენებს. სააკაშვილი არ არის შევარდნაძე, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, ძალიანაც უწევდა ანგარიშს, ის იქნებოდა ბოლოში დემოკრატი თუ არა.

***— სხვათა შორის, ხშირად მომისმენია შეფასებები, რომ თუ რევოლუციის საფრთხეს დაინახავს, სააკაშვილისგან კადაფი ორს მივიღებთ...***

— მეთანხმებით თუ არა, რომ 7 ნოემბერს რაც მოხდა, ის შეიძლება მომხდარიყო ჩვენს ქვეყანაში, რა, ვინმე უვარდებოდათ პარლამენტში? აბსოლუტურად მშვიდობიანი აქცია დაარბიეს. გავიხსენებ ერთ მომენტს — შვიდში გიორგი იჯდა ღია ეთერში, ექსში ვიჯექი მე და მაშინ მახსოვს პირდაპირ ჩართვაზე გავუშვი სოფო ნიკოლეიშვილი. ის მეუბნება, არ ჩავრთოთ პარლამენტის შენობა, სირცხვილია, რაღაცა 4-5 კაცილააო, ანუ უკვე დაშლილი მიტინგი დაარბიეს და თვითონვე პროვოცირება მოაწყვეს იმ ყველაფრისა, მერე რაც მოხდა. დაშლილი მიტინგი ძალით დაარბიეს, პროვოცირება გააკეთეს, ტელევიზიაში შემოცვივდნენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, რაღაცა სერიოზული ექსცესის დროს როგორ ჩაერთვება აქ ძალა. არ დამავიწყდება, რა დღეში იყო მაშინ სპეცრაზმი, როგორ მოგვდევდნენ, როგორ გვირტყამდნენ. მე ასე ვვარაუდობ. შეიძლება, ეს ჩემი ვარაუდია და სულაც არ ვამბობ ჭეშმარიტებას. უბრალოდ, ჩემს ვერსიებს გაცნობთ.

***— რამდენად არის იმის შანსი, რომ ვადამდელი არჩევნები დანიშნონ?***

— ვადამდელი არჩევნების შანსი, არ ვიცი, რამდენად შეიძლება იყოს. რამდენადაც ვხვდები, ისინი ჯერჯერობით ამას არ აპირებენ. მაგრამ საარჩევნო რეჟიმზე უკვე გადასულია მთელი ქვეყანა, მათ შორის, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც. იგივე ოპოზიციური რვიანის ეს გამალებული მუშაობაც ამას უკავშირდება. ვადამდელ არჩევნებს არ ველოდები, მაგრამ აუცილებლად ველოდები იმას, რაც გითხარით, რომ შესაძლოა სააკაშვილი საპარლამენტო ალჩევნების წინ უცებ გადადგეს პრეზიდენტობიდან და იგი ვიხილოთ სიის პირველ ნომრად.

# ჩვენ ტყუილად დაგვაპატიმრეს

## რას ისახავდა მიზნად იგორ გიორგა ის მომხრეთა დაკავება

შორენა გონგლა ე

### ინტერვიუ ყოფილ პოლიტპატიმარ ზაზა დავითაიასთან

***— ზაზა, მოდი გავაკეთოთ იმ მოვლენების შეფასება, რაც მოხდა ოთხნახევარი წლის წინ, რამდენად რეალური იყო თუნდაც ნაწილობრივ ის ბრალდებები, რაც შენი და შენი მეგობრების მიმართ იყო წაყენებული?***

— ბრალდება აბსოლუტურად ყალბი რომ იყო, ამაში ალბათ საზოგადოებას ეჭვიც არ ეპარება, რადგანაც არა მხოლო ქართველმა საზოგადოებამ, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებმაც გვაღიარეს პოლიტპატიმრებად. გარდა ამისა, ევროპულ სასამართლოშიც არის წარდგენილი სარჩელი, მაგრამ თუ იმაზე ვისაუბრებთ, ჩვენ რატომ დაგვიჭირეს, მე შემიძლია პირაპირ გითხრათ თუ რატომ დაგვიჭირეს. იმიტომ, რომ ხელისუფლებას სჭირდებოდა წარმოეჩინა მტრის ხატი რუსეთის სახით და სჭირდებოდა ადამიანების გარკველი კატეგორია, რომლებიც ვითომდა ამ მტრის დავალებით მოქმედებდნენ და ასრულებდნენ დესტრუქციულ ქმედებას საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ და გეგმავდნენ გადატრიალებას; ანუ ჩვენ უდანაშაულო ადამიანები გავხდით მსხვერპლი იმ ავანტურისტლი სცენარისა, რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენგან მტრის ხატის გამოყვანას და შემდეგ სამაგალითოდ დასჯას. ამ თვალსაზრისით დაგვაპატიმრეს და მოგვისაჯეს საკმაოდ ხანგრძლივი სასჯელები. მინდა ვთქვა, რომ ჩვენი გუნდი აღმოჩნდა ერთერთი პირველი, რომლებმაც არ ვაღიარეთ ჩვენზე დაბრალებლი დანაშაული დაპირებული თავისუფლების სანაცვლოდ. მაია თოფურია, თემურ ჟორჟოლიანი, რამაზ სამიძე და კახა ქანთარია დღემდე რჩებიან მიხეილ სააკაშვილის საპყრობილეში და ისინიც ისევე უდანაშაულონი არიან, როგორც ჩვენ. ის ავანტურისტული პოლიტიკა, რომელიც ჩვენი დაპატიმრებით დაიწყო, კიდევ გრძელდება.

***— წინასწარ დაწერილი სცენარი, რომელზეც თქვენ საუბრობთ, ყველანაირ საფუძველს მოკლებული ვერ იქნებოდა, ანუ კვამლი უცეცხლოდ ვერ იქნება...***

— თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ კვამლი უცეცხლოდაც ჩნდება და ეს სწორედ ის შემთხვევაა. აქ ცოტა უფრო დიდი ჩანაფიქრი იყო, მაგრამ ეს ჩანაფიქრი არ გამოუვიდა ხელისუფლებას. ხელისუფლებას სურდა „გაეხსნა“ უფრო ფართომასშტაბიანი შეთქმულება, ვითომ რუსეთისგან დადგმული საქართველოს წინააღმდეგ და მისი რამდენიმე რგოლი მოეთავსებინა ერთ ჯაჭვში. ჯერ დაიჭირეს ბათიაშვილი, შემდეგ დაგვიჭირეს ჩვენ, შემდეგ დაიჭირეს რუსი პოლკოვნიკები ჯაშუშობის ბრალდებით. ხელისუფლებას სურდა ისე წარმოეჩინა, რომ თითოეული ეს ბრალების საქმე, რომელიც შეთხზული იყო, სინამდვილეში იყო ერთიანი ჯაჭვი და ამ ჯაჭვის საფუძველი და საწყისი იყო ის 2006 წლის 4 მაისის შეთქმულება, რომელზეც თითქოსდა ჩვენი მხრიდან დაიგეგმა სახელმწიფო გადატრიალება; მაგრამ რუსი პოლკოვნიკების დაჭერის შემდეგ რუსეთის ოფიციალური წრეებიდან ისეთი მძაფრი რეაქცია იყო, რომ ხელისუფლებამ თავისი ჩანაფიქრი ველარ განახორციელა. იძულებული გახდა, ის რუსი პოლკოვნიკებიც, ახლა ვრწმუნდები, რომ ჩვენსავით უდანაშაულოები იყვნენ, სასწრაფოდ გადაეცათ რუსეთისათვის, ხოლო ბათიაშვილის და ჩვენი საქმე ცალ-ცალკე რგოლებად განეხილათ, თორემ მაშინ დაგეგმილი იყო, რომ ეს ერთიან სცენარად წარმოეჩინათ. აქედან გამომდინარე, სწორედაც, რომ უცეცხლოდ არის ეს კვამლი დატრიალებული და ეს ისეთივე ცრუ სასწაულია მიხეილ სააკაშვილის მიერ მოხდენილი, როგორც მას შემდეგ დატრიალებული კიდევ ბევრი მოვლენა. ჩვენ შემდეგ მართლა ბევრ ძალას მიადგა მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც პრორუსულობასთან არანაირი შეხება არ ჰქონდა, მაგრამ უკვე ისეთ ძალებს დააბრალა პრორუსულობა, რომ თვითონაც გაკვირვებული დარჩნენ ის ძალები.

***— გამოდის, რომ ეს იყო თვითპიარი, ძალის დემონსტრირება, მაგრამ ვის წინაშე ცდილობდა თავის წარმოჩენას სააკაშვილი?***

— სააკაშვილს ჰყავს საკმაოდ მძლავრი პატრონი და ესენი არიან ამერიკის შეერთებულ შტატებში ე.წ. „ქორების“ შემადგენლობა, რომლებიც არიან რესპუბლიკურ პარტიაში და რომლებიც განკარგავენ მსოფლიოში აგრესიულ პოლიტიკას. ისინი უკეთებენ სააკაშვილს „კრიშას“ და უბიძგებენ ავანტიურისტული ქმედებებისკენ. აგვისტოს ომიც სწორედ მათი წაქეზებით დაიწყო სააკაშვილმა იმის იმედით, რომ რაღაც წარმატებას მიაღწევდა. თუმცა სააკაშვილი სასტიკად დამარცხდა, მაგრამ მთელი უბედრება იმაში მდგომარეობს, რომ სააკაშვილი კი არ დამარცხდა, ამ შემთხვევაში დამარცხდა საქართველო. სააკაშვილმა თავი პიროვნულ გამარჯვებად წარმოაჩინა, საქართველომ დაკარგა ტერიტორიები და დაკარგა გეოპოლიტიკურ სივრცეში საკმაოდ დიდი გავლენა. გარა ამისა, ეს ადამიანები დღესაც მფარველობენ სააკაშვილს და თუკი დღეს




სააკაშვილი რჩება ხელისუფლებაში, სწორედ მათი დამსახურებაა, იმის მიუხედავად, რომ ამერიკის ხელისუფლებას განაგებს დემოკრატიული პარტია, ობამას ადმინისტრაციაც კი იძულებულია გაუწიოს გარკვეული ანგარიში. ამიტომაც სააკაშვილი დღემდე ინარჩუნებს თავის ძალაუფლებას, თუმცა მე ვთვლი, რომ ეს ყველაფერი დროებითია და მოვლენები სულ მალე სხვაგვარად განვითარდება.

***— გასაგებია, რომ თავს თვლით უდანაშაულოდ, მაგრამ რას იტყვით მაია ნიკოლეიშვილის მიერ მიცემულ ჩვენებაზე?***

— ჩვენ დაგვაკავეს 70-მდე ადამიანი, აქედან დაგვაპატიმრეს 13, მაგრამ აქედან მაია ნიკოლეიშვილმა ცრუმოწმეების მიერ მიცემული ჩვენება გაამყარა, იგივე გაიმეორა, თითქოს შეთქმულება მართლაც შედგა და ამით გაამყარა ცრუ მოწმეების ბრალდება და შედეგად ჩვენ გაგვისტუმრა ციხეში, ხოლო მას მიუსაჯეს პირობითი სასჯელი ორი წლის ვადით. მე გულწრფელად მეცოება მაია ნიკოლეიშვილი, ის სასამართლოზე იყო ცოცხალი მიცვალებული, დამსგავსებული იმ მიცვალებულებს, რომელთაც მორგის მაგიდაზე ოდესღაც თვითონ კვეთავდა. გვთხოვა, გაგვეგო მისთვის, რადგანაც ის იძულებულია, რომ მისცეს ასეთი ჩვენება. თუმცა სასამართლო დახურული იყო და მისი ვიზუალური მხარე და მისი სიტყვები დარჩა საზოგადოების ყურადღების მიღმა, მაგრამ ყველაფერი ცხადი იყო, მას დაემუქრენ და მუქარა იყო იმდენად დიდი, რომ მაია ნიკოლეიშვილმა ვერ დაძლია შიში და გატყდა. მე მინდა სიამაყით ვთქვა, რომ ჩვენ შორის იყო მეორე მანდილოსანი მაია თოფურია, რომელსაც ყველაზე დიდი სასჯელი აქვს მისჯილი, ჰყავს სამი შვილი და არანაკლები მუქარა იყო მის მიმართ, იმდენად, რამდენადაც ის არის იგორ გიორგაძის უახლოესი ნათესავი, მაგრამ თოფურიამ გამოიჩინა შესაშური სიმტკიცე და არ უღალატა სიმართლეს, არ გვიღალატა ჩვენ. თითოეულ ჩვენთაგანს შეეძლო, რომ ნიკოლეიშვილის მსგავსად მიეცა ცრუ ჩვენება, ეღიარებინათ არჩადენილი დანაშაული და მოეპოვებინა არამი თავისუფლება, ოღონდ ამის შემდეგ ველარც შვილებს ჩავხედავდით თვალებში და ველარც საზოგადოებას.

***— იყვნენ ადამიანები, რომლებიც თქვენს წრეში მოიაზრებოდნენ, მაგრამ რატომღაც ისინი, ასე ვთქვათ, გადაურჩნენ ამ ბრალდებებს, ესენი იყვნენ ირინა სარიშვილი და ელიზბარ ჯაველიძე. ამ საკითხის გარშემო დღემდე საზოგადოებაში არსებობს გარკვეული კითხვის ნიშნები...***

— მე ვფიქრობ, რომ ამ კითხვის ნიშნებს საფუძველი არ გააჩნია იმიტომ, რომ ეს ბრალდება მოფიქრებული იყო საკმაოდ ავანტურისტულად, თუმცა სულ მცირედი დაკვირვებაც კი საკმარისია, რომ სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნას ადამიანს. ჯაველიძე და სარიშვილი დატოვეს გარეთ, ვითომ იმ თვალსაზრისით, რომ ისინი უდანაშაულოები იყვნენ და რანაირად დაგვეჭირაო და ვინც მართლა დამნაშავე იყვნენ, დავიჭირეთო, ანუ სწორედ იმიტომ, რომ საზოგადოებაში გაჩენილიყო ეს კითხვები. არც ჯაველიძე, არც ირინა სარიშვილი და არც თითოეული ჩვენთაგანი, რომლებმაც სასჯელი მოვიხადეთ და რომლებიც დღემდე იხდიან სასჯელს, რეალურად კრებაზე არ ვყოფილვართ, რომელზეც დასწრებასაც ჩვენ გვაბრალებდნენ და მინდა მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ეს კრება ბუნებაში არც შემდგარა. აქედან გამომდინარე დანაშაულიც არ არსებობს, მაგრამ ხელისუფლებამ ისე გამოიყვანა, რომ თითქოს იმ ვირტუალურ კრებაზე ჩვენ დავეთანხმეთ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას, ხოლო სარიშვილი და ჯაველიძე არ დაეთანხმენ და ამიტომაც ისინი არ დაიჭირეს. მინდა საზოგადოებას შევახსენო ირინა სარიშვილის სიტყვები, რეალურად რომ შემდგარიყო ასეთი კრება და რეალურად რომ დამდგარიყო საკითხი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობასთან დაკავშირებით, მე აუცილებლად დავუჭერდი მხარს მის მოწყობას. მე მგონი, ეს პასუხი ყველაფერზე მეტყველებს. ირინა სარიშვილი და ელიზბარ ჯაველიძე, ისევე როგორც ჩვენ, ამ კრებაზე არ ვყოფილვართ და აქედან გამომდინარე ისინი თავს ვერ შეიკავებდნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი კრება არ შემდგარა. ეს ყველაფერი არის მოგონილი და ხელისუფლებამ მიზანმიმართულად მოაწყო ისე, რომ საზოგადოებაში გაჩენილიყო კითხვები ამ ადამიანებთან დაკავშირებით.

***— ციხეებში არსებულ მგომარეობაზე რას იტყვით, ეს სისტემა საკმაოდ არის ჩაკეტილი, რომ საზოგადოებას არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდეს იქ რეალურად არსებულ ვითარებაზე, გარდა იმისა, რასაც ნაციონალური ტელეარხები გადასცემენ კალმახელიძის ფონზე, რეალურად რა მდგომარეობაში არიან პატიმრები?***

— უსაზარლესი მდგომარეობაა, ციხეები ვიზუალურად კარგად გამოიყურება, მაგრამ შიგნით ინტერიერი არის საზარელი და არის საშინელი სიმყაყე როგორც ჰიგიენური თვალსაზრისით, ისევე პატიმრებზე მოპყრობის თვალსაზრისით. ის რასაც აპიარებს ხათუნა კალმახელიძე, არის აბსოლუტურად ფარსი და ქართული ციხეები ზუსტად ისე არის მიახლოებული ევროპულ სტანდარტებთან, როგორც საქართველო ნატოსთან. სინამდვილეში დონორი ორგანიზაციების მიერ გადმორიცხული თანხები გაურკვეველი მიმართულებით უჩინარდება, სინამდვილეში ეს თანხები იხარჯება არამიზნობრივად და მე არ ვიცი, ხათუნა კალმახელიძენს ატყუებენ თავისი ხელქვეითები თუ კალმახელიძე ატყუებს პრეზიდენტს. მაგრამ ვინც ციხეში იყო და ნახა, შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ სიყალბეა თითოეული განცხადება ხელისუფების წარმომადგენლების მხრიდან, თითქოსდა ქართულ პენიტენციალურ სისტემაში დაცულია პატიმართა უფლებები და მდგომარეობა არის დაახლოებული ევროპულ სტანდარტებთან. პატიმრები რეალურად არიან წამების მდგომარეობაში როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი თვალსაზრისით და ეს მდგომარეობა სასწრაფოდ თუ არ შეიცვალა, აუცილებლად აისახება ჩვენი ქვეყნის და საზოგადოების მომავალზე იმდენად, რამდენადაც საქართველოში უკვე არის 30 ათასამდე პატიმარი. ეს პროცენტულად არის ის შემადგენლობა, რომ ფაქტიურად საქართველოში ოჯახი არ არის დარჩენილი, ვისაც თუ ოჯახის წევრი არა, უახლოესი ნათესავი მაინც არ ჰყავდეს გისოსებს მიღმა.

***— ბუნებრივია, თვალს ადევნებდით ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს, როგორია თქვენი შეფასება ოპოზიციის მიმართ?***

— ჩვენი დამოკიდებულება იყო საკმაოდ კრიტიკული და დღემდე ასეთად რჩება. ოპოზიციის მყვირალა განცხადებების ტონი მნიშვნელოვნად აჭარბებს იმ ძალას, რომელიც მათ რეალურად გააჩნიათ და არის საკმაოდ გაზვიადებული. ოპოზიციას არ შესწევდა იმისი ძალა, რასაც ის იქადნებოდა. გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა ღალატს ხალხის მიმართ. მე მინდა მთელი პასუხისმგებლობით ვთქვა, რომ ქართველმა საზოგადოებამ გამოიჩინა ძალიან მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნება და გააკეთა ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა დაკისრებოდა ხალხს. რაც შეეხებოდა ლიდერებს, ლიერებმა დამაკმაყოფილებლადაც კი ვერ გასწიეს ლიდერის ფუნქცია. აქედან გამომდინარე, ჩვენ პრეტენზიები ხალხს კი არა, ლიდერებს უნდა წავუყენოთ. არ შეიძლება გვერით გყავდეს სამასი ათასი ადამიანი, ხელიდან გაუშვა ეს მომენტი და მიზანს ვერ მიაღწიო. მიზნის მიღწევა კი ნამდვილად შეიძლებოდა მშვიდობიანი მეთოდებით. თუმცა, თუ სისხლი არის დასაღვრელი ქართული მიწის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ქართული თვითშეგნების და სარწმუნოების დასაცავად, სისხლის დაღვრაც არ არის ცუდი და შეიძება აუცილებელიც კი გახდეს. დღევანდელ დღემდე ქართველმა ერმა მოაღწია სწორედაც სისხლის დაღვრით, ანუ აპელირება იმით, რომ სისხლი დაიღვრებოდა და შეტევაზე იმიტომ არ გადავედითო, ვფიქრობ, რომ არის ძალიან მლიქვნელური და ძალიან არასწორი დამოკიდებულება მოვლენის მიმართ. ქართველი საზოგადოება დღესაც მზად არის იმისათვის, რომ ქართველი ერის სასიკეთოდ შეცვალოს მოვლენები, რამდენად არიან მზად ამისათვის ლიდერები, ამას მომავალი გვიჩვენებს. მინდა იმედი ვიქონიო, რომ ლიდერებმა დაიწყეს თვითგანწმენდის პროცესი, მოხდა გარკვეული გაცხრილვა და ის მოძრაობა, რომელიც დღეს შეინიშნება და რომელიც დღეს ძალას იკრებს, რეაურად და ღირსეულად წარუძღვება ქართველ ერს და მომავალ ერთობას და ქართველი ერის სულის ჯანყს პრაგმატულად გამოიყენებს.

***— როგორც ძალიან აქტიური ოპოზიციონერი, გააგრძელებ ისევ საზოგადოებრივ მოღვაწეობას თუ შედარებით წყნარ ცხოვრებას არჩევ?***

— მე წყნარი ცხოვრება არ შემიძლია, წყნარად ვიცხოვრებ მაშინ, როდესაც ჩემი ქვეყანა იქნება დალხინებული. ეს არ არის შიშველი პათეტიკა, ეს არის გულიდან წამოსული სიტყვები. სანამ ჩემს ქვეყანას უჭირს, მე წყნარად ვერ ვიქნები. მე აუცილებლად გავაგრძელებ პოლიტიკურ ბრძოლას, რომელიც ყოველთვის იყო და კვლავაც იქნება მშვიდობიან ჩარჩოებში და კონსტიტუციის ფარგლებში. აუცილებლად გავაგრძელებ თანამშრომლობას იმ პოლიტიკურ ძალებთან, რომელთანაც ვთანამშრომლობდი დაკავებამდე და გარდა ამისა, მექნება გარკვეული შეფასებების კრიტერიუმი. ეს კრიტერიუმი იქნება ისევ და ისევ პოლიტიკური ძალების ეროვნულობიდან და სარწმუნოებიდან გამომდინარე.

ნათია ხურცილავა

# სულს აუცილებლად სჭირდება გასუფთავება

**ჯვრის მამის მოძღვარი, დეკანოზი მამა თავმასი ჩოხელი, ლექსებს წერს. მამა თავმასის პოეზია მთის კილოკავზეა დაწერილი. ის ამბობს, რომ მას ლექსები ამ კილოზე ეწერება.**

მამა თავმასის ლექსებზე არაერთი მუსიკა შეიქმნა. როგორც კომპოზიტორები ამბობენ, მოძღვრის ლექსი საოცრად ხალასი და თბილია.

მამა თავმასი ჩოხელი ლექსებს რომ წერდა, არ გამოჰპარვია უწმინდესსა და უნეტარესს. სწორედ უწმინდესმა მისცა, თუ შეიძლება ითქვას, კურთხევა, რომ ახალ-ახალი ლექსები შეექმნა.

## ინტერვიუ ჯვრის მამის მოძღვართან, დეკანოზ მამა თავმასი ჩოხელთან.

***— მამა თავმას, როგორ გახდით სასულიერო პირი, როგორ მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ მოძღვარი გამხდარიყავით?***

— ისეთ პერიოდში დავიბადე, როდესაც ირგვლივ კომუნიზმი იყო. ჩემი ბავშვობა კომუნიზმის ხანას დაემთხვა. ადამიანები ნაკლებად იყვნენ ეკლესიურები, მეც — მათ შორის. ეკლესიური ცხოვრება ნაკლები იყო, მაგრამ ბავშვობიდან მქონდა ღვთის რიდი და შიში. დედა ყოველთვის ძილის წინ ლოცვებს გვაკითხებდა და ცდილობდა, აღვეზარდეთ ეკლესიურად, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიური ლიტერატურა არ იყო, განსაკუთრებით მთის რეგიონში. თიანეთში გავიზარდე. სამწუხაროდ, კომუნისტებმა სამების ეკლესია დაანგრიეს. როდესაც გავიზარდე, სკოლის შემდგომ პერიოდზე ვსაუბრობ, დავდიოდი თბილისის ეკლესიებში, მონასტრებში და ვლოცულობდი. ასე თანდათან დავუახლოვდი ეკლესიას, რის შემდეგაც ჩავაბარე სასულიერო სემინარიაში. სწავლის დასრულების შემდეგ დავოჯახდი და მოძღვრად მაკურთხეს. მას შემდეგ გავიდა 14 წელი.

***— რომელ ტაძარში გაკურთხეს?***

— კათოლიკოს-პატრიარქმა სიონში მაკურთხა დიაკვნად, შემდეგ წილკნელმა მთავარეპისკოპოსმა ზოსიმემ ხელი დამასხა მღვდლად და გამგზავნა თიანეთში. თიანეთში ხუთი წლის განმავლობაში ვიყავი. ჩემი იქ ყოფნის დროს ღმერთის მიერ აშენდა ეკლესია.

***— 14 წელია, რაც მოძღვარი ბრძანდებით. როგორც ამბობენ, მოძღვრის გზა რთული და საპასუხისმგებლოა. ამ ხნის განმავლობაში ღვთის თანადგომას სულ გრძნობთ?***

— როდესაც ადამიანები მეკითხებიან, როგორ ხარო, მე ვპასუხობ: იმაზე კარგად, ვიდრე ღვთის წინაშე ვიმსახურებ. მე მგონი, ყველა ადამიანი ასეა. უფალი, როგორც მშობელი, ისეა ჩვენთან. უფალს, როგორც მშობელს, თავისი ცოდვილი და ნაკლებად ცოდვილი შვილები უყვარს. ღვთის წყალობაა, რომ მე სასულიერო პირი ვარ. ჩემს შორეულ ბავშვობაში დედაჩემმა, რომელიც მარტოხელა ქალბატონი იყო, უპატრონო მიცვალებული დამარხა. დამარხა ყოვლად უანგაროდ, დიდი მადლი გააკეთა. შეიძლება, დედაჩემის მიერ გაღებული სიკეთის მადლი შემეწია, რომ მე სასულიერო პირი გავხდი.

***— ეკლესიაში ხშირად უნდა ვიაროთ?***

— ადამიანს როგორ დაბანვა და გარეცხვა სჭირდება, ასევე სჭირდება სულს გასუფთავება. შეიძლება, უხერხული შედარებაა, მაგრამ სულს აუცილებლად სჭირდება გასუფთავება. წარმოიდგინეთ, რამდენიმე თვის დაუბანელი ადამიანი რა მდგომარეობაში იქნება. ასეთ მდგომარეობაშია დაახლოებით ადამიანის სული, რომელიც არ დადის ეკლესიაში, აღსარებას არ ამბობს, არ განიწმინდება აღსარების ლოცვით, მარხვით და არ ეზიარება. ყველა ადამიანს უნდა ჰყავდეს მოძღვარი. შეიძლება, ოჯახს ჰყავდეს თავისი მოძღვარი. შეიძლება, ინდივიდუალურად ჰყავდეთ ადამიანებს მოძღვარი. ადამიანმა წირვა-ლოცვაზე უნდა იაროს და აღსარება უნდა თქვას.

***— როგორი უნდა იყოს აღსარების თქმის შუალედი?***

— აღსარება უნდა თქვას ადამიანმა, უნდა შეაწუხოს ცოდვამ და უნდა მოუნდეს ეკლესიაში მისვლა. ძალიან კარგია, როდესაც დღესასწაულზე ადამიანები ტაძარში მოდიან, წირვა-ლოცვას ესწრებიან. ეკლესიაში ნაცნობები ერთმანეთს ნახულობენ, უხარიათ ერთმანეთის ნახვა, რაც ძალიან კარგია. კარგია მოძღვართან ურთიერთობა, მარხვის შენახვა, ეკლესიურად ცხოვრება. ძალიან დიდი სიხარულია, როდესაც მარხვა ხსნილდება და ადამიანები აღდგომას, შობას ზეიმობენ. მმარხველი ადამიანისთვის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დადგომას განსაკუთრებული სიხარული ახლავს. დიდი სიხარული ახლავს ღამისთევის ლოცვას, განსაკუთრებულის მოლოდინია და იმიტომ. უფალი სჯის ადამიანებს, მაგრამ ყველა ადამიანს უტოვებს უკანდასახევ გზას. ადამიანებმა ჩვენს ეკლესიურ ცხოვრებაში უნდა ვნახოთ ეს გზა. ასევე ეს გზა უნდა ვნახოთ კეთილი საქმეების კეთებაში.

***— თქვენ ბრძანეთ, რომ ადამიანს უნდა მოუნდეს ტაძარში მისვლა, ცოდვამ უნდა შეაწუხოს, მაგრამ, თუ ვერ გაიხსნა მოძღვართან?***

— დიახ, უნდა შეაწუხოს. ჩვენი წინაპრები, ჩემი გვარის, თქვენი გვარის ადამიანები, ყველაზე ძვირფასს, რაც გააჩნდათ, ღვთისგან ბოძებულ სიცოცხლეს, ღვთისა და მამულის სამსხვერპლოდ მიიტანდნენ და სწირავდნენ. თავს სწირავდნენ მამულს, სარწმუნოებას. დღეს, როდესაც არ არის ასეთი აუცილებლობა, თუმცა, რასაკვირველია, ეს საკითხი ყოველთვის აქტუალურია, ჩვენი წესიერებით, ეკლესიური ცხოვრებით, ღვთის მორჩილებით საკუთარი თავი უნდა მივუძღვნათ უფალს. რაც შეეხება აღსარებას, აღსარებაში ადამიანები ამბობენ იმას, რაც მათ აწუხებთ და არ ასვენებთ, რასაც ვერ ეუბნებიან უახლოეს ადამიანებს. აღსარებისგან ადამიანის გული და გონება განიწმინდება. ადამიანისთვის აღსარების თქმა აუცილებელია.

***— როდესაც ადამიანი ეკლესიურად ცხოვრობს, ამბობენ, რომ მას ეშმაკის ბრძოლები უფრო აქვს, თუ, პირიქით, ვინც არ ცხოვრობს ეკლესიური ცხოვრებით, მასზე ძალადობს ბოროტი?***

— ადამიანი, რომელიც ეკლესიურად ცხოვრობს, აღმსარებელი და მაზიარებელია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის განსაცდელის წინაშე არ აღმოჩნდება, მაგრამ ადამიანი, რომელიც უფალთან ახლოს არის, უფრო უძლებს განსაცდელს, უფრო ადვილად გადაიტანს. მას ღვთისგან ნუგეში უფრო აქვს. ისე, განსაცდელი ყველა ადამიანს აქვს. წმინდა მამებს, როდესაც არაფერი არ აწუხებდათ, მაგალითად, ავად არ ხდებოდნენ ან რაიმე სხვა სახის განსაცდელი არ ექნებოდათ, უფალს შეევედრებოდნენ: რად დაგვივიწყე, უფალო, რატომ არ მოგვივლენ განსაცდელსო.

***— განსაცდელი შეიძლება უფალთან მყოფობის ერთგვარი ნიშანიც კი იყოს?***

— რა თქმა უნდა, შეიძლება.

***— მამა თავმას, ცნობილია, რომ თქვენ ლექსებს წერთ. როდის დაიწყეთ ლექსების წერა?***

— ლექსებს ბავშვობიდან ვწერ, მაგრამ უფრო სერიოზული სახე ამ ყველაფერს გასული წლის ზაფხულიდან მიეცა. არ მიფიქრია, რომ სერიოზულად დამეწერა, უფრო სწორად, ჩემთვის ვწერდი.

***— 3 მარტს დედის ხსოვნას ლექსი „დედის მონატრება“ მიუძღვენით, რომელიც, როგორც ვიცი, ახლო მომავალში დაიბეჭდება...***

— დიახ, ეს ლექსი ეძღვნება დედას, რომელიც, სამწუხაროდ, აღარ მყავს. ქართველ ადამიანს დედის მიმართ სიყვარული განსაკუთრებით აქვს გამძაფრებული. უფალს ყველანი ვუყვარვართ, მაგრამ, ჩემი აზრით, ამქვეყნად დედაზე მეტად არავის უყვარს. ადამიანი უყვარს და-ძმებს, მეუღლეს, შვილებს, მაგრამ, ყველაზე მეტად — მაინც დედას. სამწუხაროდ, დედას ვერ ვაფასებთ. როდესაც აღარ გვყავს დედა, მაშინ ვიგებთ მის ფასს. ყველა უნდა გაუფრთხილდეს და მოეფეროს დედას. ქართველ ადამიანს განსაკუთრებული სიყვარული აქვს დედის მიმართ, მიწასაც დედა უწოდა, ბოძსაც — დედაბოძი, სამშობლოს — დედასამშობლო. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ღვთისმშობელს უყვარს ჩვენი ქვეყანა. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი და ჩვენი დედები. ქართველის გულში განსაკუთრებით არის ეს სიყვარული.

***— იაზე გაქვთ ლექსი. განსაკუთრებით გიყვართ ია?***

— მართლაც განსაკუთრებით მიყვარს ია, რადგან ის ჩემთვის უფრო მთის ყვავილია. მე მგონია, რომ ია ყველა ადამიანს უყვარს. უნდა უყვარდეს, ისეთი ყვავილია, ძალიან ნაზია.

***— თქვენს ლექსებზე კომპოზიტორები მუსიკას წერენ. პირველი რომელ ლექსზე დაიწერა?***

— ჩემი პირველი ლექსი, რომელიც ამღერდა, „გუდამაყრელი“ იყო. არც მიფიქრია ამ ლექსის ამღერებაზე, მაგრამ მომღერალმა გიორგი ჩიტაურმა ნახა და მოეწონა, თუმცა, ვერ მოასწრო მისი შესრულება, უცხოეთში წავიდა და კახა მანგოშვილმა შეასრულა. მეორე ლექსი, „წუთისოფელი“, რომლის მუსიკაც რადიოში ტრიალებს, შეასრულა ნიჭიერმა შემსრულებელმა დათო კენჭიაშვილმა. ლექსზე, „სიმღერა სნოზე“, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქს მივუძღვენი, მუსიკა უკვე შექმნა დათო არჩვაძემ, რომელიც მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანია. ამ სიმღერასაც მალე მოისმენთ. ასევე საპატრიარქოსთან არსებული ანსამბლი, დები გოგოჭურები მუშაობენ „სამას არაგველზე“. ეს მუსიკაც შექმნილია და უახლოეს მომავალში გამოვა.

***— თქვენ გარდა, კიდევ წერს ვინმე ლექსებს თქვენს ოჯახში?***

— ჩემი ქალიშვილი, მარიამი, რომელიც ახლა 12 წლის არის, ხატავს. სულ მიკვირდა, საიდან აქვს ეს ნიჭი-მეთქი. ჩვენს სანათესაოში არავის ეხერხებოდა ხატვა. ჩვენთან სტუმრად იყო დიზაინერი მაიკო სამხარაძე, რომელმაც დედაჩემის მიერ მოქსოვილი ფარდაგის ფრაგმენტი ნახა კედელზე გაკრული. როდესაც მკითხა, ვისი მოქსოვილიაო, მე ვუთხარი, რომ დედაჩემის მიერ იყო მოქსოვილი. მაიკომ თქვა, შვილიშვილი რომ ხატავს, არ არის საკვირველი, ისეთი ფერთა შეხამებაა ამ ფარდაგზეო. მარიამი ასევე მღერის, ფანდურზე უკრავს, ლექსებს წერს. ვაჟა ჯერ პატარაა, 6 წლის.

***— მამა თავმას, ძალიან გიყვართ ნოდარ დუმბაძე და განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვთ მის ოჯახთან...***

— განსაკუთრებით მიყვარს ნოდარ დუმბაძე. კითხვა 6 წლისამ ვისწავლე, წერა — შედარებით გვიან, 42 წლისამ. ხომ დიდი შუალედია? ღრმა ბავშვობიდან მახსოვს, რომ ჩემი სამაგიდო წიგნი იყო ნოდარ დუმბაძე. ბევრჯერ მაქვს გადაკითხული მისი თითოეული ტომი. ის სახალხო მწერალია, რომლის ნაწარმოების კითხვის დროს შეიძლება ადამიანმა იცინოს და, ამავე დროს, ცრემლი წამოუვიდეს. დიდი ადამიანი იყო. მართლაც ძალიან მიყვარს, მიხარია, რომ ვიცნობ მის ოჯახს, ვაზიარებ მის მეუღლეს, ჩვენი მრევლია მათი ქალიშვილი მანანა და მისი ოჯახი. კარგი ადამიანები არიან.

***— თქვენს გვარზეც მოგვიყევით. როგორც ვიცი, საინტერესო ისტორია აქვს...***

— ჩვენ, ჩოხელები, ორი ათასზე მეტნი ვართ. ჩოხელი ძველი გვარია. ამის თაობაზე გოდერძი ჩოხელსაც აქვს დაწერილი. პრივილეგირებული გვარი იყო. როდესაც ჩოხელი ქალს ითხოვდა, უარი არ უნდა ეთქვა საცოლის ოჯახს, თორემ რაიმე უბედურება დაატყდებოდა თავს. 28 აგვისტოს არის ჩოხის წმინდა გიორგობა. ამ დღეს ბევრი ჩოხელი იყრის თავს და ძალიან კარგი სანახავია ეს ყველაფერი. ამ დღეს ჩოხელები მთაში ადიან.

***— თქვენც ადიხართ მთაში, მამაო?***

— ვცდილობ ხოლმე. პარაკლისს ვიხდი ჩოხელებისთვის. მთაში საყდარია, რომელიც ჩოხელებმა ააგეს. იქაურმა ჩოხელებმა ითხოვეს, რომ სამანქანო გზა არ გაეყვანათ მშენებარე ტაძრამდე, რათა თავად აეზიდათ ცხენითა და ხელით მთაში ტაძრის ასაშენებლად სამშენებლო მასალა. პატარა საყდარი აშენდა მთაში.

***— მადლია, ხელით რომ აზიდეს?***

— რა თქმა უნდა, მადლია. მთაში სიწმინდე, სისუფთავეა. შემონახულია უფროსის პატივისცემა. მრავალი შემოქმედი გაუზარდა მთამ ქართველ ერს: ვაჟა-ფშაველა, გოდერძი ჩოხელი, ბევრი კარგი ქართველი.

***— მთაში უფრო კარგად გრძნობთ თავს, გიყვართ იქ ყოფნა?***

— დიახ, მიყვარს და მენატრება. სამწუხაროდ, მთაში ვერ ვცხოვრობ. მთაში უმეტესობა წერს ლექსებს, ყველაზე ნაკლებხარისხიანს, ალბათ — მე. მთა თავისი სიდიადით ღვთის სადიდებელს ამბობს, იმ გრძნობას, რაც ადამიანშია, უფრო აღაფრთოვანებს. მთა თავისი დიდბუნებოვნებით უფრო მოქმედებს ადამიანზე.



**ადამიანი, რომელიც ეკლესიურად ცხოვრობს, აღმსარებელი და მაზიარებელია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის განსაცდელის წინაშე არ აღმოჩნდება, მაგრამ ადამიანი, რომელიც უფალთან ახლოს არის, უფრო უძლებს განსაცდელს, უფრო ადვილად გადაიტანს. მას ღვთისგან ნუგეში უფრო აქვს. ისე, განსაცდელი ყველა ადამიანს აქვს. წმინდა მამებს, როდესაც არაფერი არ აწუხებდათ, მაგალითად, ავად არ გახდებოდნენ ან რაიმე სხვა სახის განსაცდელი არ ექნებოდათ, უფალს შეევედრებოდნენ: რად დაგვივიწყე, უფალო, რატომ არ მოგვივლენ განსაცდელსო.**

## მთა თავისი სიდიადით ღვთის სადიდებელს ამბობს

# ჩვენი ყველაზე დიდი შემფასებელი ქართველი მაყურებელია

## ფრიდონ სულაბერი ე ვარსკვლავის გახსნის წინ ნერვიულობს

ეკა ირემაშვილი

**25 მარტს ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ მოცეკვავისა და ქორეოგრაფის ფრიდონ სულაბერიძის ვარსკვლავი გაიხსნება. ეს იქნება პირველი ვარსკვლავი, რომელსაც კულტურის სამინისტრო და მასთან შექმნილი სპეციალური კომისია გახსნის. ანსამბლ „რუსთავის" ხელმძღვანელის ვარსკვლავი ახალი დიზაინით იქნება შესრულებული — ხუთქიმიანი და სხვა ფერის ქვაში ამოტვიფრული.**

ფრიდონ სულაბერიძემ მთელი თავისი ცხოვრება ქართულ ცეკვას მიუძღვნა. იგი წლების განმავლობაში სუხიშვილების ანსამბლის წევრი იყო. მათთან ერთად მოიარა 60-ზე მეტი ქვეყანა მთელ მსოფლიოში. ქართული ცეკვის განსაკუთრებულად შესრულებისთვის მას მიღებული აქვს ოქროს მედლები და დიპლომები. იგი დღემდე ითვლება საქართველოში ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მოცეკვავედ. დაუვიწყარია მის მიერ ვირტუოზულად შესრულებული ცეკვა „ქართული", დუეტი იამზე დოლაბერიძესთან, რომელიც განსაკუთრებული პროფესიონალიზმით, არტისტიზმითა და პლასტიციზმით სრულდებოდა. აღსანიშნავია „ფრიდონისეული კინტაური", გასაოცარი კოლორიტულობითა და შესრულების გამორჩეული მანერით.

უკვე წლებია ფრიდონ სულაბერიძე ანსამბლ „რუსთავის" ქორეოგრაფია. იგი ამ სფეროშიც განსაკუთრებულ შეფასებას იმსახურებს. აქვს საკუთარი ხელწერა, განსხვავებული საცეკვაო მანერა, მდიდარი ფანტაზია და იშვიათი გემოვნება. იგი იბრძვის ქართული ხალხური ცეკვის უძველესი ელემენტების აღდგენისა და კუთხური კოლორიტის შენარჩუნებისათვის. მის მიერ დადგმული ცეკვები თავისივე კუთხის სიმღერებითა და ხალხური ინსტრუმენტების თანხლებით სრულდება.

სწორედ ამ პროგრამას წარუდგენს ანსამბლი მაყურებელს დიდ საკონცერტო დარბაზში ვარსკვლავის გახნამდე დაგეგმილ კონცერტზე. შესრულდება ის ცეკვაც, რომელიც ანსამბლის წევრმა ბიჭებმა თავად ფრიდონ სულაბერიძეს მიუძღვნეს. სცენაზე სულაბერიძეების სამი თაობა იდგება. იცეკვებს ფრიდონ სულაბერიძეც და ქართველი მაყურებლისთვის იმ გრძელ გასმას გააკეთებს, რომელიც მას ასე არაჩვეულებრივად გამოსდის.

ბატონი ფრიდონი არ მალავს, რომ ამ დღეს გამორჩეული მღელვარებით ელოდება. ის დიდი ტრაგედია, რომელიც მას ცხოვრებაში შეემთხვა, სწორედ ქართულმა ცეკვამ და ამ პროფესიის უზომო სიყვარულმა გადაატანინა. ქორეოგრაფი და მოცეკვავე თავის ვარსკვლავს მისთვის უსაყვარლეს — ილიკო სუხიშვილს უძღვნის.

**ფრიდონ სულაბერიძე:**

— რომ გითხრათ, მოულოდნელი იყო ჩემთვის ეს ამბავი-მეთქი, ნამდვილად არ ყოფილა მოულოდნელი. ორი თვის წინ ვიცოდი, რომ ჩემთვის ვარსკვლავი უნდა გაეხსნათ და ამ ფაქტს შევეჩვიე. უცბად რომ მითხრეს, ძალიან გამიხარდა, ვინერვიულე, ავღელდი და განვიცადე. უფრო დავწყნარდი, შევეგუე და ამ დღეს მოუთმენლად ველოდები. ახლა იმაზე ვფიქრობ, როგორ გამოვიდე, როგორც ვიცეკვო. ამ კონცერტზე უფრო მეტი ცეკვაა, ვიდრე სიმღერა. მინდა ისეთი კონცერტი იყოს, რომ არ მობეზრდეს ხალხს და არ იყოს მოსაწყენი. ყველა იმ ცეკვაში, რომლებსაც ახალგაზრდობაში ვცეკვავდი, მაგალითად, ცეკვა ძველი თბილისი, აჭარული, ცეკვა ქართული, ყველას შევასრულებ. ხომ იცით, მოცეკვავეს სულ უნდა, რომ რაღაც იცეკვოს. თუკი შემოვედი სცენაზე და მოულოდნელი იქნა მაყურებლისთვის, ეს ჩემგან სიურპრიზი იქნება. მოცეკვავეებსაც სიურპრიზს ვუმზადებ.

— ***ნერვიულობთ?***

— როგორ არ ვღელავ. 2.500 კაცი დაესწრება კონცერტს. ვინც მოვა, ყველა ნახავს ჩვენი ანსამბლის შესაძლებლობებს. ამხელა ფილარმონიაში 70 წლის კაცმა უნდა ვიცეკვო, გრძელი გასმა უნდა გავაკეთო, რამხელა სცენაა კი იცით და ეს არ არის ხუმრობა საქმე. ვიცი, რომ ყველაფერს უფალი გამაკეთებინებს, მხოლოდ მისი იმედი მაქვს.

— ***როგორ ფორმაშია ანსამბლი?***

— ანსამბლი ძალიან ძლიერ ფორმაშია, ნამდვილი ვირტუოზები არიან, ისეთი გოგო-ბიჭები შეიკრიბნენ, გასაოცრად ცეკვავენ. მათ ნამდვილი ანსამბლი შექმნეს. ეს არის აკადემიური ანსამბლი, ამიტომ საოცარი სიზუსტით და აკადემიურობით უნდა გამოირჩეოდეს. ჩვენი ანსამბლი ამ სახელს ამართლებს. ჩვენ მთელი მსოფლიო მოვიარეთ, ბოლოს ვიყავით იტალიაში, საქართველოს დღეები იყო და „აუდიტორიუმში" გამოვდიოდით, რომელიც მსოფლიოში ცნობილი დარბაზია. იცით იტალიელები როგორ უყურებდნენ ქართულ ცეკვას და როგორ უსმენდნენ ქართულ სიმღერას? რომს ვერ გააკვირვებ, მაგრამ ცრემლები მოადგათ თვალზე, დაინგრა დარბაზი და კონცერტის ბოლოს ყველა ფეხზე ადგა. მინდა, რომ 25 მარტის კონცერტზე კარგად წარმოჩინდნენ, ჩვენი შრომით წარმატებას მივაღწიეთ და ბედნიერი ვარ. კოტე გაბაშვილმაც აღნიშნა, რომ იტალიელები არასდროს დგებიან ფეხზეო, ჩვენს კონცერტზე კი დაინგრა დარბაზი. ჩვენს ანსამბლში გოგონები არ იქნევენ ფეხებს და არ არიან აგრესიულები. ბიჭებიც თავისი ვაჟკაცობით აცვიფრებდნენ მაყურებელს. მომღერლები საოცრად მღეროდნენ. პარტერში ვიჯექი და მაყურებელი ყვიროდა ბელა, ბელა. ქართველი ქალის ცეკვა და სინარნარე, თავშეკავებულობა, ცეკვის არაჩვეულებრივი მანერა იტალიელებს გაოგნებულს ტოვებდა. იტალიაში ვიზიტისას კიდევ ერთხელ გავსინჯე ჩემი ანსამბლი ასეთი აუდიტორიის წინაშე და დავრწმუნდი, რომ მაღალ დონეზე ვართ. ამ კონცერტს ყველა ელჩი ესწრებოდა. ეს პირველი შემთხვევა არ არის. ჩილეშიც გვქონდა კონცერტი, სადაც ასევე ფეხზე ადგნენ. ასეთი წარმატებები მარტო რუსთავის გამარჯვება კი არ არის, ეს საქართველოს გამარჯვებაა, თითოეული ქართველის გამარჯვებაა. როცა უცხოეთში კონცერტებს ვატარებთ, მოდიან იქ მცხოვრები ქართველები და მეუბნებიან, ვამაყობთ, რომ ქართველი ვაროო. მათ ნოსტალგია უჩნდებათ, უნდათ საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ იქ სწავლობენ და უკან დაბრუნებას ვერ ახერხებენ. ამ წარმატებებზე ძალიან ბევრი შემიძლია ვილაპარაკო. ანსამბლ რუსთავის მომღერლებიც საოცრად წარმატებულები არიან. ხშირად ვერ დავდივართ ერთად გასტროლებზე, მაგრამ ვიცით, რომ აოცებენ მსოფლიოს. ანზორ ერქომაიშვილის ოსტატობა, საოცარი ხედვა, გაოგნებულს ტოვებს მთელ მსოფლიოს. ქართული სიმღერა ხომ საოცრებაა — ათი კაცი ისე მღერის, გეგონება 50 მომღერალი მღეროდეს.

— ***რა იქნება 25 მარტს?***

— 25 მარტს სულ ახალი პროგრამა იქნება. ამას ახალი ხედვა ჰქვია. მინდა მაყურებელს, რომელიც მოვა, წინასწარ მადლობა ვუთხრა. ქართველი მაყურებელი ჩვენი ყველაზე დიდი შემფასებელია. ჩვენ გამოცდის წინაშე ვდგავართ. იმიტომ კი არა, რომ ვარსკვლავი იხსნება, ჩვენ ქართველ მაყურებელს ვაჩვენებთ ჩვენს შემოქმედებას, რაც არის ანსამბლი და როგორ ფორმაშიც იმყოფება. ჩვენ არც ერთ ანსამბლს არ ვეძახით, რომ მოდით და მოგვეხმარეთ. რაც არის ანსამბლი, როგორ ფორმაშიც არის, იმას ვაჩვენებთ — დავიწყებთ კონცერტს და ბოლომდე წავიყვანთ.

— ***ცეკვა მართლა მოგიძღვნეს?***

— კი, ანსამბლის ბიჭებმა მითხრეს, თუ ნებას დაგვრთავთ, გვინდა ცეკვა თვითონ დავდგათ და თქვენ მოგიძღვნათო. რა თქმა უნდა, უფლება მივეცი, ეს იყო ჩემთვის დიდი სიხარული. ეს ცეკვა მე მომიძღვნეს. ძალიან ძლიერი ცეკვა გააკეთეს და 25 მარტს მისი პრემიერა იქნება. ძალიან ვღელავ, ყოველთვის ვნერვიულობ და ემოციური ვარ, მაგრამ ეს განსაკუთრებულია. ყოველთვის ვნერვიულობ, სანამ გავალ სცენაზე, მანამდეა ჩემი საქმე ცუდად, მაგრამ როგორც კი გავალ, ყველანაირი ღელვა და ნერვიულობა მავიწყდება. იცით ეს რას ჰგავს? გლადიატორი რომ ხარ და არენაზე გასასვლელად რომ ემზადები. მართალია ქართულ ცეკვებში ერთმანეთს არ ხოცავენ მოცეკვავეები, მაგრამ მაინც არის ღელვა და ემოცია.

— ***გამორჩეული ცეკვა გაქვთ?***

— ძალიან მიჭირს რომელიმე ცეკვის გამოყოფა. ქართულ ცეკვებში არის საქართველოს ყველა ულამაზესი მხარე, ამიტომ ჩვენს ანსამბლში ყველა ეს ცეკვაა გაერთიანებული — ქალაქური ფოლკლორი, აჭარა, სვანეთი, რაჭა, მოხევეები, ხევსურების ცეკვები, ქართული ცეკვა.

— ***ამ ვარსკვლავს ილიკო სუხიშვილს რატომ უძღვნით?***

— იმიტომ, რომ ილიკო სუხიშვილს ამით იმ დიდ ამაგს დავუფასებ, რომელიც ჩემთვის გასწია. ილიკო სუხიშვილს ძალიან ვუყვარდი. რომ ეკითხებოდნენ, ბატონო ილიკო, თქვენ შემდეგ ვინ ცეკვავს ქართულს? იცით რამდენი კარგი ბიჭი იყო, ვინც კარგად ცეკვავდა ქართულს? ის კი იტყოდა, ჩემ შემდეგ ფრიდონ სულაბერიძეს დავასახელებო. სხვას არ იტყოდა. პატარა ბიჭი ვიყავი, მეც იქ ვიყავი და მეხათრებოდა, ბევრი გამოჩენილი მოცეკვავე იყო და არჩევანს ჩემზე რომ აკეთებდა, მერიდებოდა. ანსამბლში ულამაზესი ბიჭები იყვნენ.

— ***შრომა დაგიფასდათ?***

— ხუთი წელი რომ ვიცეკვე სუხიშვილის ანსამბლში, დამსახურებული არტისტის წოდება მომცეს, კიდევ ხუთი წლის შემდეგ — სახალხო არტისტის წოდება. ასეთი გზა გავიარე. ჩემი შრომა და ცეკვა ნამდვილად დაფასდა. სათითაოდ ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ მინდა ყველა იმ ადამიანს ვუთხრა მადლობა, ვინც გადაწყვიტა, რომ ფრიდონ სულაბერიძეს გაეუხსნათ ვარსკვლავი. მჯერა, რომ ეს ყველაფერი ხალხის გადაწყვეტილებაა, ეს არის ხალხის სიყვარული და მადლიერება. ეს არ არის ერთი კაცის გადაწყვეტილება. იყო დრო, როცა ერთი კაცი ინდომებდა და ის უხსნიდა ვარსკვლავებს მას, ვისაც უნდოდა. მას უკვე ჩამოერთვა ამის უფლება. ახლა უკვე ასე აღარ არის — ახლა შეიქმნა კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს მინისტრი და მსჯელობს, ვის გაუხსნას ვარსკვლავი და ვის — არა. მე ვარ პირველი ადამიანი, ვისაც პირველად კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით ვარსკვლავი აბსოლუტურად ახალი ესკიზით, ახალი ფორმით და



ახალი ცერემონიალით გაეხსნება. სულ ახალი ვარსკვლავი გაიხსნება ძველი ვარსკვლავების გვერდით. ეს ძალიან სასიამოვნო და საამაყოა.

— ***ილიკო სუხიშვილთან დაკავშირებით განსაკუთრებული ისტორია გახსოვთ?***

— თუ დამიჯერებთ, სულ მესიზმრება ილიკო სუხიშვილი და ქალბატონი ნინო რამიშვილი. თან იცით რა ცუდ დღეში ვარ? თითქოს კონცერტი მაქვს და აზიაცკი დამავიწყდა, ჩოხას ვერ ვპოულობ, იქ ხმალს ვერ ვპოულობ და ვიტანჯები. თან სულ ვფიქრობ, არაფერი დამიშავებია და ჩემგან რა უნდათ-მეთქი. მგონია მართალი, ამ დროს სიზმარია და რომ ვიღვიძებ, ვისვენებ. ილიკო სუხიშვილი არასოდეს მავიწყდება. საოცარი ქართლური კილოკავით ლაპარაკობდა და როცა გავაჯავრებდი და მის პაროდიას გავაკეთებდი, კვდებოდა სიცილით. არ ვიტყოდი, შვილო, ამას, მიგონებო. მისი პაროდიის გაკეთების უფლებას სხვა არ აძლევდა. ამას სხვა ვერ გაუბედავდა, ძალიან ვუყვარდი, შვილს მეძახდა. იყო შემთხვევები, როცა გამოვიდოდა კაბინეტიდან, მაკოცებდა და შევიდოდა უკან. სულ მეტყოდა, სადაც მე ვიდგები, შვილო, ჩემს გვერდზე მოდი და დადექიო. იმ კაცის დავიწყება როგორ შეიძლება, რომელიც სულ სხვა იყო, არავის არ ჰგავდა თავისი მოქმედებით, ლაპარაკით, სიარულით, სულ სხვა იყო. სულ ღიმილიანი იყო, საოცრად არტისტული. იყო უძლიერესი ხელმძღვანელი, ეგეთი ხელმძღვანელი მეორე არ მინახავს. იმ დროს აკეთებდა ყველაფერს, როცა საზღვრები ჩაკეტილი იყო. მან ეს ბეტონი გაანგრია და ქართული ცეკვები მსოფლიოს გააცნო. განა ეს ცოტა საქმეა?! მასზე თუ რამეს ვყვები, ყოველთვის დიდი სიყვარულით. ჩვენ კი არ ვაშაყირებდით, ბოდიშს ვიხდი ამ სიტყვისთვის, თვითონ გვიკეთებდა რაღაცას და მერე კვდებოდა სიცილით. ისეთი სიცილი ჰქონდა, გადასდებდა ყველას. მერე ექიმმა უთხრა, სიცილი ახანგრძლივებს სიცოცხლესო და სულ იცინოდა. მეხვეწებოდა, მოყევი, შვილო, მოყევი, გავიცინოთო. არაჩვეულებრივი პიროვნება იყო.

— ***ქორეოგრაფობა რატომ გადაწყვიტეთ?***

— პედაგოგობას სხვა ნიჭი უნდა. თუ გინდა კარგი ქორეოგრაფი იყო, უნდა იყო ძლიერი რეპეტიტორი, ძლიერი პედაგოგი და ძლიერი ქორეოგრაფი. თუ ეს სამი რამ შერწყმული გაქვს, მაშინ ძლიერი ხარ. შეიძლება რაღაც დადგი, იგივე ცეკვა შეიძლება სხვამ ძლიერად დადგას, მაგრამ შენი სუსტად დადგმული უფრო კარგად გამოჩნდეს, იმიტომ, რომ მან არ იცის, როგორ დადგას. ჩვენ ნუ ვიჩემებთ, რომ ესა თუ ის ცეკვა ჩემი დადგმულიაო. არ არის ასე. ეს გაკეთებულია იმ უძლიერესი ქორეოგრაფების, როგორებიც იყვნენ დავით ჯავრიშვილი და ჯანო ბაგრატიონი. ამ ადამიანებმა ქართული ცეკვებში ჰიტები შექმნეს. ჯანო ბაგრატიონმა მთელი ეპოქა შექმნა ქართულ ცეკვაში. შეიძლება ჩამოიტანო ფარიკაობის დუეტი და დადგა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მას ხომ დაემატა მანდილის ჩაგდება, ტრადიციები გადმოიტანა და ცეკვაში ასახა. ჯანო ბაგრატიონი და დავით ჯავრიშვილი ცეკვებში ისტორიას ყვებოდნენ. თუ მანდილი ამოიღე ცეკვიდან, ისტორიაც მახინჯდება. დავით ჯავრიშვილი გაიყვებოდა, რატომ ურტყამენ ქართველი ვაჟკაცები ერთმანეთს ხმლებს და რატომ იბრძოდნენ. უცხოელებს ეს მოსწონთ ჩვენს ცეკვებში, თითოეული მათგანის ერთი სრულყოფილი ისტორიაა მოთხრობილი. უცხოეთში უკვირდათ, როგორ პატივს სცემენ მანდილსო, ასე რატომ ხდებაო. ანოტაცია იყო ჩვენ დროს და იმას კითხულობდნენ უცხოელები.

თუნდაც „ძველი თბილისი" ავიღოთ — ქალები და ყარაჩოღელები რომ ცეკვავენ. ყარაჩოღელებს ამ ცეკვაში ესიზმრებათ ქალი. როგორ შეიძლებოდა, ყარაჩოღელთან ეცეკვა ქალს. ყარაჩოღელი დუქანში ქალის სადღეგრძელოს არ ამბობდა, თუ მას ქუჩაში ცოლი შეხვდებოდა, სალამს არ აძლევდა, ვინმემ რამე არ თქვასო. ასეთი შინაარსია ამ ცეკვაში. ეს ყველაფერი უნდა შევუნარჩუნოთ მომავალ თაობას. ეს თუ დაიკარგა, რაღა უნდა გავაკეთოთ? ვიღაცეების ცეკვები ვიცეკვოთ? რატომ უნდა ვიცეკვოთ, როცა ამხელა სიმდიდრის პატრონები ვართ. ჩვენ გვაქვს სვანური ფერხულების უამრავი ვერსია. საოცარი ერი ვართ. სვანეთში რომ ავიდა თამარ მეფე, მას ცეკვა და სიმღერა მიუძღვნეს. იცით რამდენი სვანური ფერხული არსებობს? სვანები ყველა მაგარ მონადირეს ცეკვას და სიმღერას უძღვნიდნენ, ყველა მაგარ ვაჟკაცს სიმღერას და ცეკვას უძღვნიდნენ. ე.ი. საოცარი ფოლკლორი გვაქვს ჯერ კიდევ დარჩენილი, რომელიც უნდა შევისწავლოთ. ჯერ ყველაფერი არ ვიცით კიდევ. ყოველ დღე უნდა ვისწავლოთ. ის უნიკალური ფოლკორი, რომელიც გვაქვს, კარგად, საფუძვლიანად და ბოლომდე უნდა შევისწავლოთ. ამას მოვლა, გაფრთხილება და სწავლა სჭირდება. ის ახალგაზრდები, რომლებსაც დასავლეთისკენ უჭირავთ თვალი, ჩვენსკენ უნდა შემოვაბრუნოთ.

— ***დასავლეთის წინააღმდეგი ხართ?***

— არა, მაგრამ ის, რასაც ტელევიზორში აჩვენებენ, საშინელებაა. ტელევიზორს რომ ვუყურებ, ვრთავ. როგორი გარყვნილება და საზიზღრობებია. როგორ აცვიათ ბიჭებს, საყურეები, შეღებილი თმები. ეს არის საშინელება. როგორ შეიძლება ქართველი ქალი აწყვეტილი იყოს და ისეთ რამეებს აკეთებდეს, ისე ცეკვავდეს და ისე ლაპარაკობდეს, რომ ცუდად გახდე? არ შეიძლება. ყველა ქალში უნდა დავინახო, რომ ის ქართველია.

— ***ახალგაზრდებს უპირისპირდებით?***

— არა. მათაც აქვთ გარკვეული ეტაპი და შემდეგ ღვინდებიან, მაგრამ იმ პერიოდშიც, დაღვინებამდეც საჭიროა მათთვის რჩევების მიცემა. გაოგნებული ვარ, რატომ აღარ იშლება ქართული სუფრები? სად წავიდა სუფრა? ეს უნდა გაგრძელდეს და არ უნდა დაიკარგოს. ყველა ამბობს, რა საჭიროა ამდენი პურმარილიო. დამიჯერეთ, საჭიროა. ქართული სუფრა აკადემიაა, იქ ყველაფერი აწყვია და ყველაფერს თავისი დატვირთვა აქვს — ღვინის სმას, თამადობას. ეს ტრადიცია უნდა გაგრძელდეს. საჭიროა ქართული ღვინო, ქართული სიტყვა, ქართული სადღეგრძელო, ზრდილობა და უფროს-უმცროსობის ცოდნა. როდესაც ჩვენი თაობის ადამიანები, ჩვენი პლეადა როცა ვსვამთ და ვქეიფობთ, გეფიცებით თუ ვიტყუებოდე, მოდიან ახალგაზრდები სხვა სუფრიდან და გვეუბნებიან, თუ შეიძლება, ცოტა ხანს თქვენს სუფრასთან დავსხდებითო. ასეთ რაღაცეებს რომ გააკეთებს ჩვენი ხნის ხალხი, ეს აუცილებლად გამოიღებს შედეგს და გაზრდის ჩვენს მომავალ თაობებს. მოვაბრუნოთ, რა, ქართველები ჩვენსკენ, მოვაბრუნოთ! დახეული ჯინსებიც უნდა ეცვას ახალგაზრდას, მაგრამ ვიღაცამ უნდა უჩიჩინოს, მშობელმა უნდა უჩიჩინოს, რომ ის სულით და ხორცით ქართველია და ქართულად უნდა დადიოდე ამ ქვეყანაში. არ შეიძლება ბრმად ვიღაცის აყოლა. შენ შენი ქართული უნდა გქონდეს და ამით უნდა იყო გამორჩეული. ამის მოწოდებით ვარ დაკავებული და ყველას ამას მოვუწოდებ.

— ***ანსამბლის წევრებში ამას ახერხებთ?***

— ჩემს ანსამბლში საოცარი დამოკიდებულებაა. და-ძმასავით არიან, ზოგან რომ დალევენ და ქალებიც სვამენ, ჩვენთან ასეთი რამ არ ხდება. თუკი აქ ერთმანეთი შეუყვარდებათ, მაშინ ოჯახი იქმნება. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენი ანსამბლი განსხვავდება სხვა ანსამბლებისგან. მე არ ვამბობ, რომ სხვაგან არის, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემს ანსამბლზე ვსაუბრობ. არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვთ, არაჩვეულებრივად ქართული ხასიათები აქვთ. არ მინახავს ჩემი მოცეკვავე სადღაც ცუდად მოქცეულიყოს, იმიტომ, რომ იციან, რომ არ მომეწონება და გავუშვებ. ყველამ იცის, რომ ისინი არიან ისეთ ანსამბლში, რომელსაც თავისი საკადრისი ადგილი უჭირავს. ჩემი ანსამბლის თითოეული მოცეკვავე ელჩია თავისი ქვეყნისა იქ, სადაც ჩადის და გასტროლი აქვს.

— ***გაგიშვიათ მოცეკვავე?***

— თუ ადამიანს არ უნდა ცეკვა და ანსამბლში გული არ მოუწევს, უნდა გაუშვა აბა, რა უნდა ქნა. როცა აგვიანებს რეპეტიციაზე, რატომ უნდა გავაპატიო? უდისციპლინობა არ არის, რომ დააგვიანებს. ამხელა კაცი მოვდივარ რეპეტიციაზე და ის არ მოდის? ერთხელ ვაპატიებ, ორჯერ და მესამედ უკვე აღარ. ე.ი. იმას არ უნდა ცეკვა და უნდა წავიდეს.

# მერილ სტრიპი — სამაგალითო ოჯახის დედა



**ამერიკელ მსახიობ მერილ სტრიპს სხვადასხვა ჯილდოს მთელი კოლექცია აქვს: „ოსკარის" პრემიაზე 13-ჯერ იყო ნომინირებული და აქედან 2 პრემია დაიმსახურა, 6-ჯერ აიღო „ოქროს გლობუსის" პრემია, ხოლო კანისა და ბერლინის ფესტივალების პრიზები ყველა სხვა მსახიობზე მეტჯერ აქვს მოპოვებული. რაც ყველაზე მთავარია, კრიტიკოსებისგან მინიჭებული აქვს კინემატოგრაფიის პირველი ლედის წოდება.**

### ბიოგრაფია

მერი ლუიზ სტრიპი დაიბადა 1949 წლის 22 ივნისს ამერიკის შტატ ნიუ ჯერსიში. ის ფარმაცევტული კომპანიის მოხელისა და მხატვრის ოჯახში გაიზარდა. სტრიპის შორეული წინაპრები ესპანელი ებრაელები იყვნენ, რომლებიც ემიგრაციის შემდეგ ჰოლანდიაში ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში გადასახლდნენ. უცხო ქვეყნაში მოხვედრილებმა ენა არ იცოდნენ და ხელმოწერის დროს ხაზებს უსვამდნენ, რის შემდეგაც წარმოიშვა გვარი სტრიპი (ზოლიანი). თუმცა, მერილის სისხლში ებრაული უკვე ნაკლებად ჩანდა — მისი უახლოესი წინაპრები ინგლისელები, ირლანდიელები, შვეიცარიელები და ჰოლანდიელები იყვნენ.

აღსანიშნავია, რომ სტრიპი თავიდან რელიგიურ განათლებას იღებდა, მაგრამ 12 წლის ასაკში ცუდი ყოფაქცევის გამო სკოლიდან გააგდეს. ამის შემდეგ მშობლებმა ის მუსიკის მასწავლებელთან მიიყვანეს, რათა ხელოვნებისთვის ეზიარებიათ.

ბავშვობაში მერილი ძალიან ცუდი შესახედავი ყოფილა — ჰქონდა შავი თმა, ატარებდა სათვალეს, რის გამოც ახალგაზრდა ბებერს ეძახდნენ. 15 წლის ასაკში თმა ქერად შეიღება, ჩაისვა კონტაქტური ლინზები და უცებ უმშვენიერეს გოგონად გადაიქცა.

მერილმა სწავლა ვასარ-კოლეჯში განაგრძო, სადაც სცენის მტვერს ჩაისუნთქა. შემდეგ კი იელის უნივერსიტეტში ჩააბარა, სადაც ძალიან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა თანაკურსელ გოგონებთან.

სწავლის პარალელურად, სტრიპი საზაფხულო თეატრის კოსტიუმების მხატვრად მუშაობდა. 1975 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მერილმა გადაწყვიტა, პროფესიული კარიერა კინოსა და თეატრში ეცადა. ამავე წლის კათოლიკური ქრისტეშობა მისი მოგონებიდან არ ამოსულა. სწორედ ამ დღეს გაისმა სატელეფონო ზარი „პუბლიკ თეატრის" დირექტორ ჯოზეფ პაპიდასგან, რომელმაც შესთავაზა მთავარი როლი სპექტაკლში „თვალი თვალის წილ" და კინოსინჯები ფრანგი პრინცესას როლზე ფილმში „ჰენრიხ V". თუმცა, მერილს ფილმში აღარ უთამაშია.

### კინოკარიერა

სწორედ ჯოზეფ პაპის დამსახურებაა, რომ ნიუ იორკის ერთ-ერთ საუკეთესო თეატრში მუშაობის შემდეგ მერილმა მაინც გადაწყვიტა, თავი კინოში ეცადა. სცენაზე შექსპირის, სტრინდერბერგისა თუ უილიამსის პიესების ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებელს თავდაპირველად რეჟისორმა ფრედ ცინემანმა ფილმში „ჯულია" პატარა როლი შესთავაზა. თუმცა, გასაკვირიც არ არის — მთავარ როლებზე ჯეინ ფონდა, ვანესა რედგრეივი, ჯეისონ რობარდსი და მაქსიმილიან შელი იყვნენ დაკავებულნი.

იმავე წელს მერილ სტრიპის მონაწილეობით კიდევ 2 ფილმი გამოვიდა — „საიდუმლო სამსახური" და „ყველაზე სასიკვდილო სეზონი".

1978 წელი ძალიან წარმატებული გამოდგა. რეჟისორმა მაიკლ ჩიმინომ გადაიღო ფილმი „ირმებზე მონადირე", სადაც მერილ სტრიპთან და რობერტ დე ნიროსთან ერთად ჯონ კეიზელიც თამაშობს. ფილმმა „ოსკარის" 5 ნომინაცია მოიგო. ფაქტია, ამის მერე სტრიპი ყველა რეჟისორის ყურადღების ცენტრში მოექცა.

თუმცა, ჩიმინომ არსად არ გაუშვა და იმავე დე ნიროსთან და ჯონ სევიჯთან ერთად მინისერიალ „განადგურებაში" ათამაშა. მოგვიანებით ამავე სახელწოდების სრულმეტრაჟიანმა ფილმა „ემის" 8 პრემია მიიღო, მათ შორის მერილმა — ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის.

კიდევ უფრო წარმატებული გამოდგა 1979 წელი. სტრიპმა ითამაშა ისეთ ფილმებში, როგორიც არის ვუდი ალენის „მანჰეტენის", ჯერი შაცბერგის „შეცდენილი ჯო ტაინენი" და რობერტ ბენტონის „კრამერი კრამერის წინააღმდეგ". სამივე ფილმი აღფრთოვანებით მიიღეს როგორც მაყურებლებმა, ისე კრიტიკოსებმა. ცხადია, ფილმები არც უპრიზებოდ დარჩენილა — მათ შორის „ოსკარისა" და „ოქროს გლობუსის" პრემიებზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია „კრამერი კრამერის წინააღმდეგ", სადაც სტრიპს პარტნიორობას ისეთი მსახიობები უწევდნენ, როგორებიც დასტინ ჰოფმანი და ჯეინ ალექსანდერი არიან. ამ ფილმმა „ოსკარი" მამაკაცის საუკეთესო როლისა და ქალის მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის მიიღო.

### 80-იანი წლები

2 წელიწადში მოპოვებული უზომო აღიარების შემდეგ მერილ სტრიპზე ჰოლივუდში მოთხოვნა გაჩნდა და უამრავი წინადადება მიიღო. მსახიობი თანხმდებოდა ყველა როლს და მისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, როგორი ხასიათის იქნებოდა მისი პერსონაჟი.

ამის მაგალითი იყო 1981 წელს გამოსული ფილმი, „ფრანგი ლეიტენანტის საყვარელი", რომელმაც „ბაფტას" პრემიის ნომინაციამდე მიიყვანა.

შემდეგ წელს მერილმა დიდებულად ითამაშა ფილმში „სოფიას არჩევანი". დრამატული როლის შესრულებამ მერილს „ოსკარის" პრემია მოუტანა. ფილმის რეჟისორი და სცენარისტი ალან პაკულაა, ხოლო გადასაღებ მოედანზე მერილს პარტნიორობას კევინ კლაინი და პიტერ მაკნიკოლი უწევდნენ.

შემოქმედებითი წარმატებები მოუტანა მერილს შემდეგმა ნამუშევრებმაც. 1983 წელს გამოვიდა ბიოგრაფიული ფილმი, „სილქვუდი", სადაც მერილმა ახალგაზრდა აქტივისტის, 28 წლის ასაკში ნარკოტიკების დოზის გადამეტებით გარდაცვლილი გოგონას როლი ჩინებულად ითამაშა.

1984 წელს მაყურებელმა უკვე საყვარელი მსახიობი დე ნიროსთან, ჰარვი კეიტელთან და ჯეინ კარმაჩეკთან ერთად ულ გროსბარდის მელოდრამა „შეყვარებულებში" იხილა, ხოლო შემდეგ ფილმებში „აფრიკიდან" და „შეწუხებული გული" სტრიპმა მრავალმხრივი სამსახიობო ნიჭი გამოავლინა.

ათწლეულის ბოლო სერიოზული როლი მერილმა 1989 წელს რეჟისორ სიუზენ სეიდელმანის ფილმ „ეშმაკ ქალში" ითამაშა, ხოლო შემდეგ უფრო კომედიური ჟანრის ფილმებზე გადაერთო.

თუმცა მერილ სტრიპი უკვე ჰოლივუდის აღიარებულ მსახიობთა ელიტაში შედიოდა.



### 90-იანი წლები

სტრიპის ყველა ფილმი და როლი კინემატოგრაფიაში მოვლენა ხდებოდა. არც შემდეგი ათწლეული ყოფილა წინაზე ნაკლები. პრაქტიკულად, მსახიობის ყველა ნამუშევარი სხვადასხვა პრემიაა და ნომინაციაზე იყო წარდგენილი.

1990 წელს კინოგაქირავებაში გამოვიდა რეჟისორ მაიკლ ნიკოლასის კომედიური დრამა „ბარათები უფსკრულის ბოლოდან", რომელიც კერი ფიშერის ავტობიოგრაფიული ბესტსელერის მიხედვით იქნა გადაღებული. შირლი მაკლეინისა და დენის კუეიდას დახმარებით მერილმა საუცხოოდ ითამაშა მთავარი როლი.

თავისი ნათელი კომედიურ-დრამატული ნიჭის დემონსტრაცია მერილმა შემდეგ ფილმებში მოახდინა — „დაიცავი საკუთარი სიცოცხლე" (1991), „სიკვდილი სახეში" (1992) და „სულების სახლი" (1993).

1994 წლიდან სტრიპი ისევ დრამატულ როლებს დაუბრუნდა და არანაკლებ წარმატებით ითამაშა ფილმებში: „ველური მდინარე", „მედისონ ოლქის ხიდები", „მარვინის ოთახი", „ნამდვილი ფასეულობა", „ქრიზანთემები", „გულის მუსიკა".

ყველა ამ ფილმის ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ მაყურებელმაც და კრიტიკოსებმაც ერთხმად აღიარეს — მერილ სტრიპის კარიერა შედგა.

### 2000-იანი წლები

მსახიობის ცხოვრება ყოველთვის მოულოდნელობითა და სიურპრიზებით არის სავსე. მათში საშინელი მომენტებიც დგას და სასიამოვნოც.

ასე დაემართა მერილ სტრიპსაც — მსახიობმა 53 წლის ასაკში ითამაშა ყველაზე საინტერესო ფილმში. 2002 წელს რეჟისორმა სტივენ დოლდრიმ გადაიღო ფილმი „საათი", სადაც სტრიპმა მთავარი როლი ითამაშა, ხოლო პარტნიორებად ნიკოლ კიდმანი და ჯულიანა მური ჰყავდა.

არანაკლებ მიიღო მაყურებელმა იმავე წელს ფილმში „ადაპტაცია", სადაც უკვე ნიკოლას კეიჯთან ერთად ითამაშა. ამ როლისთვის მერილმა „ოქროს გლობუსის" პრემია დაიმსახურა.

ერთი წლის შემდეგ ფილმში „ანგელოზები ამერიკაში" მსახიობმა უკვე „ემმის" ნომინაციაში იმარჯვა.

2005 წელს სტრიპი კომედიას დაუბრუნდა და რეჟისორ-სცენარისტ ბენ იანგერის ფილმში „ჩემი საუკეთესო საყვარელი" ითამაშა. თუ მსახიობთა სრულ შემადგენლობას გადავხედავთ, მივხვდებით, მაყურებელი რამდენად კარგად მიიღებდა — ენი პარისი, ატო ესონდა, დევიდ ენზუელო, უმა თურმანი, ჯონათან რუმი...

### „ეშმაკი ატარებს „პრადას"

2006 წელს მერილმა ერთბაშად 3 შეთავაზება მიიღო. პირველად მოხდა, რომ მსახიობმა ორ მათგანზე უარი თქვა და პირდაპირ განაცხადა, რომ ის როლები მისთვის არ იყო ზედგამოჭრილი.

ერთადერთი, დევიდ ფრენკელის ფილმ „ეშმაკი ატარებს „პრადას" დათანხმდა და მისმა ამ სურათში გამოჩენამ გაცილებით მეტი ხიბლი შესძინა ნამუშევარს.

როგორც არ უნდა გავყოთ სტრიპის ნათამაშევი როლები, ყველაში ერთი რამ ნათლად მოჩანდა — ადამიანური ღირსებები და ქალური დამოუკიდებლობა. მისი გმირი სიყვარულის უფლებას მხოლოდ საკუთარი არჩევნით აკეთებდა.

2007 წელს მერილმა თანხმობა განაცხადა, ეთამაშა ფილმებში: „ბნელი ისტორია" და „ლომები ბატკნებისთვის". ეს უკანასკნელი ფილმი რობერტ რედფორდმა გადაიღო და ტომ კრუზთან ერთად პარტნიორობასაც უწევდა მერილს.

იმავე წელს სტრიპმა კიდევ ორ ფილმში მოსინჯა ძალები — „კაპიტულაცია" და „სალამო".

### ბოლო ნამუშევრები

2008 წელს სტრიპმა თავი უკვე მიუზიკლშიც მოსინჯა — „მამა მია", რომელშიც ამანდა სეიფრიდი, სტელან სკარსგაარდი, პირს ბროსნანი და ნენსი ბოლდუინი უწევდნენ პარტნიორობას.

იმავე წელს მერილმა ითამაშა ფილმში „ეჭვი", რომელიც კიდევ ერთი წარმატების მომტანი აღმოჩნდა — მსახიობი მორიგი „ოსკარის" ნომინაციაზე წარადგინეს.

მაყურებელს მერილ სტრიპი 2009 წელსაც დაამახსოვრდათ ფილმებიდან „ნენსი მაიერის ახალი პროექტი" და „ჯულია და ჯულია".

2010 წელს კი მისი ყველაზე მასშტაბური პროექტი იყო ფილმი „ყველაზე პირველი".

### სხვა სფეროები

მერილ სტრიპი ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში: იბრძოდა ბირთვული იარაღის წინააღმდეგ, საკვებში ნიტრატების შემცირებაზე.

ასევე აქტიურად ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას, თანამშრომლობდა ფონდებთან, აგროვებდა თანხებს შიდსის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, ეხმარებოდა ავადმყოფ ბავშვებს. მოკლედ, არ ივიწყებდა თავის სამოქალაქო ვალს.

### პირადი ცხოვრება

სამსახიობო კარიერა და პირადი ცხოვრება შესანიშნავად ჰქონდა შერწყმული. 1978 წელს მერილი ცოლად გაჰყვა სკულპტორ დონ გამერს, რომელიც ძირითადად ხესა და ლითონზე მუშაობდა.

ამ წყვილის კავშირი ერთ-ერთი სამაგალითო იყო ჰოლივუდში. ქმართან და 4 შვილთან ერთად დღემდე წყნარად ცხოვრობს კონექტიკუტის შტატში.

მერილ სტრიპი გენიალური დედაა, მზად არის, ნებისმიერ გადაღებაზე უარი განაცხადოს, თუ ისინი შვილების არდადეგების პერიოდს ემთხვევა.

— ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა შვილებთან, თუმცა, ერთ-ერთი გოგონა როცა ცოტა წამოიზარდა და თინეიჯერულ ასაკში შევიდა, ოდნავ გამიჭირდა, მაგრამ დრომ ყველაფერი დაალაგა. ბავშვები ზრდასთან ერთად მეგობრები ხდებიან. ჩემი გოგო ახლა სტუდენტია და გაცილებით მეტს მისმენს, ვიდრე ამას ადრე აკეთებდა, — აცხადებს მსახიობი.

შესანიშნავი ოჯახური გარემოს მიუხედავად, გავრცელდა ხმები, რომ 1995 წელს მერილს რომანი ჰქონდა კლინტ ისტვუდთან, რომელთან ერთადაც ფილმში თამაშობდა. თუმცა, ამ ხმებს ბოლო თავად ისტვუდმა მოუღო.

— მერილი შესანიშნავი ქალია და მისით მოხიბლული ვარ. რაც შეეხება რომანს, ეს, უბრალოდ, შეუძლებელია, — განაცხადა ამერიკული ვესტერნების უდავო გმირმა.

### საინტერესო ფაქტები

თავისი კარიერის მანძილზე სტრიპი 13-ჯერ იყო წარდგენილი „ოსკარის" ქანდაკებაზე, მაგრამ მისი მოპოვება მხოლოდ 2-ჯერ მოახერხა. მის კოლექციაშია 6 „ოქროს გლობუსი" და კინოაკადემიის 2 გილდია.

სტრიპი არასდროს დიდ ყურადღებას არ აქცევდა მოდას. წყნარი და ოჯახისთვის თავგადაკლული მეგავარსკვლავია.

სტრიპს მხოლოდ რამდენიმე დიზაინერი მოსწონდა, მაგალითად, ვალენტინო და მის შემოქმედებას ყველაზე მეტად აფასებდა.

ფილმების გადაღების შემდეგ სტრიპი არასდროს აკეთებდა ორიენტაციას რეჟისორებზე.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# კრიშტიანუს წარმატების საიდუმლო — გწამდეს და გჯეროდეს



პორტუგალიის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ერთ-ერთი ლიდერი, კრიშტიანუ რონალდუ, ხშირად ჩნდება საზოგადოებაში და არა მარტო ჟურნალისტების, არამედ ახალგაზრდა ფეხბურთელების შეკითხვებსაც უპასუხა.

***— ყველა ბავშვის ოცნებაა, რომ ფეხბურთი თქვენსავით ითამაშოს.***

— ეს ასაკი უკვე გავიარე, მათ კი ყველაფერი წინ აქვთ. მთავარია, სწამდეთ, რომ დადგება დრო, როდესაც თავისას მიაღწევენ.

***— ამ ბავშვებში საკუთარ თავს ხედავთ?***

— დიახ, კარგად მესმის, რას განიცდიან ისინი, რაზე ოცნებობენ და ფიქრობენ. ჩემთვის მათთან შეხვედრა წარსულში დაბრუნების ტოლფასია. მათი ოცნებები ჩემის ანალოგიურია.

***— თქვენ როგორი ბავშვი იყავით, რაზე ოცნებობდით?***

— ჩვეულებრივი ბიჭი ვიყავი, რომელსაც ბურთის უფროსებთან გორება უყვარდა. ფეხბურთის თამაშს თავს მხოლოდ მაშინ ვანებებდი, როდესაც დედა დასაძინებლად მეძახდა. ეს ცხოვრების უბედნიერესი წუთები იყო. არაფერზე ვფიქრობდი და მხოლოდ იმას ვამბობდი, რაც გონებაში გამიელვებდა. სწორედ ასეთი ბავშვობის დამსახურებაა, ოცნება რომ ავისრულე და მაღალი დონის ფეხბურთელი გავხდი.

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "ბეტმენი" 09.00 სერ. "ჩენტო ვეტრინე" 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. "დაუნდობელი სამყარო" 12.00 სერ. "გაუხსნელი საქმე" 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 15.20 სერ. "ორნახევარი კაცი" 16.30 მხ. ფილმი 19.00 სერ. "ვნებათა მიწა" 20.00 სერიალი "დაუნდობელი სამყარო" 21.00 სერ. "გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერიალი "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.30 სერ. "სიყვარულის ზღვა" 12.25 ტვ-მარკეტი 12.35 სერიალი "ლოზას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ. "სიყვარულის ზღვა" 18.45 სერიალი "ლოზას საიდუმლო" 21.00 სერიალი "ქალბატონი" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 00.00 მხ. ფ. "საქორწინო წვეულება" (მ. დუგლასი) (სუბტ.) 02.00 მხ. ფილმი "მაქსიმალური რისკი" (15) (ჟ. ვან დამი) (სუბტ.) 03.40 მხ. ფილმი "დრაკონის გზა" (ბ. ლი) (სუბტ.) 06.30 სერიალი "ბოშები"

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. "ადვოკატი" 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერიალი "იდუმალი სტუმარი" 12.50 სერიალი "მამები" 14.50 სცენა 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერიალი "მხოლოდ შენ" 19.30 სერიალი "მონადირე" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.25 პირველშეწირულის ლიტურგიის განმარტება 10.35 დოკ. ფ. "წმინდა მიწაზე" 11.00 სუფთა დაფა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფ. "მუჟდრო სავანე" 13.10 კონცერტი – ტრიო "თბილისი" 15.05 ახალი ალთქმის განმარტებანი 15.30 მხ. ფილმი "მოკვეთილი" 17.00 დოკ. ფ. "ველური ბუნება" 17.35 "განთიადის" არქივიდან 18.05 სღვთისმეტყველო საუბრები 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი "დიმიტრი მეორე" 1-ლი ს. 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 მიწათმოქმედი 21.40 წარმატების ფორმულა 22.20 დოკ. ფ. "შემოდგომა" 23.00 საღამოს ლოცვა 23.30 დიდმარხვის მესამე კვირის საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება 00.35 სად უჩინარდებიან ჩემპიონები 01.00 პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან

## პარასკევი 25 მარტი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00, 02.45 მოამბე 12.30 ავტოპილოტი 13.30 ვაშინგტონი დღეს 14.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 15.00 სერიალი "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერიალი "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 22.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 სერიალი "ფარი" (12) 00.00 წითელი ზონა 01.00 მხ. ფილმი "მდგმურები" (რეჟ. დ. ჯანელიძე) 03.00 მხ. ფილმი "უსაყვარლესი" (18) (კ. დიასი)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 20.00 მხ. ფილმი "პარვარდელი უსახლკარო" 01.00 მხ. ფილმი "იდენტიფიკაცია" (18)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერიალი "ცოდვილი" 11.00 სერიალი "მიმნდობელი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.30 სერიალი "შენ ჩემი სიცოცხლე ხარ" 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 პროფილი 16.50 სერ. "მორენას ვნება" 18.45 სერიალი "დანიელა" 19.50 სერ. "ელენას მოჩვენება" 21.00 კურიერი 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 კომედი შოუ (გან.) 00.00 მხ. ფ. "ცხენების ჩურჩულელი" (18) (რ. რედფორდი) 02.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "ბეტმენი" 09.00 სერ. "ჩენტო ვეტრინე" 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერიალი "დაუნდობელი სამყარო" 12.00 სერ. "ორნახევარი კაცი" 12.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.45 მხ. ფილმი 16.45 მხ. ფილმი 19.00 სერ. "ვნებათა მიწა" 20.00 სერ. "დაუნდობელი სამყარო" 21.00 გადაცემა "105 წუთი" (პირდ.) 22.50 მხ. ფილმი (სუბტ.) 01.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.30 სერ. "სიყვარულის ზღვა" 12.25 ტვ-მარკეტი 12.35 სერ. "ლოზას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ. "სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ. "ლოზას საიდუმლო" 21.00 სერიალი "ქალბატონი" 22.00 სერიალი "გოგონა გარეუბნიდან" 23.00 ღამის შოუ 00.00 მხ. ფ. "რა სურთ ქალებს" (მ. გიბსონი) (სუბტ.) 02.15 "ფლეიბოი იმედზე" 03.00 მხ. ფ. "საბედისწერო მოგზაურობა" (18) (სუბტ.) 04.35 მხ. ფ. "ვარსკვლავის დაბადება" (პ. დაფი) 07.15 სერიალი "ბოშები"

09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. "ადვოკატი" 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერიალი "იდუმალი სტუმარი" 12.50, 19.30 სერ. "მონადირე" 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერიალი "მხოლოდ შენ" 19.00 მუსიკა 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.15 სიახლენი 10.35 დოკ. ფილმი "სიმებიანი კვარტეტი "თბილისი" 11.15 დიდმარხვის მესამე კვირის საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "დიმიტრი მეორე" 1-ლი ს. 13.50 კონცერტი – "ქართული სული" ვახტანგ კახიძე 15.05 ახალი ალთქმის განმარტებანი 15.30 მხ. ფილმი "მალე გაზაფხული მოვა" 16.50 დოკ. ფ. "ველური ბუნება" 17.10 მოკ. ფ. "რა გაცინებს" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.25 პირველშეწირულის ლიტურგიის განმარტება 19.35 მხ. ფილმი "დიმიტრი მეორე" მე-2ს. 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 22.40 დოკ. ფილმი "მებრ□ოლი ეკლესია" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დიდი მარხვა 00.35 კვირიაკე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

## შაბათი 26 მარტი

07.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 10.00 მხ. ფილმი "ბედის ხმა" 11.30 "ბავშვობანა" 12.00, 16.00, 20.00, 03.30 მოამბე 12.15 მხ. ფილმი "კრამერი კრამერის წინააღმდეგ" 14.00 კალათბურთი. საქ. ჩემპიონატი. შსს - თსუ 16.15 ქართული დოკუმენტალისტიკა 17.00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი 17.30 დამზადებულია საქართველოში 18.00 დოკ. ფილმი "მსოფლიო ოდისეები" 18.30 ქართ. მხ. ფ. "ლაზარეს თავგადასავალი" 20.00 მოამბე 20.50 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. საქართველო-ხორვატია 23.00 საჯარო პოლიტიკა 00.00 "სი ბემოლი" 01.00 მხ. ფილმი "ცეცხლის ხაზზე" (12) (კ. ისტვუდი) 03.20 წითელი ზონა 04.35 მხ. ფილმი "მდგმურები"

08.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 ბრიფინგის დროით 17.00 ბრიფინგის დროით 17.30 ჩვენი სამართალი 18.00 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 19.00 რეგიონის დროით 19.30 საუკუნის პორტრეტები 20.00 კონცერტი: გ. ბზვანელის საიუბილეო საღამო 21.40 მხ. ფილმი "კრამერი კრამერის წინააღმდეგ" 23.00 წითელი ზონა 00.00 მხ. ფილმი "მდგმურები"

08.00 კურიერი 08.30 მულტსერიალი "ნარუტო" 09.00 საბ. სერ. "სინდბადი" 10.00 ეთამაშე ვარსკვლავს (გან.) 11.00 ეკი-ვოკი (გან.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 13.00 მხ. ფილმი "განმეორებითი ქორწინება" 15.30 ქართ. ფილმი "მატარებელი მიდის" 17.30 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 18.50 ანა-ბანა 19.50 სერ. "ელენას მოჩვენება" 21.00 პ. ს. კურიერი 22.00 ქართ. სერ. "მეზობლები" 23.00 ქართ. სერ. "დეტექტივები" 00.00 მხ. ფილმი "ტერმინატორი 2" (18) 02.30 მხ. ფილმი "თავისუფლების ძახილი"

08.00 მხ. ფილმი 10.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 11.00 საბ. სერიალი "ოდისეა" 11.30 პულსი 12.00 სერ. "ვერონიკა მარსი" 13.00 "იმედის ფსონი" პირდაპირი 14.00 სერიალი "ელიზა დი რივომბროზა" 15.00 მხ. ფილმი 17.00 მულტფილმი 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ტაქსის მძღოლი" 21.00 მხ. ფილმი 23.00 სერ. "გაუხსნელი საქმე" 00.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00, 09.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "სპანჯბობი" 09.15 მხ. ფილმი "ხუჭუჭთმიანი გოგონა" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.10 სერიალი "მონსტრებთან მებრძოლები" 11.45 სერ. "შუა ქალაქში" 12.35 სერ. "ლოზას საიდუმლო" 14.30 ბოიარის ციხესიმაგრე 15.00 თბილისი ლაივი 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ. "სიყვარულის ზღვა" 18.45 სერიალი "ლოზას საიდუმლო" 20.30 სპეც. რეპორტაჟი 21.00 სერიალი "ქალბატონი" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სტუმრად იუმორინასთან 00.00 სერიალი "მკვლელის პორტრეტი" (15) მე-9ს. 01.00 "ფლეიბოი იმედზე" 01.30 მხ.ფ. "მაგნუმის ქალა" (18) (კ. ისტვუდი) 03.55 მხ. ფილმი "პელიკანების საქმე" (12) (ჯ. რობერტსი) (სუბტ.) 07.15 სერიალი "ბოშები"

09.00, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. "ადვოკატი" 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30, 21.00 სერიალი "იდუმალი სტუმარი" 13.15, 19.30 სერ. "მონადირე" 14.30 დროის ვექტორი 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერიალი "მხოლოდ შენ" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.20 უხარება 08.30 ჩვენი ფონდი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.25 პირველშეწირულის ლიტურგიის განმარტება 10.35 კვირიაკე 12.15 მხ. ფილმი "დიმიტრი მეორე" მე-2ს. 13.30 წარმატების ფორმულა 15.05 ახალი ალთქმის განმარტებანი 15.30 ოპერა 17.35 დოკ. ფილმი "მე მიძღვნია სოფელსა" 18.05 საქ. არქივიდან – ძველი აფიშა 18.40 ძველი ალთქმის განმარტებანი 19.15 ქართული ალბომი 19.40 მხ. ფ. "ოთარაანთ ქვრივი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ზეთის ცხების საიდუმლოს შესახებ 21.30 სამედიცინო გადაცემა "კარაბადინი" 22.20 ტაძრები 22.35 ჩემი ქალაქი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან 00.25 მხ. ფ. "სამოთხის ვერიტები"

## კვირა 27 მარტი

07.30 დოკ. ფილმი "მსოფლიო ოდისეები" 08.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 10.00 მხ. ფილმი "მედლინი" 12.00, 16.00, 20.00, 03.10 მოამბე 12.15 მხ. ფილმი "ჩარლის ანგელოზები" 14.00 ჩვენი ფერმა 14.30 სი ბემოლი 15.30 ჩვენი სამართალი 16.15 ჩვენი ეზო 17.00 დოკ. ფილმი "მოხალისეობა ინგლისში" 17.30 ვაშინგტონი დღეს 18.00 ი. გურგულიას ხსოვნის საღამო 20.00 აქცენტები 21.00 ცხოვრება მშვენიერია 22.00 ევროვიზია 2011 დღიური 22.30 დოკ. ფილმი "ყველასათვის უცნობი კოული" 23.00 სერიალი "ფარი" (12) 00.30 ღამის საუბრები 01.30 მხ. ფ. "შავი ქორის დესანტი" (18) (ე. მაკგრეგორი) 04.35 აქცენტები

08.00 დოკ. ფილმი 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 15.00 პარლამენტის სხდომის დაიჯესტი 17.00 ისტორია 18.00 დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" 19.00 საუკუნის პორტრეტები 20.00 დოკ. ფილმი "კაილი მინოუგი" 21.00 პროცესი 21.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 22.00 მხ. ფილმი "ჩარლის ანგელოზები" 00.05 მხ. ფ. "ცეცხლის ხაზზე" (12)

08.00 "კურიერი პ.ს." დაიჯესტი 08.30 მულტსერიალი "ნარუტო" 09.00 საბ. სერ. "სინდბადი" 10.00 ანა-ბანა (გან.) 11.00 საბავშვო ამბები 11.30 მულტფილმი "მხიარული ფერმა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 მხ. ფილმი "სოლომონ მეფის საგანძური" 15.20 სერიალი "სიამაყე" 17.25 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 19.00 ეკი-ვოკი 20.00 ეთამაშე ვარსკვლავს 21.00 კომედი შოუ 22.00 ქართ. სერ. "მეზობლები" 23.00 ქართ. სერ. "დეტექტივები" 00.00 მხ. ფ. "მეოთხე სახის კონტაქტი" (18) (მ. იოვოვიჩი) 02.20 მხ. ფილმი "ვარსკვლავები ყინულზე"

08.00 მხ. ფილმი 10.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 11.00 გადაცემა "ტვ-ტესტი" 11.30 პულსი 12.00 სერ. "ვერონიკა მარსი" 13.00 "იმედის ფსონი" პირდაპირი 14.00 სერიალი "ელიზა დი რივომბროზა" 15.00 მხ. ფილმი 17.00 მულტფილმი 18.00 მხ. ფილმი 20.00 გადაცემა "მზის კინოკლუბი" 00.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00, 09.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" 1-ლი ს. 09.15 ან. ფ. "მადლიერი კატა" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი 12.00 სერ. "შუა ქალაქში" 12.35 სერი. "იასონი და არგონავტები" 14.30 სპეცრეპორტაჟი 15.00 ქართ. მხ. ფ. "ბაში-აჩუკი" 17.30 ბოიარის ციხესიმაგრე 17.45 ეტალონი 19.05 სერიალი "გოგონა გარეუბნიდან" 20.15 იმედის გმირები 20.30 მუს. გადაცემა 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 ვის აირჩევს კახა ბენდუქიძე 00.00 სერ. "მკვლელის პორტრეტი" მე-10ს. 01.00 მხ. ფილმი "შეხვედრა ვამპირთან" (15) (ბ. პიტი) (სუბტ.) 03.25 მხ. ფ. "მინდა გახსოვდე" (12) 06.30 სერიალი "ბოშები"

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. "ადვოკატი" 10.00 დილის ტალღა 12.00, 21.00 სერიალი "იდუმალი სტუმარი" 13.00 დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერიალი "მხოლოდ შენ" 19.30 სერიალი "მონადირე" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 დოკ. ფილმი "მებრ□ოლი ეკლესია" 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.05, 19.00, 22.00 სიახლენი 10.35 ჩემი ქალაქი 11.00 ქართული ალბომი 11.30 პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან 12.15 მხ. ფ. "ოთარაანთ ქვრივი" 13.50 დიდი მარხვა 14.30 გადაცემა "კარაბადინი" 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.35 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 სუფთა დაფა 17.15 სღვთისმეტყველო საუბრები 18.00 პატრიარქის ქადაგება 18.25 დროის ჩანაწერები 19.00 გზა, რომლითაც ვიარე 19.30 მხ. ფ. "თეთრი ქარავანი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.05 პატრიარქის ქადაგება 00.40 ოპერა

# დედამ ბედნიერება დამაკარგვინა

**ნანუკამ ოჯახის შექმნა რომ გადაწყვიტა, პირველ რიგში დედას გაუმხილა თავისი გულის ნადები, თუმცა მშობელმა შვილს ჯერ სწავლის დამთავრება ურჩია და მხოლოდ შემდეგ — ოჯახის შექმნა.**

**ნანუკამ დედას დაუჯერა, უმაღლესი დაამთავრა, კარგად ისწავლა, უცხოეთშიც გაემგზავრა სასწავლებლად. მოკლედ, კარიერა კი აიწყო, მაგრამ ამასობაში საყვარელი ადამიანი დაკარგა და ახლა სრულიად მარტოა. 33 წლის ახალგაზრდა ქალი ყველაფერში დედას ადანაშაულებს და მიაჩნია, მშობლისთვის რომ არ დაეჯერებინა, ახლა ლამაზი ოჯახი ექნებოდა და მისი ოცნება — ბევრი შვილი და ოჯახური სიმყუდროვე რეალობად იქნებოდა ქცეული.**

**ნანუკა ახლა ხვდება, რომ მთავარი ადამიანისთვის საკუთარი გულისთქმაა — რასაც გული გეუბნება, ის უნდა გააკეთო და სხვის რჩევებს არ უნდა დაუჯერო.**

ნანუკა:

— უკვე 33 წლის ვარ. სერიოზულად დავფიქრდი იმაზე, რომ ოჯახი მინდა. კარიერაში ყველაფერი მაქვს — კარგი განათლება, ცოდნა, სამსახური, მაგრამ როდესაც სახლში მოვიდივარ და საკუთარ თავთან მარტო ვრჩები, ვგრძნობ, რომ ეს ყველაფერი ჩემთვის არაფერია. მთავარი — ოჯახური სითბო, შვილები და მოსიყვარულე ქმარი მაკლია.

***— აქამდე რატომ არ გათხოვდით?***

— იმიტომ, რომ დედას დავუჯერე და ძალიანაც შევცდი. მეოთხე კურსზე ვიყავი, გია რომ გავიცანი. ჩემი კურსელის ძმა იყო, ერთმანეთს ადვილად გავუგეთ და დავმეგობრდით. ყველა ჩვენს წვეულებასა თუ შეკრებაზე გია თავის დას სულ თან ახლდა. კარგი ადამიანი იყო, განათლებული, სიმპათიური, სამუშაოც ჰქონდა. არაფერი აკლდა, წესიერი ოჯახის შვილი იყო და ჩემი მოხიბლვა არ გასჭირვებია. ერთმანეთს სიყვარულში რომ გამოვუტყდით, გიამ მაშინვე ცოლობა შემომთავაზა. ასე სწრაფად მოვლენების განვითარებას არ ველოდი, ამიტომ ვთხოვე, ცოტა დამაცადე, ჩემებსაც ვკითხავ აზრს-მეთქი. პირველად გული დედაჩემს გადავუშალე. დედა ცუდი და შეუგნებელი ქალი არ არის, მაგრამ ვერ გამიგო. მითხრა, ჯერ პატარა ხარ, ერთი წელიღა დაგრჩა, ბარემ სწავლასაც მორჩი, რაღაც სამსახურს გამოგიძებნით და ასე უფრო თავდაჯერებული შექმნი ოჯახს. მაგ გიას თუ ნამდვილად უყვარხარ, ერთი წელიც როგორმე დაგელოდებაო.

***— გია დაგელოდათ?***

— ეს ამბავი გიას რომ ვუთხარი, არ მოეწონა. მითხრა, ერთი წელი რა მომაცდევინებს, მოდი ჩუმად დავქორწინდეთ, ჩემად რომ გიგულებ, უფრო დავმშვიდდებიო. ჩემი მშობლების მოტყუება ვერ გავბედე და უარი ვუთხარი. გიას ეწყინა, არ მენდობი, ალბათ იმიტომ, რომ არ გიყვარვარო და გამებუტა. ისე ძალიან მიყვარდა, იმავე დღეს დავურეკე და პატიება ვთხოვე, მაგრამ ჩუმად დაქორწინებაზე მაინც არ დავთანხმდი.

მეხუთე კურსზე რომ გადავედი, ჩვენს სასწავლებელში კონკურსი გამოცხადდა, გამარჯვებული დიდ ბრიტანეთში სასწავლებლად ექვსი თვით გაემგზავრებოდა. ამ კონკურსში მონაწილეობა დაუფიქრებლად მივიღე და გავიმარჯვე კიდეც.

***— და უცხოეთში წახვედით?***

— აბა, რას ვიზამდი?! დედაჩემმა ხომ მითხრა, ყველაფერს უნდა მიაღწიო და ოჯახი მერე შექმნაო. ჰოდა, მეც ჩავთვალე, რომ ეს ჩემი შანსი იყო და ხელიდან არ უნდა გამეშვა.

***— გიამ როგორ მიიღო თქვენი გადაწყვეტილება?***

— გიას ეს რომ ვუთხარი, არ სჯეროდა, მითხრა, ამდენ ხანს ვერ მიმატოვებო, მაგრამ ვამშვიდებდი, არაფერია, ჩემი სწავლის პერიოდში დრო კიდევ უფრო სწრაფად გავა და როგორც კი ჩამოვალ, დაქორწინებას უფრო მალე შევძლებთ-მეთქი. გიას ძალიან გაუჭირდა ჩემი გაშვება, მაგრამ რას იზამდა, გამიშვა. ფეხები უკან მრჩებოდა, აეროპორტში ორჯერ მოვბრუნდი, აღარ მინდოდა წასვლა, მაგრამ ისევ გიამ დამაიმედა, წადი, ალბათ შენთვის ასე სჯობიაო.

დიდ ბრიტანეთში ყოფნისას გიას ხშირად ვეკონტაქტებოდი, სკაიპით საათობით ვლაპარაკობდით. გია არ მალავდა, რომ უჩემოდ უჭირდა, მაგრამ ვაიმედებდი, გული როგორმე გადააყოლე, ცოტა გაერთე, მეგობრებთან ერთად იარე და ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. ბოლოს რომ დავურეკე, მითხრა, შენს გარეშე გაძლება ძალიან მიჭირს, დაანებე ყველაფერს თავი და ჩამოდი, ჩემთვის მნიშვნელობა საერთოდ არ აქვს დიპლომი გექნება თუ არა, ასეთიც ძალიან მიყვარხარო. მე კი ვარწმუნებდი, რომ ცოტაღა მქონდა დარჩენილი და მალე ერთად ვიქნებოდით. ამ საუბრის შემდეგ, გიამ დამირეკა და მითხრა, ორ დღეში ბილეთს ავიღებ და შენთან ჩამოვალო. ამ ამბის გაგება ძალიან გამიხარდა, დღეებს ვითვლიდი, როდის ჩამოვიდოდა და ვნახავდი.

ამის შემდეგ გია აღარ შემხმიანებია. ის სკაიპში აღარ შემოდიოდა, იმ მობილურ ტელეფონზე, რომელიც ვიცოდი, სხვა მპასუხობდა და მარწმუნებდა ჩემი ნომერიაო. პანიკაში ჩავვარდი, მივხვდი, რომ რაღაც მოხდა, მაგრამ ცუდის გაფიქრება არ მინდოდა. ერთი სული მქონდა თბილისში როდის ჩამოვიდოდი, რომ გია მენახა და მისი დუმილის მიზეზი გამერკვია. სწავლასაც ველარ დავუდე გული, დარჩენილი თვეები ჯოჯოხეთად მექცა, ჩემებს გამალებით ვურეკავდი და ყველაფერს დაწვრილებით ვეკითხებოდი, მაგრამ დედაჩემი გიას არ იცნობდა და მისგან ვერაფრის გაგებას ვერ შევძლებდი.

***— რა იფიქრეთ?***

— ყველაფერი ცუდი, რაც კი შეიძლება ადამიანმა იფიქროს. კინაღამ გავგიჟდი, მეგონა, რომ რაღაც საშინელება დაემართა და მოკვდა, მერე ცოტა დრო რომ გავიდა და დავმშვიდდი, იმაზეც დავიწყე ფიქრი, რომ ჩემს აქ ყოფნაში ვილაც სხვა გოგო გაიცნო და ის შეუყვარდა. მოკლედ, ყველაფერი გავიფიქრე, რაც კი შეიძლებოდა მეფიქრა და ერთი სული მქონდა, სწავლა როდის დამიმთავრდებოდა, რომ უკან დავბრუნებულიყავი, გია მომეძებნა და ყველაფერი გამეგო.

დარჩენილმა თვეებმაც როგორც იქნა გაიარა და თბილისში ჩამოვედი. აეროპორტში გია არ დამხვედრია და არც გამკვირვებია. მან უკვე თვეებია ჩემს შესახებ არაფერი იცოდა. დედაჩემი და ჩემი ძმა მელოდებოდნენ. ათას კითხვებს მაყრიდნენ, მაგრამ ნახევარი არ მესმოდა, სულ იმის ფიქრში ვიყავი, რა დაემართა გიას.

ერთი კვირის შემდეგ სრულიად შემთხვევით მისი და ქუჩაში შემხვდა. ჩემი დანახვა ძალიან გაუხარდა, მომიკითხა, ბევრი ვილაპარაკეთ. მერიდებოდა გიაზე რამე მეკითხა, ისიც თითქოს შენგებულად, თავის ძმაზე კრინტს არ ძრავდა. ბოლოს ველარ მოვითმინე და გია მოვიკითხე. მითხრა, არა უშავს, კარგად არის, ცოლი მოიყვანა და უკვე პატარასაც ველოდებითი. ვერ გეტყვით, იმ წუთას რა დამემართა, გავიღიმე და ბედნიერება ვუსურვე, მაგრამ შინაგანად მოვკვდი. მივხვდი, რომ ჩემმა



წასვლამ და შორს ყოფნამ გიას სხვაზე ფიქრი დააწყებინა. არ მინდოდა მისი გამართლება, ვფიქრობდი, თუ მართლა ვუყვარდი, ექვსი თვე არც ისე ბევრია, რომ ვერ დამლოდებოდა-მეთქი. პირველი ორი კვირა ჩემთვის ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო, გამუდმებით ვტიროდი, არავის დანახვა არ მინდოდა, დედაჩემს რომ შევხედავდი, მის მიმართ ზიზღით ვივსებოდი და ლამის მეჩხუბა.

***— დედამ რა გითხრათ?***

— დედაჩემს თავიდან არაფერი უთქვამს, მერე ეტყობა დაფიქრდა და ისევ დალაპარაკება ამჯობინა. მაინც თავის მოსაზრებას ამართლებდა, მეუბნებოდა, ნასწავლი, განათლებული გოგო ხარ, ეტყობა, მაგ შენს გიას ნამდვილად არ უყვარდი, თორემ აუცილებლად დაგელოდებოდა, აი, ნახავ, მაგაზე უკეთეს ბიჭს გაიცნობ, მაგაზე მეტად შეგიყვარდება და სამაგალითო ოჯახს შექმნიო.

სამწუხაროდ, დედა მართალი არ აღმოჩნდა. იმის შემდეგ უკვე ბევრი წელი გავიდა, მაგრამ დღემდე მარტო ვარ. არც არავინ მომწონებია და არც არავინ შემყვარებია. ამ ამბის შემდეგ მალე ისევ დიდ ბრიტანეთში წავედი. ევროპაში სულ სხვა ცხოვრების რიტმია და თითქოს გადამავიწყდა კიდეც ჩემი ტრაგედია, მაგრამ ამდენი წელი გავიდა და გია ჯერ კიდევ მახსოვს.

***— მას აღარ შეხვედრიხართ?***

— ერთხელ შემთხვევით ქუჩის მეორე მხარეს მოვკარი თვალი — ულამაზეს გოგოსთან ერთად მოდიოდა და ხელში პატარა ბავშვი ეჭირა. მის დანახვაზე კინაღამ მუხლები მომეკეცა, ლამის გავიქეცი და ჩავეხუტე, მაგრამ გია ისეთი ბედნიერი ჩანდა, ამის გაკეთება მაშინვე გადავიფიქრე. მას შემდეგ გია აღარ მინახავს.

***— უცხოეთში არავინ მოგეწონათ?***

— უცხოელი ქმარი არ გამაგონოთ! ისინი სულ სხვანაირები არიან. ქართველ მამაკაცებს ნამდვილად ვერ შეედრებიან. თუკი ოდესმე გავთხოვდი, ჩემი ქმარი აუცილებლად ქართველი იქნება. უკვე 33 წლის ვარ, პატარა გოგო ნამდვილად აღარ ვარ, მაგრამ ამ ქართველ კაცებსაც ვერაფერი გავუგე, რაღაც კონსერვატიული აზროვნება აქვთ და ეს ცოტა მაბნევს.

***— ახლა რას აპირებთ?***

— ახლა ისევ უცხოეთში მინდა წასვლა. საქართველოში იმ შემთხვევაში დავრჩები, თუ ოჯახი მექნება. ოჯახის გარეშე კი უცხოეთშიც მშვენივრად ვიგრძნობ თავს. ყველაზე მეტად კი იმას ვნანობ, რომ დედას დავუჯერე, გიას სიყვარულზე უარი ვთქვი და წიგნებში ქექვა ვამჯობინე. მაქვს განათლება, ცოდნა, მაგრამ ამ ცხოვრებაში ყველაზე მთავარი რომ მაკლია? ოჯახი სიგიჟემდე მინდა! ყველა გოგოს ვურჩევ, კარგად დაფიქრდით, სანამ მშობლის რჩევას გაითვალისწინებთ და მას დაუჯერებთ, შეიძლება თქვენც ჩემსავით ერთადერთი შანსი ხელიდან გაუშვათ და ჭეშმარიტი სიყვარულის გარეშე დარჩეთ.

**თიკო ნინიაშვილი**


**ნათელმხილველი მანანა**

**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.**

**მიღება წინასწარი შეთანხმებით!**

**მის.: მეტრო „ავლაბართან", მახათის შესახვევი N6. ტელ: 897-29-27-50.**


## გასწორება

17 მარტის „ახალ თაობაში" ეკა ირემაშვილის წერილში სახელწოდებით „მითრიდატე" ლიბიაში შესრულდება", გაიპარა უზუსტობა. ნაცვლად ლიბიისა, უნდა იკითხებოდეს ლიბანი.

# სასარგებლო რჩევები

## rjcvtnbrfufpfa[ ekbcsdbc

უკვე დადგა გაზაფხული და მშვენიერი სქესის წარმომადგენლებიც აქტიურად ფიქრობენ კოსმეტიკის განახლებაზე. ამ მშვენიერი პერიოდის დადგომისთანავე თავისუფლად შეგიძლიათ ჩანთა ზედმეტი კოსმეტიკისგან გაათავისუფლოთ. იმისათვის, რომ ქორფა და მოვლილი სახე გქონდეთ, გამოიყენეთ ვარდისფერი ან ატმისფერი მრავალფუნქციური პრიალა საცხი თვალის, ლაწვებისა და ტუჩებისათვის. უარი თქვით თვალის, ტუჩების და ლაწვების ხაზგასასმელად ფანქრების, რუჯის, ჩრდილების და პომადის მთელი ნაკრების გამოყენებაზე. პუდრი, კორექტორი და დამატენიანებელი შრატი შეცვალეთ ანტიოქსიდანტების და სინათლის ამრეკლავი ნაწილაკების შემცველი ტონალური კრემით, რომელიც მომენტალურად მიანიჭებს თქვენ კანს განუმეორებელ ბრწყინვალებას.

## cf[ bcybq,t,b

სახის კანის მოსავლელად ბევრი ძვირადღირებულ კრემებს ოჯახურ პირობებში დამზადებულ ნიღბებს ამჯობინებს. გთავაზობთ რამდენიმე ნიღაბს სხვადასხვა ტიპის სახის კანისთვის:

1. ნიღბები ნორმალური კანისთვის:

თაფლის ნიღაბი — კვერცხის გულთან ერთად გათქვიფეთ თაფლი და ნიღაბი სახეზე წაისვით.

კვერცხის ნიღაბი — ამისთვის საჭიროა მხოლოდ კვერცხის გული. 10 წვეთი ზეითუნის ზეთი, 5 წვეთი ლიმონის წვენი და კვერცხის გული კარგად გათქვიფეთ და წაისვით სახეზე.

ხაჭოს ნიღაბი — ძალიან კარგია ხაჭოს ნიღაბი. მის დასამზადებლად დაგჭირდებათ მხოლოდ ერთი სუფრის კოვზი ხაჭო, რომელიც უნდა გახსნათ ერთ სუფრის კოვზ რძეში.

2. ნიღბები ცხიმიანი კანისთვის:



ვაშლის ნიღაბი — ერთ ჩაის კოვზ კარტოფილის ფქვილს დავუმატოთ ერთი სუფრის კოვზი გახეხილი ვაშლი და გათქვეფილი კვერცხის ცილა. მიღებული მასა წაისვით სახეზე და შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

საფუარის ნიღაბი — ერთ კოვზს თბილ რძეში გახსენით ერთი ჩაის კოვზი საფუარი და მიღებული მასა სახეზე წაისვით.

3. ნიღბები მშრალი კანისთვის:

კიტრის ნიღაბი — ერთი ჩაის კოვზი ახალი რძე შეურიეთ ორ ჩაის კოვზ გახეხილ კიტრში. ნიღაბი სახეზე წაისვით და თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

თაფლის ნიღაბი — ცოტაოდენ რძეს დაუმატეთ ერთი ჩაის კოვზი თაფლი და კარგად გათქვიფეთ.

## vjefhtsvrthlc

მკერდის ზომის შეცვლა მხოლოდ პლასტიკურ ქირურგიას შეუძლია. ხოლო მკერდის ტონუსში ყოფნა, მისი კანზე ზრუნვა და მისი ფორმის ოდნავ კორექტირება თავადაც შეგიძლიათ. მკერდის ფორმის შეცვლას ხელს უწყობს არასწორად შერჩეული ბიუსჰალტერი. თუ ის მეტისმეტად ვიწროა, ხელს უშლის სისხლის მიმოქცევას. განიერი კი არ იმაგრებს მკერდს, რაც მკერდის ჩამოწევას უწყობს ხელს. არანაკლებ როლს თამაშობს ცუდი აღნაგობა. მუდმივად მოხრილი ზურგი არ შეგმატებთ სილამაზეს არც თქვენ და არც თქვენ მკერდს. ამიტომ გაიმართეთ და მოხდენილ სიარულსაც ისწავლით.

მზის პირდაპირი სხივები ხელს უწყობს კანის დაბერებას და მკერდის კიბოს წამოქმნას. ამიტომ კარგად დაფიქრდით, სანამ გარუჯვას წელზევით შიშველი გადაწყვეტთ. უმჯობესია ტანზე გაურუჯავი ზოლი დაგრჩეთ ბიუსჰალტერისგან. მკერდის ცხიმოვანი უჯრედები პირველ რიგში იშლება, მკერდი მოშვებული ხდება და კანზე ჩნდება სტრიები.

ცხელი აბაზანა ასევე ვერ შემატებს სილამაზეს თქვენ მკერდს. თუ მას ვერ შეელევით, იგი მხოლოდ 10-15 წუთით მიიღეთ.

მშობიარობის და ბავშვის ძუძუთი კვების შემდეგ მკერდი კარგავს სიმკვრივეს, ჩნდება სტრიები. ამიტომ მკერდს ორსულობის პერიოდში განსაკუთრებული მოვლა სჭირდება.

მართალია ცივი შხაპი არასასიამოვნო, მაგრამ ძალიან სასარგებლო პროცედურაა. ის აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ამაგრებს მათ, მკერდის კანს უფრო ელასტიკურს და მკვრივს ხდის.

ჩაიტარეთ ყოველდღე წრიული მოძრაობები 1-2 წუთით. დაიწყეთ მარცხენა მკერდიდან. თუ ასეთი პროცედურისთვის მზად არ ხართ, მკერდზე წაისვით ყინულის ნატეხები ყელის მიმართულებით. ლიფტინგ-ეფექტი გარანტირებული გაქვთ.

გადავლება — ასე ეწოდება მკერდის გაახალგაზრდავების პროცედურას. პულივიზატორიან ფლაკონში ასხამენ ოთახის ტემპერატურის წყალს და ამატებენ ცოტა გვირილას. დილაობით, შხაპის მიღებისას, მკერდს ასხურებენ ამ სითხეს.

მკერდის დასაზელად აიღეთ ხაოიანი პირსახოცი, დაასველეთ 22 გრადუსიან წყალში, კარგად გაწურეთ და შემოიხვიეთ მკერდზე, შემდეგ სველი პირასახოცით დაიზილეთ მკერდი ორივე ხელით 1 წუთის განმავლობაში. შეცვალეთ მშრალი ოდნავ შემთბარი პირსახოცით და ფრთხილი მოძრაობებით შეიმშრალეთ მკერდი. წყლის ტემპერატურა ყოველი ორი დღის შემდეგ დაწიეთ ნახევარი გრადუსით და მიიყვანეთ 13-14 გრადუსამდე. სამი კვირის შემდეგ წყალს დაამატეთ სუფრის მარილი, რომელიც ხელს უწყობს კანის გაღიზიანებას და ამით სისხლის მიდინების გაძლიერებას.

კოსმეტიკური ნიღბები და ზეთები ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას და აუმჯობესებს მკერდის კანს. მათ სქელ ფენად ისმევენ მკერდზე და ტოვებენ კარგად გაშრობამდე. ნიღბის მოსამზადებლად აურიეთ ხაჭო, ზეითუნის ზეთი და კვერცხი ან თაფლი და არაჟანი. მიღებული მასა გაიჩერეთ მკერდზე 20 წუთით და ჩამოიბანეთ.

## hfeylfbwjltsbynbv-/bubtybcitcf[ t,

ინტიმ-ჰიგიენის შესახებ არსებობს რამდენიმე უცვლელი წესი, რომელიც ყველა ქალმა აუცილებლად უნდა დაიცვას:

1. არ დაიბანოთ გარეთა სასქესო ორგანოები ჩვეულებრივი საპნით.
2. კატეგორიულად აკრძალულია სველი საცურაო კოსტიუმით სიარული, რადგან მასში პათოგენური მიკროორგანიზმები იოლად მრავლდებიან.
3. მიიღეთ ჰიგიენური შხაპი დღეში ორჯერ მხოლოდ თბილი წყლით.
4. ყოვლად დაუშვებელია გარეთა სასქესო ორგანოების დაბანის დროს ღრუბლისა და ნეჭის გამოყენება, რადგან ისინი მგრძნობიარე ლორწოვან გარსს აღიზიანებენ.
5. არ გამოაყენებინოთ თქვენი პირსახოცი ოჯახის სხვა წევრს.
6. გამოიცვალეთ ჰიგიენური საფენი ხშირად — დღეში სულ ცოტა 4-5-ჯერ. თუკი ვაგინალურ ტამპონებს ხმარობთ, მათი გამოცვლა ყოველ 2-3 საათშია რეკომენდებული.
7. არ ჩაიცვათ ხელოვნური მასალის საცვლები. უპირატესობა მიანიჭეთ ბამბის თეთრეულს.
8. არ ატაროთ ტანზე მჭიდროდ შემოტმასნილი შარვალი.

**თიკო ნინიაშვილი**

გულიკო ბალა ე

# აფხაზეთის ქართულმა დეპუტაციამ საქმეს თავი ვერ გაართვა

თითქოს დადგა დრო, რომ ის მოვლენები, რაც 20 წლის განმავლობაში საქართველოში ხდებოდა, ქართველმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიხსენოს და გაანალიზოს, ტერიტორიები რატომ დავკარგეთ.

როგორი ვითარება იყო აფხაზეთში ომის წინა პერიოდში, როგორ ისარგებლეს აფხაზებმა 1992 წლის დასაწყისში საქართველოში შექმნილი ვითარებით და თბილისიდან სოხუმში ჩასულ პოლიტიკოსებს რა მოთხოვნას უყენებდა ზურაბ აჩბა, როგორი ფეთქებადსაშიში სიტუაცია იყო შექმნილი, ამის თაობაზე გვესაუბრება უზენაესი საბჭოს დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია.

— ***ბატონო თენგიზ, 1992 წლის დასაწყისში თქვენ აფხაზეთში იმყოფებოდით როგორი ვითარება და განწყობა დაგხვდათ იქ?***

— აფხაზეთში მანამდეც რამდენჯერმე გახლდით, როგორც ზვიად გამსახურდიას წარმომადგენელი. მაშინ უკვე დაძაბული ვითარება იყო. 1991 წელს ვითარება ძალიან განმუხტა საარჩევნო კანონმა. ზოგიერთი ამ კანონს დღესაც აპარდეიდულს უწოდებს, დიდი ნაწილი გონივრულ კომპრომისს ეძახის, რადგან იმ პერიოდში ამით შევინარჩუნეთ მშვიდობა და დაძაბული ვითარება განიმუხტა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აფხაზეთის საზოგადოება და პოლიტიკური ელიტა თავის მფარველის, რუსეთის ნებას არ დაჰყვა, არ მოინდომა კონფრონტაცია საქართველოს ხელისუფლებასა და საქართველოს მოსახლეობასთან.

— ***მაშინ აფხაზეთში სეპარატისტულად განწყობილი ნაწილისთვის კონფრონტაცია ხელსაყრელი იყო?***

— თუ გავალებენ, თუ გარედან ზემოქმედების ბერკეტები არის და სტრატეგიული დირექტივაცაა, რომ რაღაციის ფასად ყველაფერი უნდა აირ-დაირიოს, მაშინ მას წინ ვერაფერი დაუდგება. ამ შემთხვევაში აფხაზურმა საზოგადოებამ და პოლიტიკურმა ელიტამ ყველაფერი აწონ-დაწონა და რაციონალურ გადაწყვეტილებას დამორჩილდა. თავიანთ ხელმძღვანელებს და ჩრდილოელ შეფებს უპატაკეს, რომ ამ შემთხვევაში ეს იყო საუკეთესო გამოსავალი. მომავალი პოლიტიკური ბატალიებისთვის სქემები ჯერ კიდევ არ არსებობდა. ამიტომ ამ შეთავაზებით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ.

— ***1991 წელს შეთავაზებული საარჩევნო სისტემით იმ ეტაპზე რუსეთის გეგმა ჩაიშალა?***

— დიახ. გაიხსენეთ, ჩვენ დროსაც კი „ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერაციის“ დედაქალაქად სოხუმი გამოაცხადეს. სისტემატურად იმართებოდა სიმპოზიუმები და ყრილობები. ეს იყო სეპარატისტების სტრატეგიული იდეა, რომელსაც გერეუ და რუსეთის სპეცსამსახურები ორგანიზებულად ახორციელებდნენ. იგრძნობოდა, რომ პოტენციურად საბჭოთა კავშირის დაშლის შემთხვევაში, მომავლისთვის საქმის წინ წაგდება უნდოდათ. მიზანი უმართავი პროცესების გამოწვევა და ამ საქმეში შესაბამისი პარტნიორების პოვნა იყო.

— ***ეს რაში გამოიხატებოდა?***

— როცა აცხადებ, რომ აფხაზეთი შენი დედაქალაქია და კონფედერაციის დედაქალაქი უნდა იყოს, ეს იმას ნიშნავს, უნდა გამოეყო და სხვას შეუერთდე, რომელსაც შემდგომ პოლიტიკური სუბიექტის სახე მიეცემა.

— ***„კავკასიის კონფედერაციის“ შექმნა აშკარა რუსული პროექტი იყო...***

— რა თქმა უნდა. რუსეთს კავკასიის აქეთ გადმოსვლა და იმიერ და ამიერ კავკასიის შეერთება უნდოდა. მაშინ აფხაზეთში ჩასულ პატრიარქსაც ძალიან შეურაცხყოფა მიაყენეს. ეს იყო აღმაშფოთებელი, ანტისულიერი და ანტიკავკასიური ქმედება (კავკასიურ მორალს რომ ეწინააღმდეგება). მახსოვს, მაშინ ზვიად გამსახურდიამ სეპარატისტების მისამართით ძალიან მკვეთრი განცხადება გააკეთა.ჩვენ ის ტალღა, რომელიც ყოველთვის იყო, იმ საარჩევნო კანონით დავძლიეთ და გარკვეული დროით მშვიდობამ დაისადგურა.

— ***სახელმწიფო გადატრიალება რომ არ მომხდარიყო და ქართველთა ერთიანობას ბზარი რომ არ გასჩენოდა, აფხაზეთის კრიზისი, რომელსაც რუსეთი ამზადებდა, დაიძლეოდა? შეიძლებოდა კრიზისი არ მომწიფებულიყო?***

— ყოველ შემთხვევაში, პრობლემები დიდი ხნით გადაიწეოდა. იმ სახით საარჩევნო სისტემის შეთავაზება, იმდენად გლობალური ნაბიჯი იყო, რომ მოწინააღმდეგეები განაიარაღდნენ. პოლიტიკაში მთავარია, მოწინააღმდეგე ისეთ კომპრომისზე წამოიყვანო, რომელიც მისთვისაც მისაღებია და შენთვისაც. მაშინ კომპრომისი მოინახა. გაუგებარი რჩება იმ ოპონენტთა გაჯიუტება, რომელიც ამ ფაქტს აგდებულად იხსენებს.

— ***ეს ის პერიოდია, როცა ქართული სახელმწიფო ჯერ არ არის ჩამოყალიბებული.თუ ქვეყნის მშვიდობიანი განვითარება მოხერხდებოდა, აფხაზების ასევე მშვიდობიანი ინტეგრაცია ერთიან საქართველოში შესაძლებელი გახლდათ?***

— დიახ, ამ გზით შესაძლებელი იყო ინტეგრაცია მომხარიყო აფხაზურ საზოგადოებასთან, აფხაზურ ეთნოსთან. აფხაზეთის სტატუსი, რომელიც მაშინ განისაზღვრა და, ფაქტობრივად, გახლდათ „სახელმწიფო სახელმწიფოში“, (უფლებამოსილებებითა და იურიდიულ-სამართლებრივი თვალსაზრისით, მათ ძალიან ფართო სტატუსი ჰქონდათ), დაცული და ხელშეუხებელი იქნებოდა. ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ზვიად გამსახურდიამ, როდესაც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები მოსახლეობის დაახლებით 67%-ზე მეტმა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. მათ შორის, არაქართულმა მოსახლეობამაც. დღეს ეს არავის ახსოვს, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოებამ ამ მონაცემებით გვაღიარა. დღეს აფხაზეთთან დაკავშირებით რაიმე თუ გვაქვს სალაპარაკო იურიდიულ-სამართლებრივად, სახელმწიფოებრიობასთან, საერთაშორისო ნორმებთან, საერთაშორისო სისტემასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, ეს ფაქტი განუზომელი მნიშვნელობისაა. დე ფაქტოდ აფხაზეთი წართმეულია, ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, მაგრამ იურიდიულ-სამართლებრივი თვალსაზრისით, ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ბერკეტები, რომლის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს 1991 წლის რეფერენდუმის შედეგები. ამას საერთაშორისო საზოგადოება გვერდს ვერ უვლის.

— ***თქვენ 1992 წლის დასაწისშიც იმყოფებოდით სოხუმში, როცა ქართველთა ერთიანობა დარღვეული და სეპარატისტებისთვის ნოყიერი ნიადაგი იყო შექმნილი. თბილისს ჯერ კიდევ სამხედრო საბჭო მართავდა. ამ დროს აფხაზეთში რა ვითარება დაგხვდათ?***

— სოხუმში ჩემს მეგობრებთან გელა ჩორგოლაშვილთან და ირაკლი მეღაშვილთან ერთად თებერვლის ბოლოს ჩავედი. შევარდნაძე მოსკოვიდან ჯერ კიდევ არ იყო ჩამოსული. აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე აფხაზეთის საჯარისო ფორმირებები დაგვხვდა, რომლებიც პირადობის მოწმობებს და მანქანებს ამოწმებდნენ, ანუ „სახელმწიფოებრიობის“ იმიტაცია ხდებოდა.

— ***გამიჯვნის პროცესი დაწყებული გახლდათ?***

— სეპარატისტები „სახელმწიფოებრიობის“ ატრიბუტიკის შემოტანას ცდილობდნენ. სამოქალაქო ომი ლოკალურად მძინვარებდა. გარკვეული სამოქალაქო დაპირისპირების ტალღა აფხაზეთში იყო გადატანილი. ამ დროს სეპარატისტული ხელისუფლება ყველანაირად ხელს უწყობდა დაჯახების გამოწვევას, რომ შემდგომში სასურველი მოსავალი დაეკრიფა. სოხუმში ეს აშკარად იგრძნობოდა. ზვიად გამსახურდიას მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების მანიფესტაციები იმართებოდა. არძინბა ძალიან ტექნიკურად ლავირებდა. ჩვენ გვქონდა შეხვედრები აფხაზეთის საბჭოს დეპუტატთა ქართულ ნაწილთან, ნადარეიშვილთან და სხვებთან. ფაქტობრივად, ყველანი იქ იყვნენ, ზვიად გამსახურიას მომხრეები თუ მოწინააღმდეგეები. ჰაერში დენთის სუნი აშკარად იგრნობოდა. სულ პატარა ნაპერწკალი იყო საჭირო და გიგანტურ ვულკანად გადაიქცეოდა.

— ***აფხაზები შეხვედრაზე არ იყვნენ?***

— აფხაზებს ცალკე შევხვდით. აფხაზეთის ქართველი დეპუტატები გვეუბნებოდნენ, რომ მდგომარეობა უკვე უმართავი გახლდათ. ჩვენს საპარლამენტო მოღვაწეობას აზრი არ აქვს, აფხაზების მხრიდან ადგილი აქვს ყველანაირი ნორმების დარღვევას, ნებისმიერი კანონი რეგლამენტის უხეში დარღვევით გადის, ყოველგვარი ბრძოლის გარეშე აღწევენ თავის მიზანს, ჩვენ, ფაქტობრივად, ფუნქციადაკარგულები ვართო. იმის გათვალისწინებით, რომ თბილისში აბსოლუტურად გაურკვეველი მდგომარეობაა — კონსტიტუცია შეჩერებულია, რაღაც ახალი მზადდება, ეს ყველაფერი ნოყიერ ნიადაგს უქმნის არძინბას და მის სეპარატისტულ ჯგუფს, რომელიც ჩვენგან განსხვავებით ერთსულოვანია. ისინი ცდილობენ როგორმე კონფრონტაცია გამოიწვიონ, როგორმე ქართველებს გაასროლინონ, შემდეგ რუსი ჩაერიოს, დაგვაშორიშოროს და პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე სიტუაცია ისე დალაგდეს, როგორც მათ უნდათ.

— ***ეს ყველაფერი თავიდანვე იყო გააზრებული?***

— რა თქმა უნდა. ქართველის მხრიდან გასროლა მათთვის წამალი იყო „დამოუკიდებლობის“ მოსაპოვებლად. ამას წინ უძღოდა საკმაოდ მძაფრი გამოსვლები. აფხაზური ეთნოსის 12-15 ათასიანი თავყრილობები იმართებოდა. მაშინაც სოხუმში გახლდით. მამაჩემიც იქ იყო. შემდეგ მისი მოგონებები დაიბეჭდა (მაშინ ზვიად გამსახურდიას ჰქონდა შეხვედრა მამაჩემთან) და იქ ასახა, 15 ათასი აფხაზი რომ გამოვიდა სოხუმში. ეს იყო 1989 წელს, ვოვა ვეკუა რომ გარდაიცავლა იმ პერიოდში. არ შეიძლება ყველაფერი კომუნისტებს, გამსახურდიას ან შევარდნაძეს დააბრალოთ. ეს იყო ტენდენცია.

— ***ალბათ სხვა საკითხია, ვინ რამდენად შეუწყო ხელი...***

— აქ უკვე ყველას თავისი ფუნქცია და როლი გააჩნია. ქართულ დეპუტაციასთან შეხვედრისას გაირკვა, რომ, საუბედუროდ, ჩვენი მხრიდან არ შექმნილა არც ერთი სერიოზული სახის დოკუმენტი. მათი მხრიდან მხოლოდ და მხოლოდ ადგილი ჰქონდა დარბაზის დატოვებას, დემარშს. შედეგად სეპარატისტები ისეთივე ვითარებაში აღმოჩდნენ, როგორც დღეს ნაციონალები პარლამენტში. ჩვენს დეპუტაციას არ მოუხდენია არსებულის სისტემატიზაცია. მათ თავი ვერ გაართვეს არსებულ პრობლემებს. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი სამართლებრივი არგუმენტების ამსახველი დოკუმენტები ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ. ქართველი დეპუტატები გაოგნებულები და დაბნეულები იყვნენ. გივი ლომინაძე ამბობდა, მინისტრი კაცი ვარ და ხანდახან მე მიხდება პარლამენტარის ფუნქციის შეთავსებაო. როდესაც აფხაზებმა დაინახეს, ჩვენი მდგომარეობა ძალიან მყიფე იყო, ერთსულოვნები არ ვიყავით და თავის დაცვა არ შეგვეძლო, პირუტყვულ ქმედებებზე გადავიდნენ — გივი ლომინაძეს ლამის სასიკვდილო დარტყმა მიაყენეს. როდესაც მინისტრს შეუვარდებიან და სასიკვდილოდ გალახავენ, ეს არის კრიმინალური ქმედება, რომელიც სახელმწიფოში, სახელმწიფოს წარმონაქმნში არ უნდა ხდებოდეს. დანაშაული კი უნდა ისჯებოდეს.

— ***ამ დროს აფხაზებსაც შეხვდით?***

— არძინბასთან შეხვედრა გვინდოდა, მაგრამ მოსკოვში ბრძანდებოდა. უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარეს და ბატონ ზურაბ აჩბას შევხვდით, რომელიც ძალიან ნიჭიერი ადამიანი გახლდათ. ზურაბ აჩბა იმ პერიოდში აფხაზეთის კონსტიტუციაზე მუშაობდა. ამ ორი წარმონაქმნის (საქართველოს სახელმწიფოსა და მასში შემავალი ასევე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის აფხაზეთის) ერთობლივ მოდელზე მუშაობდა ისტორიულ-სამართლებრივ-კონსტიტუციურ ჭრილში. ზურაბ აჩბა ძალიან საინტერესო ადამიანი გახლდათ.

— ***რა გითხრათ?***

— ზურაბ აჩბამ ძალიან საინტერესო კონსტიტუციური მოდელები წამოაყენა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო კონსტიტუციურად საკითხების შეჯერება. ის ძირითადად კონსტიტუციაზე მუშაობდა, რადგან პოლიტიკოსი არ გახლდათ, მართვის ბერკეტებს არ ფლობდა და პროვოკაციებში (რომელიც თავის თავზე აიღო აფხაზთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა) არ მონაწილეობდა. თუმცა, როგორც აფხაზეთის ერთგული შვილი, აფხაზურ ეთნოსს და თავის სამშობლოს ვერ უღალატებდა და ფუნდამენტალურ საკითხებში მაქსიმუმის მიღწევას ცდილობდა.

## სამგლოვიარო განცხადებები

### ბექა კვინიკაძის მონატრება



ისევ უშენოდ მოვიდა გაზაფხული, ჩემო ერთადერთო! 10 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. მხოლოდ 27 წელი იკმარე, რომ კაცურად გეცხოვრა... დრო საშინლად გაიწელა დარდსა და ცრემლში. არ მეგონა, რომ ჩემი სიცოცხლე უშენოდ კვლავ გაგრძელდებოდა. მენატრები ძალიან. გულში გიკრავ და გეფერები, ჩემო ნებიერა, სიცოცხლით სავსე ბიჭო!

ნათელი გეფინოს მარადიულ სასუფეველში, ჩემო დიდო ტკივილო! მარადისობაში გადასული მფარველად მოევლინე შენს მარის. მასში ხომ შენი სიცოცხლე გრძელდება.

**დედა**

### რუსუდან დიდიძის მოსაგონარი



შენი მოსაგონარი და გასახსენებელი არაფერი სჭირს შენს სამეგობროს, ძვირფასო რუსუდან, რადგან ყოველთვის ჩვენთან ხარ და იქნები, სანამ სული გვიდგას!

შენი სხივნათელი ხსოვნის ხუთი წლისთავზე შენი დაბადების დღის 80 წლისთავის აღნიშვნა გვიწევს!

შენი დაბადების დღეები ხომ ჩვენთვის ყოველთვის განსაკუთრებული ზეიმი იყო... ჩვენ ინსტიტუტმა დაგვაახლოვა, სამსახურმა შეგვადულაბა და ოჯახურმა ურთიერთობებმა შეგვასისხლხორცა... შენ ყოველთვის ყველაფრით გამოირჩეოდი ჩვენ შორის: ადამიანობით, გულისხმიერებით, შრომისმოყვარეობითა და სწავლითაც კი.

რომ იცოდე, როგორ გვენატრები, ჩვენო „თავკაცო“-ქალბატონო! როგორ არ გვისკდება გული, შენს სახლს რომ ჩავუვლით გვერდით!..

რომ იცოდე, როგორ გვჭირდები, განსაკუთრებით დღეს, ამ აფორიაქებულ პერიოდში!!! გვჭირდება შენი მართებული რჩევა-დარიგებები და შეგონებები, შენი მადლითა და სიკეთით აღსავსე სიმკაცრეც კი ჩვენდა საკეთილდღეოდ. ჩვენი თავშეყრის ძირითადი ადგილი შენთან იყო ყოველთვის. დღესაც ასეა, მაგრამ ამჯერად შენს წმინდა განსასვენებელთან ვიკრიბებით ჩვენი დარდიანი ფიქრებითა და განცდებით...

ნათელში გამყოფოს ღმერთმა, ჩვენო საყვარელო მეგობარო და მადლით აღსავსე დიდო ადამიანო!

**შენი სამეგობრო**

სერგო ნონიაშვილი, ენვერ ლაგვილავა, მურთაზ მაღრაძე, ნიაზ ბულისკერია, ნოდარ წილოსანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრისა და შესანიშნავი პიროვნების

**ანზორ ბარამაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჟუჟუნა, ლუტუნა, ლუიზა, კოტე, კუკური, სოსო, თემურ, ომიკო, კობა, კახა ნაყოფიები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან მამიდაშვილის

**ბიჭი დავითის ძე ლვინჯილიას**

გარდაცვალებას და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ქალაქ ბომბეის დღევანდელი სახელწოდება; 2. დადუღებული ყურძნის წვენი; 3. პოლიციელთა მეტსახელი ინგლისში; 5. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 6. ჯარების მართვის ორგანო; 7. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 11. სუბტროპიკული ეთერზეთოვანი მცენარე; 13. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 14. ქართველი ფიზიკოსი, ჰუმბოლდტის პრემიის ლაურეატი; 15. მოხელე ძველ რომში, რომელიც ახდენდა მოქალაქეთა ქონების შეფასებას და აკონტროლებდა გადასახადების გადახდას; 16. მარმარილოს საბადო ტყიბულის რაიონში; 17. „ფორმულა 1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 19. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 20. მამაკაცის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა.

**თარაზულად:** 1. დასავლეთის არაბული სახელწოდება; 4. გერმანელი მწერალი; 8. ცვალებადი მიმართულების სუსტი ქარი ზღვის სანაპიროზე; 9. ცალკე მდგომი საკუჭნაო, მარცვლეულის შესანახი ხის ნაგებობა; 10. ქოთანში მზარდი მინიატურული ჩინური ხე; 12. გადასახადებისგან გათავისუფლებული გლეხი ძველად საქართველოში; 14. ქართული საბავშვო ჟურნალი; 15. ქართველი დრამატურგი, „ხანუმას“ ავტორი; 16. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 18. იაპონური მსუბუქი ავტომობილი; 21. უნგრული ღვინო; 22. სამართავი სპორტული მარხილი; 23. საკერავი მანქანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

*შეადგინა თგოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**თარაზულად:** 1. „საბა“; 2. „ლიონი“; 3. გუამი; 5. შაგალი; 6. ნაკაშიძე; 9. იქთიოლოგია; 10. საიათნოვა; 11. მანიფესტი; 14. „აია“; 16. არწივი; 18. ქაჯი.

**თარაზულად:** 1. სხალთა; 4. აფშერონი; 7. მოსტრა; 8. მედიანა; 12. ეთიკა; 13. ლაღიძე; 15. ბაგები; 17. ბოი; 19. ექსკავატორი; 20. ღალია; 21. დისნეი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სვინგი; 2. სიმდი; 3. რახი; 5. მულამი; 6. კრილი; 7. „კოპელია“; 11. მინსკი; 13. ბაიდენი; 14. მაორი; 15. ჩონგური; 16: დოპინგი; 17. ჟულეპი; 19. ატაშე; 20. დოღი.

**თარაზულად:** 1. სასწორი; 4. მაგმა; 8. ხელობა; 9. ლაღო; 10. ნადიმი; 12. ლეჩხუმი; 14. მესი; 15. ჩასახანდი; 16. დიორი; 18. დოგმა; 21. ლობიო; 22. გორვეტი; 23. შეპარდი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**19 მარტი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,7097 | ევრო — 2,383 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7477 | რუსული რუბლი — 0,0596 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 18-29, ღამით — 8-11

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 29-21, ღამით — 11-13

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 19-1§, ღამით — -1-7

### ამინდის პროგნოზი 19 მარტისთვის







ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.**


## ლიგის ნახევარფინალი „ელ კლასიკოს" მოლოდინშია

შვეიცარიის ქალაქ ნიონში ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის კენჭისყრა შედგა, რომელმაც წყვილები ასე დაალაგა:

1. რეალი (ესპანეთი) — ტოტენჰემი (ინგლისი);
2. ჩელსი (ინგლისი) — მანჩესტერი (ინგლისი);
3. ბარსელონა (ესპანეთი) — შახტარი (უკრაინა);
4. ინტერი (იტალია) — შალკე (გერმანია).




დაგვეთანხმებით, ამ წყვილებში ყველაზე საინტერესო და დაძაბული პაექრობა ინგლისური დერბია, თუმცა, არც სხვა მატჩები იქნება იოლი.

პირველი მატჩები 5-6 აპრილს შედგება, განმეორებითი კი — 12-13 აპრილს.

გარკვეულია ისიც, თუ ვინ შეხვდება ერთმანეთს ნახევარფინალში: პირველი წყვილის გამარჯვებული ნახევარფინალში მე-3 წყვილში უმჯობესს დაუპირისპირდება, ხოლო მეორისა — მეოთხისას, ანუ ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ნახევარფინალში „ელ კლასიკო" ვიხილოთ.

ნახევარფინალური შეხვედრები 26-27 აპრილსა და 3-4 მაისს შედგება.

ჩემპიონთა ლიგის ფინალს 28 მაისს ლონდონური „უემბლი" უმასპინძლებს.

## ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

### 19 მარტი — წარმატებული დღეა.

**ვერძი** — ისწავლეთ და დაგაჯილდოვებენ, ყურადღების ცენტრში მოხვდებით. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **კირჩხიბი** — თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ. **ლომი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ქალწული** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **სასწორი** — არ გადაიღალოთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **ღრიანკალი** — შემოსავლის ახალ წყაროს იპოვით, პრობლემები აღარ გაქვთ. **მშვილდოსანი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით სიურპრიზი. **თხის რქა** — იმიჯის შეცვლა მოგიწევთ, ახალი პროექტი გაამართლებს. **მერწყული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **თევზები** — ყური მიუგდეთ გულისხმას, ნუ ენდობით უცხო პირებს.

### 20 მარტი — შემოქმედებითი დღეა.

**ვერძი** — თავს ბედნიერად იგრძნობთ, გაგიმართლებთ. **კურო** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კირჩხიბი** — არ გადაიღალოთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **ლომი** — ყურადღების ცენტრში ხართ, ჩვეული ამპლუა გხიბლავთ. **ქალწული** — საღამო მშვენიერი იქნება. **სასწორი** — ახალი საქმე გამოგიჩნდებათ, ჯერ კარგად დაფიქრდით. **ღრიანკალი** — არ გადაიღალოთ, მიიღეთ ვიტამინები. **მშვილდოსანი** — გადაიხალისეთ გარდერობი შეხვედრაზე წასვლა მოგიწევთ. **თხის რქა** — თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს, მის მიმართ გულუხვი იყავით. **მერწყული** — საკუთარ თავში არ ჩაიკეტოთ, დაბრკოლებას მაინც გადალახავთ. **თევზები** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ, ამ დღეს დიდი ხანია ელოდით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# 21 მარტიდან

100 წიგნი

„ახალი თაობა" და „საოჯახო ბიბლიოთეკა"

## გთავაზობთ

# სუპერპროექტს

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




**ტომი 1**

## განდი

**გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი**


## იუმორი



— ეს რა დაცურავს იქ, ზედაპირზე? ნუთუ...
— მიხვდით, ეს საზოგადოების ნაღებია...

* * *

— 120 წლის ბებიის შვილიშვილებს მოთმინების ფიალა აევსოთ და ბინა იყიდეს...

* * *

— განქორწინება ძალიან მტკივნეული პროცესია, რადგან ამური თავისი ისრების ამოძრობას ცდილობს.

* * *

ექიმი პალატაში შევიდა და ესმის, სიცხიანი ავადმყოფი სანახავად მოსულ ცოლს ეუბნება:
— ჩემო კარგო, შენისთანა ლამაზი და საყვარელი ამქვეყნად არავინაა, არ ვიცი, უშენოდ რა მეშველებოდა.
ექიმი ქალს მიუბრუნდა:
— დიდი ხანია, რაც აბოდებს?

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ზღვის ტალღებისგან ნავსადგურის დამცავი გრძელი ჯებირი; 2. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 3. ფინეთის პარლამენტი; 5. მდინარე სამეგრელოში; 6. ლურჯი ფერი, ცის ფერი; 9. მოთხოვნა, რომელსაც თან ახლავს მუქარა; 10. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატლანტის აეროპორტი აშშ-ში; 11. იაპონური რესტორანი; 14. რაიონული ცენტრი რაჭაში; 16. ვერცხლის თხელი ფენით დაფარული ლითონის ნაკეთობა; 18. ყველაზე დიდი ტბა იაპონიაში.

**თარაზულად:** 1. ბომბეის დღევანდელი სახელწოდება; 4. ნათესავის, შთამომავლის ძველი ქართული სახელწოდება; 7. ბურგუნდიული ღვინის წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრი საფრანგეთში; 8. თაღლითის, მატყუარის ძველი ქართული სახელწოდება; 12. ჰუნების წინამძღოლი; 13. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 15. ცისკრის ვარსკვლავის ქართული სახელწოდება; 17. ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია; 19. ქალაქის თავი გერმანიაში; 20. პოპულარული ტანსაცმელი; 21. ძვირფასი ნივთები, ფასეულობა, განძი.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა

